




# მართული მწერლობა



1926-1930



1990



2008-

5  
2009

# ქართული მედიკობა

სალიტერატურო ჟურნალი

დაარსებულია  
1926 წელს

აღდგენილია  
1990 წელს

განახლებულია  
2008 წელს

**5**

სექტემბერი

**2009**

ოქტომბერი



რედაქტორი

ლევან ბრეგაძე

სარედაქციო ჯგუფი

მაია კუდავა  
ნინო მინიშვილი  
პაატა ნაცვლიშვილი  
მეგი ობოლაშვილი  
ნინო ყულოშვილი  
გვანცა ჯობავა

კონცეფცია და დიზაინი:  
© პაატა ნაცვლიშვილი, 2008.

ISSN 1512 - 4444

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2008.

## **პოეზია**

**გიორგი კეკელიძე. ლექსები 5**

## **მხატვრული პროზა**

**ლეილა მესხი. იაპონიის ელჩი ანუ თეთრი  
ვარდები ოკურა-სანისათვის 10**

## **ესეისტთა / დოკუმენტური პროზა**

**თეიმურაზ ნადარეიშვილი. ფშაური დღიურები 27**

## **ახალი თარგმანები**

**იოჰან ვოლფგანგ გოეთე. სცენები „ფაუსტიდან“  
(თარგმანი დავით წერეთლისა) 37**

## **უკვდავი სახელები**

**გიორგი სარაჯიშვილი. ნაცნობი და მაინც უცნობი  
ომარ ხაიამი 58**

## ჭადრაკის ისტორიიდან

- 73** დავით გურგენიძე. ანდრია დადიანი და მისი ქართველი  
პარტნიორები

## წიგნები

- 78** „ინტელექტი“ გთავაზობთ

პოეზია

გიორგი კეკელიძე

სიყვარულის სირთულეები

წამნამი წამნამზე მომადე

–

ახლა ჩვენს შორის ბენვის ხიღია.

გასეირნება სკვდის გალიდან

ფერადმა მინდვრებმა გამოტყუეს

და

მომდგარი ცრემლი ჩავაბრუნე

–

თვალს წყალი დავალევიწე.



მოსავალი

ნუ გაული აფრებს, ვერ წაგვიყვანს შორს ჩვენი  
ნავი

–

წამიხდა გუნება და მოსავალი –

ქარი დაეთესე

და

მზეა.

ქლისიერი სიცოცხლესა  
და სიკვდილზე

სიცოცხლე ნიშნავს –

რომ მე და ღმერთმა წამოვიწყეთ დამალობანა  
(მე და ჩემმა ღმერთმა, ასე იყო).

ის დაიხუჭა,

მე დავიმალე,

დიდხანს მეძებდა და მალე მიპოვა.

საქართველოს  
პარლამენტის  
პრეზიუმის  
აგალიოტიკა

F12217



სიკვდილი ნიშნავს –  
ახლა მე დავიხუჭე,  
ნუთებს ვითვლი  
და  
გამოვალ.

### ვოთლის კლისპირი

ამ ლეღვის ხეს უამრავი სარცხვინელი აქვს  
და  
გაზაფხული ეშმაკივით აუხელს თვალებს.

### გამოცანა

თანასამზერელი – გ. ბარდინი – კონფლიქტი.

სახლები ადრე ჩაცვენილ  
კბილებივით უჩანდა ქალაქს  
და ერთი-ორი შავი ენა მხარზე გაედო.  
ღია პირთან ბუზები უტრიალებდნენ  
და წითელ კვერცხებს თესავდნენ.  
მე  
ს ხ ვ ა  
ვიყავი  
და  
ბ რ ძ ე ნ ი.

### კულინარიული კლისპირი საიძიოდან

რაც მანდ თქვენი ცქერით  
გ ა ვ ძ ე ხ ი  
და სანამ სულს  
და ვ ლ ე ვ დ ი,  
შიში  
ვ ქ ა მ ე –  
ახლა სიცილადაც არ  
მ ყ ო ფ ნ ი ს.



**ქლისპირი ხმის განვადნაზი**

ამბობენ – ცის იქით სულ სიჩუმეა.  
ჩვენ მოვკვდით.  
ვდუმვართ  
ანუ  
ჩვენი ექო ცის იქით ისმის.

**ნასვლის ქლისპირი**

ზურგზე ვწევარ.  
  
გადამფრენი ჩიტების გუნდი  
ნერტილმონყვეტილ,  
გაკრულ  
ბარათს ჰგავს.

**საქართველო**

თანამოსამენი – Massive Attack - Black Milk

1.

თქვენი სტომაქის ასახეობად სიტყვა არ მყოფნის: ღმერთი თქვენი მწყალობელი შაშვივით გალობდა და წამოვედი. აღარც მახსოვს, მართლა იყო თუ არა იყო რა. იყო ერთი უბედური მეზადური და ქალი.

(ოთხი საქმე. გამოსვლა)

2.

მშვიდად ვინექი, ცაზე ღრუბლის ნეკნებს ვითვლიდი, ცრულ რომ შემეპყრეს და დილეგში გამომანყვიდეს. მწყუროდა და წყალი მონამლეს, მშოიდა და პური ძაღლებს უწილადეს. ჩემი კვართი დახიეს და ცოლებს წესთა დღისთვის დაუყვეს. მათ პირი შეკრეს. მე შიშის თასმით სუნთქვა შევიკარი და ლოცვები დავიგუბე. ხოლო სამსჯავროზე სხვა კაციც იდგა





და ხალხმა მე მომიტევა. მშვიდად ვწევარ, ცაზე ღრუბლის ნეკნებს ვითვლი.

(დაბადება. ბარაბა)

3.

ჩემი კოჭი ფეხმძიმეა უცხო სულით, ხოლო კლდე შებენი – ბენვის ხიდი დაახამხამა. დაფრთხა შავი აქლემი და გაჯიუტდა. ამოვიღე ბუმბული და მოვიხმე. მოფრინდა მშვერი ფასკუნჯი, შემისვა ზურგზე და გავფრინდი. დავკალი აქლემი და ხორცს ვაწვდიდი. ვერ გაძლა და ფრთა გაეყინა, მე – სისხლი, შემეშინდა, მოვიჭერი სარცხინელი და ვაჭამე.

(შვილი. შიში)

4.

ის ბოძთან ცეკვავდა და ყვავილებს ქამარს უწნავდა – ჩემი სული ბოძში ეგონა. გამეცინა და მივასწავლე: „ცხრა ზაფხულს იქით, შემოდგომის პირზე თეთრი ირემი ქვას ძოვს, დანის პირზე დგას და ეშმაკს სიფრთხილე შეჰპირდა – ისე ჩქარია, გაფრენისას ჩრდილი სწყდება. ირმის რქებში, აჯანყებულ ძარღვებით რომ გამოსჩრია, ჩემი სული გამოქსოვა მწვანე ობობამ. სუნი მცემდა და სუნმა გასცა – ნავიდა ცოცხის უკან დამალული ვაჟი ირმის მოსაკლავად – ქალი მეხვევა და მიღიმის – ვწევარ წითელ წყალში, ათას თვალს ვატრიალებ, ვეხვევი და ვტირი.

(სხეული. ტკივილი)

5.

ვთქვით – მთებს, ჩვენი მინის ჩალურჯებულ მუხლებს, მზე გუშინდელი სისხლივით აჩნდა და დედამ არ მობანა ანუ საღამოა, რომელსაც ვერ წაშლი, თუნდაც ჩვენი თმები დავუნთოთ ნათლიას და დამე შევთხოვოთ ან დილა შევთხოვოთ ან შუადღე შევთხოვოთ და ხან, როცა მზერა უკან გამექცევა – გაუშვას – შევთხოვოთ. ნათლია მკაცრია, თხილის საღამურით და მწვანე ნეკლებით მოდენის

გაქცეულს და კვლავაც საღამოს მკვდარ მინდვრებს აძოვებს. მე ვზივარ სახლის წინ, ცოცხის ტარს ვაბოლებ, შენ კი მთელი წელი მილოკავ მუხლებს და კოჭებს და ხერხემალს. . . . . ყოველ დიდხუთშაბათს (როცა სადაცაა) მჭედლები მოდიან და ისევ მამრთელებენ.

(მოსვლა. ამირანი)

6.

თბილი ოთახიდან მთვარის თოვლში ამოსვლა ნიშნავს ღამეს, დაობებულ საპურეს რომ ჰგავს. ხოლო სიზმარში დღე ჩამესმის. ათასი ხმა და ნაბიჯი ათასი წლის ამბავს მაგონებს – მზემ დამწყველა და ასე ვწევარ. დედაჩემი – ჩემი უნებლიე ცოლი მივლის და გარს მივლის, ჩემი თვალის გასაღებს ექებს. საღამოსხანს წავა და ვიღვიძებ. თბილი ოთახიდან მთვარის თოვლში ამოსვლა ნიშნავს ღამეს, დაობებულ საპურეს რომ ჰგავს. სიჩუმეა. სხვების ნაკვალევს ვაკვირდები, სახლს ზურგზე ვიკიდებ და მივდივარ.

(გზა. დღისით მკვდარი)



---

 მხატვრული პროზა
 

---



ლეილა მესხი

იაპონიის ელჩი

ანუ

თეთრი ვარდები ოკუპრა-სანისათვის

 ვუძღვნი ირმა რატინს –  
 „იაპონური დღიურების“ ავტორს.

რა მოხდა ასეთი... სტუმრები მოდიანო... მოვიდნენ, ბატონო! დახვდებით. ქართველები ვართ!.. სტუმრის მიღება და გაცილებ-  
 ბა როდის შეგვმლია! იაპონიის ელჩი მოდის თანმხლებ პირებთან  
 ერთად. მობრძანდეს! ვინაა უარს. სკოლა-ინტერნატში ბავშვები-  
 სთვის საჩუქრები მოაქვსო – კომპიუტერები, ტელევიზორები...  
 ვიდუ-აპარატურა. მოიტანონ, იაპონელებს თავზე საყრელად აქვთ  
 ყველაფერი – არც გამოგონებები აკლიათ... ჭკუისკოლოფა ხალხია!  
 სიკეთის ქმნა თუ სურთ, რატომ უნდა დავუშალოთ. მაგრამ!.. ბოლო  
 დროს ერთობ დამფრთხალნი ვართ, სად დავიმალეთ არ ვიცით...  
 რაიონის გამგებელი და სკოლის დირექტორი რაღაც ღონისძიე-  
 ბაში იღებენ მონაწილეობასო და თბილისში გაემგზავრნენ. საკრე-  
 ბულოს თავმჯდომარე უნდა დახვედროდა სტუმრებს და ავადა,  
 სიცხე აქვს... (რამდენად მართალია, არავინ იცის, არადა, ამგვარი  
 უგუნებობები ჩვევია. განსაკუთრებით წინა ღამის ნაბახუსევზე).

მოკლედ, სტუმრების დასახვედრად ჯემალ მიქელაძე გამოიძა-  
 ხეს, უნივერსიტეტში სწავლისას თანაკურსელები „ჯემიკოს“ რომ  
 ეძახდნენ.

იგი საკრებულოს თავმჯდომარის მკვიდრი მამიდაშვილი გახ-  
 ლდათ, ოცდაათ წელს მიტანებული, დისერტაციადაცული, სამი  
 წელი ლექციებიც იკითხა უნივერსიტეტში, მერე ლექტორ-მასწავ-  
 ლებლები ქუჩაში რომ გამოყარეს, ჯემალიც მათ შორის მოხვდა.  
 კარგა ხანს გონს ვერ მოეგო, ვერც წინაღმდეგობა გასწია. მერე  
 სხვები რომ ახმაურდნენ, ლოზუნგებით ქუჩაში გამოვიდნენ, თვი-  
 თონაც გაჰყვა. გამოსვლებში მიიღო მონაწილეობა, უნივერსიტე-  
 ტის ბაღში ღამეები ათენა. არაფერი გამოუვიდა... იღბლად, ნაცნობ  
 პოლიციელს შეეჩეხა იმ დღეს. ურჩია იმ კაცმა, შეეშვი, არაფერი  
 გამოევა, თავდასხმას აპირებენ, შარში გაეხვევიო... უმალ გვერდზე  
 გადავა... გადარჩა! ღამით შეხლა-შემოხლა მოხდა, მტრისას! თავად  
 მაყურებლად დარჩა... არც უნანია, ბოლომდე ასე ყოფნა ამჯობინა.  
 სამუშაო ადგილს ძებნა დაიწყო, ვილაცებს სთხოვა, განცხადებებიც  
 დაწერა. დაპირდნენ კიდევ. მაგრამ... დანაპირების აღსრულებას არ  
 დაადავა საშველი. ერთბაშად ჩაეღია ის სამი წელი.

მამიდაშვილი მოევილინა მხსნელად, საკრებულოს თავმჯდო-  
 მარედ მნიშვნავენ და შენზე გამოცდილ კაცს (ენების მცოდნეს)

სად ვიპოვიო... კულტურის თუ სიძველეთა დაცვის განყოფილების უფროსად დანიშნა. ცალკე ოთახი გამოუყო – მაგიდით, ტელეფონით, ტელევიზორით... არც მთხოველი აკლდა, ბეჯითად მოეკიდა საქმეს. მოკლედ, მამიდაშვილის (საკრებულოს თავმჯდომარის) გასაკეთებელ საქმესაც თვითონ აკეთებდა... იაპონელები მოდიანო, რომ თქვეს, უმალ ჯემიკო მოიძიეს, სტუმრებთან შეხვედრა დაევალა.

\*\*\*

მაღალი და ტანადი კაცი იყო, აღნაგი. ნაცრისფერი პიჯაკით, შალსტუხით... არც სიტყვა ეშლებოდა და არც პასუხი. სტუმრების დასახვედრად უკეთესს ვის შეარჩევდნენ. მით უმეტეს, ანკეტის შევსებისას, თავისი ხელით ჩანერა (რატომ არ დაიქცა ის დღე!) „ვიკითხულობ და ვთარგმნი იაპონურ ენაზე“...

ახლა, სხვა რა გზა ჰქონდა, სტუმრებს უნდა დახვედროდა!.. ორშაბათს რომ ელოდნენ, მოგვიანებით გადმორეკეს და ცვლილება მოხდაო, ამცნეს. ორშაბათის ნაცვლად, შაბათს გენვევითო... ავერ შაბათიც...

ფიქრმა ტვინი გაუბურდა, ლამის ნახდა კაცი. სხვებივით ხომ არ დაიმალებოდა?! ლაფიანი ორღობე, გაურემონტებელი სკოლა, ანცი გოგო-ბიჭები (მშობლების ბუდეს მონყვეტილი, გაუცხოებული) ნაკლებად ადარდებდა – ულექსიკონოდ საუბარი გამიჭირდებოა, ეს აწუხებდა. არადა, წიგნებით შეიარაღებული ხომ არ შეეგებებოდა იმ უცხო ხალხს... რა ჯანდაბამ ჩაანერინა, იაპონური ენა ვიცისო... ვწერ და ვკითხულობო... ვაი, შენს პატრონს!..

საკრებულოს სვეტებიანი შენობის წინ იდგა, უადგილო ადგილას ამოსულ ხესავით. ამ შენობას ერთ დროს კულტურის სასახლე ერქვა. ახლა მასში მინათმოქმედების, განათლების, სამოქალაქო რეესტრის განყოფილებები განთავსდა. მომსვლელი არ აკლდა. ახლაც ხანშიშესული კაცები ჩამომსხდარან კიბის თავში. თავდახრილი ვილაცას ელიან. კუთვნილ მიწებზე, მათ ფასებზე საუბრობენ. უგუნებოდ არიან. ახალგაზრდებიც ახლავთ, ადრინადა მოსდგომოდნენ საკრებულოს კარებს. მათთვის არ ეცალა!

ნუთი ნუთზე მანქანები მოსაკედებოდნენ შემოსასვლელს – ღელავდა ჯემალი, ლამის სისხლი ავარდნოდა თავში. კაბინეტში ვერ შეიპატიჟებდა სტუმრებს – გატყავებული დივანი, ძველი ტელეფონი და ადამისუამისდროინდელი შავ-თეთრი ტელევიზორი რა გუნებაზე დააყენებდა იმ ხალხს, რომელ საუკუნეში ჩარჩითო, არ იკითხავდნენ?! უცხო სტუმრების მიღება ადვილი რომ ყოფილიყო, არც გამგებელი დაიმალებოდა და აღარც საკრებულოს თავმჯდომარე – სამსახურში გამოცხადებას, ლოგინში კოტრიალს რომ ამჯობინებს.

ამ ფიქრებში იყო, რომ შუა მოედანზე სამი მანქანა შემოვარდა. შავ-ლურჯად მოელვარე, თვალდასატანი. ვაჟის ფეხებთან შეჩერდნენ.





ჩანუელი მინიდან ჭუტალა კაცი უმზერს – „ირაპი მასენო!“ („მობრძანდითო!“), ეპატიჟება იგი.

მანქანები სწრაფად მოსწყდნენ ადგილს. მუსიკა უკრავდა. უკანა სავარძელზე გაშეშებულებივით ისხდნენ სტუმრები. იგრძნო, ერთობ უცხო გარემოში აღმოჩნდა. გამოუსვლელი კაცი არ ეთქმოდა, საზღვარგარეთ ნამოგზაურები იყო, ევროპულ ქვეყნებში ნახეტივლები, მაგრამ!.. სამი წლის უმუშევრობას, შინ ჯდომას თავისი გაეტანა.

ჩაუხვიეს და ვრცელ ჭალებს გაჰყვნენ. მთებისკენ მიიწვდნენ. თანდათან სიმწვანეში ჩაიძირნენ... კიდევ რამდენიმე წუთი და... სკოლა-ინტერნატის ძველისძველი შენობა გამოჩნდებოდა. მდინარეზე გადაბულ, რკინისბიჯგებნიან მონჯლრეულ ხიდს მიუახლოვდნენ. შუბლი ოფლით დაენამა ჯემალს.

უცხო მანქანების დანახვაზე ჭალის ბოლოს მწყემსმა ბიჭმა დასტვინა, წკეპლა მალა ანია, თითქოსდა მისალმების ნიშნად. სტუმრებს მოხედა ჯემალმა. სახის მოყვითალო ფერი, შავი სრილა თმები, თვალის ვიწრო ჭრილი... ერთმანეთს ჰგავდნენ.

ელჩი შუა მანქანაში იჯდა.

რომ ეგონა, ბავშვების ჟრიამული, ჟივილ-ხივილი შეეგებებოდათ, სიჩუმე იყო სკოლის ეზოში. ორსართულიანი, საკმაოდ შელანძღული შენობა, ჩამოშლილი ბათქაში, ჩამსხვრეული მინა. ამას ემატებოდა მოუფლელი ხეხილის ბაღი და გადაჯეკილი ყვილივანი...

ზედა სართულზე ქალები ფუსფუსებდნენ – დამლაგებლები – იატაკ რეცხავდნენ. ბიჭები ეხმარებოდნენ წყლის ზიდვაში. სადღაც ახლოს გაკაპასებული ქალის ხმა ისმოდა (სასწავლო ნაწილის გამგე აღმოჩნდა). შუადღემამდელი, ცხვირისკარტა ქალი. ხელში გასაღებების აცმა ეჭირა. „ტულეტის ჩარეცხვა ვერ გასწავლეთ!“ – ყვიროდა იგი. სახეაჭარხლებული გამოვარდა გარეთ. ჭიშკართან შეჩერებული მანქანები რომ დაინახა, წახდა ქალი, ლამის ზღართანი მოადინა. ეზოში შევიდნენ. საბარგულის კარი გამოაღეს და ყუთების ზიდვა იწყეს. კომპიუტერი, ტელევიზორი, ვიდეოკამერა. საკუჭნაოს მსგავსი ვიწრო ოთახი ლამის ბოლომდე ამოავსეს, კარის დახურვა გაუძევედათ...


მონაფეებისთვის ჩასაცემელ-დასახურიც მოიტანეს, სურსათიც... მოკლედ, ერთობ თავომწონედ ესტუმრნენ სკოლას. არადა, კაცი არ იყო მადლობა ეთქვა, მცირე სუფრა გაეშალა... ორშაბათისთვის აპირებდნენ დახვედრას. დაბნეული სასწავლო ნაწილის გამგე უხერხულობისაგან ლამის გამქრალიყო. დამფრთხალი შესჩერებოდა ჯემალს, მიშველეთ, თვალებით სთხოვდა...

უკვე იცოდნენ რომელი იყო ელჩი... ტანდაბალი, ფართოშუბლიანი, ორმოცნელსმიტანებული კაცი. შემცბარი მზერით რომ ათვალთვლებდა სკოლას, ბაღს... შავ თმაში თეთრი ზოლი გასდევდა.

– დირექტორი სად არის? – იკითხა ჯემალმა (თუმცა იცოდა... სადაც იყო).

– თბილისში. თათბირს ესწრება. საღამოს ჩამოვა...

– მოსწავლეები არ ჩანან...





– შაბათია, შინ გავუშვით. – თავი ჩაბარა ქალმა. – ვინც შორი სოფლებიდან არიან, დარჩნენ. რამდენიმე დამლაგებლებს ეხმარება... დანარჩენები ნიბლია მასწავლებელს გაჰყვენ...

– ვის?!

– მათემატიკის მასწავლებელს.

– რატომ?!

– ბაღს კრეფენ... ოთხი მოზრდილი ძირი უდგათ ეზოში. – ოდნავ შევოცხლდა ქალი, რაღაც მოისაზრა: – მოდი, იქ ნავიყვანოთ სტუმრები? ბღის კრეფას დაეხმარო...

– მერე მიგვიღებენ?

– როგორ გეკადრებათ. ნიბლია მასწავლებელი შესანიშნავი დიასახლისია... თავს არ შეირცხვენს... – ხმადაბლა ჩაილაპარაკა. – ბავშვს გავგზავნი, წინასწარ შევატყობინებ.

– აჯობებს.

თმახოზორა ბიჭი თავისკენ მოიხმო ქალმა. რაღაც უჩუჩუღა, ერთბაშად ადგილს მოსწყდა ბავშვი.

– თქვენ წამოხვალთ? – ჰკითხა ჯემალმა.

– არა, დავრჩები. ავი თვალთ არ შემოიხედოს ვინმემ.

– რა ჰქვია მათემატიკის მასწავლებელს?

– ნიბლია... – გაიცინა ქალმა, – ნინო ჰქვია. ნიბლიას ზედმეტსახელად ვეძახით.

\* \* \*

ორღობეს გაჰყვენ. ეზო-ბაღებს, თხილის ბუჩქნარს (ღობეები თხილის წნელით მოენათ). ბოგირებიც მოჩანდა, დაგვიღ-დასუფთავებული ეზოებიც. ერთგან სარეცხი ფრიალებდა, აივანზე ქალიშვილები იცინოდნენ. მანქანის მინა ჩაენია ელჩს, მკლავი გადმოედო. გრილი ნიავი თმებს უწენავდა.

...ალბათ თავის ქვეყანას იხსენებს... ბამბუკის ტყეებს, ალუბლის ბაღებს... ფუჯის მთას. პოეტების, გეიშების, განდგილი ბერების ქვეყანა. იაპონელები მედიტაციური აზროვნების უბადლო ოსტატები არიან!

სულ მალე მახარობლად გაგზავნილ ბიჭუნას წამოენივნენ. კარი შეუღეს, ბიჭი მუხლზე დაისვა ჯემალმა.

უკვე გამოჩნდა ნიბლია მასწავლებლის ეზო-კარი. საღვთვალს ბავშვების ხმები ისმოდა. ტოტებს აქანავებდნენ... ბაღს კრეფდნენ. მსხვილ-მსხვილი ნაყოფით დახუნძლულ ტოტებს თავისკენ იწვედნენ. პირს იტკბარუნებდნენ. ბლით სავე კალათებს თოკით ქვემოთ უშვებდნენ. შავ-ლურჯად მოლაპლაპე უცხოური მანქანები რომ მიადგნენ ჭიშკარს, ხის ტოტებზე ჩიტის ფიტულელებით გაშუქდნენ ბიჭები.

– ნიბლია მასწავ! – გაისმა თანმხლები ბიჭის ხმა. გადახტა და გაიქცა.

– გიო, რა ხდება?! – ზემოდან გადმოსძახეს ხეზე შემომსხდარმა ბიჭებმა. ხელი აუქნია, არ მცალიაო.



სტუმრები მანქანებში დარჩნენ. არცერთ მათგანს ფეხი არ გადმოუდგამს. ვერც ჯგერალი იქცეოდა თამამად. დაუპატიჟებლად მისდგომოდა მასპინძელს კარზე. ერთობ ეძნელა... რა ხანია მიიმალა ბიჭი. ბაიბური არ ისმის... ბლის მკრეფავებიც გასუსულიყვნენ ხეებზე... ვაი, სირცხვილო! თავის ტკივილი იგრძნო...


და ამ დროს... ერთბაშად გაიღო სახლის კარი. ქალი დაეშვა კიბეზე... მორბის. ოქროსფერი სარაფანით, მოშიშვლებული მხრებით, კოპონია. სტუმრებს თავისკენ ეპატიჟება... ილიმის. ჯემალს მემჩვენებ, სადღაც ბალის ბოლოს თითქოს ვარდის კოკორი გაიმალა... ქალიც ვარდს ჰგავდა... ჭიშკარი მოალო, „მობრძანდითო“ – ინვეეს სტუმრებს. მანქანები ეზოში შედიან. სტუმრებმა გადმოსვლა იწყეს. აწეწილ თმას მალიმალ ისწორებს ქალი; თითებზე მჭადის ცომი შერჩენია, ცომის ნაკვალევი აწინა შუბლზეც. რაღაც ახლობლერი, შინაურული იგრძნო ჯემალმა. გაბრუებული შესჩერებია... სხვებიც გადმოვიდნენ. უცხო სტუმრები. ახლა მათკენ გაემართა ქალი. მსუბუქად, ლალად. მთლად ალალი ჩანდა, მთლად მიმნდობი. ვარდის სურნელთან ერთად ზაფრანის, ქინძის თუ სანებლის სუნი ასდიოდა მის სამოსს... გადაზელილი ყველის... პიტნის. ჰო, პიტნის სუნი იცნო. გააზრიალა ჯემალს.

ხეირიანად ვერც მიხვდა, ასე რამ გააბრუა, რამ წაართვა გონი. მშობლიურთან მიახლოებას, შინ დაბრუნების ჰგავდა ის განცდა, მას რომ ახლა დაუფლებოდა. არადა, ისე არ გამოვიდეს, „სტუმარი სტუმარს ეპატიჟებოდა, მასპინძელი კი არც ერთსო“...

თვალი ხომ არ მატყუებსო, გაიფიქრა ჯემალმა. რასაც ხედავდა, თითქოს არ სჯეროდა... ერთობ საპატიო კაცი – ელჩი (შავ გრუზა თმაში თეთრი ზოლი რომ გასდევდა) ჯგუფს გამოეყო, წინ წამოვიდა, ხელში ვიდეოკამერა უჭირავს, ყველაფერს იღებს – ლობეს, ჭიშკარს, ეზოს, წითელი აგურით ნაშენ სახლს, ნალიას, ბუხრიდან ამოსულ ნაცრისფერ კვამლს, ბლით საცხე თასებს, გოდორს, კალათებს... მერე ყველაფერი ეს თითქოს ვილაცამ განზე განია და აივანზე ყვითელკაბიანი ქალი გამოჩნდა, კიბე ჩამოიბრინა და ჭიშკარს მოასკდა... ლამის შევარდა კამერაში... ამის შემდეგ... (არ გაიოცო, მკითხველო!) ელჩს სხვა აღარაფერი გადაუღია. იმ ერთმა ნაიმმა თითქოს გონი წაართვა... ჩრდილივით აპყვა, აედევნა ქალს. მის ყოველ ნაბიჯს, ღიმილს, ბუნუნა თმას, სალუქ კანს, ყველაფერს ხარბად, მოუთმენლად იღებდა.

არადა, გარბოდა და გამოიბოდა ქალი, სკამები გამოიტანა და ჩრდილქვეშ დადგა. მაგიდა, არყიანი ბოთლი, ახლად დაკრეფილი ბალი და ალუჩა... ცოტა მაცალეთ და მე ვიცი და ჩემმა ქალობამო, – განაცხადა. მეზობლებიც წაიხმარა, შუშა დააპეს, ქვევრი მოხადეს, სახლის უკან ქათამი ააკრიახეს, გოჭიც ააჭყვიტინეს... ქალებიც გამოჩნდნენ – რძლები, მკლავებდაკაპინებულნი, მარჯვეები, მარმანები... ბერიქალებს როდინი და ქვასანაყი შეაჩერეს ხელში.

...მოგვიანებით, კიბეს რომ აპყვნენ სტუმრები და ის იყო ღია კარს მიადგნენ, ოთხივემ ერთდროულად ფეხსაცმლის გახდა დაა-



პირა (მათებურად ასე ყოფილა საჭირო). აიფოფრა ნიბლია, როგორ გეკადრებათო, მობრძადითო. თავად შეუძღვა ბაკა-ბუკით.

ნამით ქალი დამიარტოხელა ჯემალმა.

- მამატიეთ, ასე მოულოდნელად რომ დაგადექით თავზე, - მოუბოდიშა.

- სტუმარი ღვთისაა... - უპასუხა მან.

- ხარჯს სწევთ... ვიზრუნებ, რომ... საკრებულომ თავის თავზე...

- რას ბრძანებთ! - განანწყენდა ქალი, სიტყვა არ დაამთავრებინა, - ჩვენი ბავშვებისთვის, სკოლისთვის იზრუნეს... რაც მთავარია, უსაზღვრო პატივს ვცემ იაპონელ ხალხს, მათ ტრადიციებს, კულტურას. მათი მწერლები მიყვარს... რას წარმოვიდგენდი, თუ სტუმრად მენეგოდნენ! - გაეცალა და წავიდა.

\*\*\*

ფოტოპაპარატებით, ვიდეოკამერებით შეიარაღებული იაპონელები იქაურობას მოედევნენ. მასპინძლის ეზო ხომ მოიარეს, გვერდით გადავიდნენ, კულტიკარი შეაღეს და შევიდნენ. მოეწონათ სიმწვანეში ჩაკარგული კოპონა ოდა-სახლი. წაბლის ხისგან ნაშენი, ჩუქურთმებიანი. ბირკვილიანი აივანით, სამსაფეხურიანი კიბით. ვარდების ბუჩქით, ხვიარებით, მთელ სახლს რომ შემოხვეოდა. თავადაც თაიგულს ჰგავდა სახლი, საამო სანახავი იყო! უტრიალეს გარემოცო. ნიბლიაც თან ახლდათ. თავად შეუძღვა ეზოში...

- მამიდა, სადა ხარ? - იძახის ქალი. ჩამიჩუმი არ ისმის. - სადაა ეს ქალი?! სად წავიდა?! - იძიებს.

სახლის უკან ინდაურები ყურყულებენ, დედლის კრიახიც ისმის, წინილების ნოქობაც. სასიმიინდე, საქათმე, სალორე... ყველაფერი გადაიღეს. ჭიდან ოწინარით ამოიღეს წყალი, ერთხანს მზის სხივზე უჭერეტდნენ წყლიან ჭიქას, გამჭვირვალემა შეამომნეს, გემოც ფრთხილად დააბიჯებდნენ. მერე ჭიშკრისკენ გადაინაცვლეს და ორღობეს გაჰყვნენ. ახლა ჯემალი გაედევნა. მდინარისკენ წავიდნენ... მხიარულ ბიჭუნებს ჰგავდნენ, უცნაურად აცეტებულებს. მდინარის ჩხრიალი მისწვდათ ყურს და უმაღლეს მიამაშურეს...

სუფთა, კამკამა ჩქერში ფერადი ქვები და ლოდები ჩანდა, შავთეთრად დანინკლულნი. „ესენი ხომ ქვის გიჟები არიან“, - გაუღელვა ჯემალს. საათობით სხედან პარკებსა და ბალებში, მზის ჩასვლამოსვლას უცქერენ, ქვების ჩრდილებს უთვალთვალებენ, ჯუჯა ხეები... იკებანას ყვავილები... ზღაპრული ქვეყანა აქეთ... რითი გინდა გააოცო?!.

არადა, კამკამა მდინარის ჩქერს, ირგვლივ მიმოფანტულ ლოდებს ღიმილით შესცქერია. რა უკვირთ? ელჩი შიკოკუს თუ კიუ-შუს ახსენებს, თავიანთ კუნძულებს. აქაურობას მშობიურ ბუნებას ადარებს. მერე თუთიყუშები ახსენებს, კარელა, კაკაძე და კაკაპო, ლურჯ-მწვანედ მოხატული, გრძელკუდა ფრინველები... რამ გაახსენათ?!





რბილძირიანი ფეხსაცმელები აცვიათ სტუმრებს. ღია ფერის მიჯაკები ნახევრად შეუხსნიათ. რიდით თავს უხრიან ელჩს – „ოკურასანს“ (ბატონო ოკურას) ეძახიან.

– ოკურა-სან, მოზრძანდით! – ქალიც ეძახის, თავისკენ იწვევს... ჩანს, სტუმრის სახელი უკვე იცის. გაშინაურებია. არადა, მისი ხმის გაგონებაზე ლამის დაფეთდა კაცი. უმალ გაერიდა თანმხლებთ.

– არიგატო! – ბოდიშობს მამაკაცი. ჯიბიდან, მდინარის პირას აკრეფილი თეთრი კენჭები ამოიღო და ძვირფასი ნივთივით, ხელისგულში ჩაუბნია ქალს. ერთი დახედა ნიბლიამ და ჯიბეებში ჩაიწყო. მშვენიერად უგებდნენ ერთმანეთს. „ვდგავარ ეული მინასა და ხეცას შორის და სამყაროს უსასრულობაზე ვფიქრობ...“ ვიფიქრა ჯემალმა. იაპონელი პოეტის სტრიქონები ამოუტივტივდა გონებაში.

ამდენ ხანს ერთმანეთისგან ვერ გაერჩია იაპონელები. ოთხი მამაკაცი. მოეჩვენა, ყველანი ერთმანეთს ჰგავდნენ სწრაფი, ცუხცუხა ნაბიჯებით, ღიმილით.

– ბატონი ოკურა, ჩვენი ელჩი, – ლამის ჩურჩულით ლაპარაკობს თარჯიმანი, – ხშირი სტუმარია ინვალიდთა სახლების, ხეივარ ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრის, საქველმოქმედო საღამოებსაც ესწრება. თავადაც მართავს... თქვენი სკოლის დახმარებაც იწება. ორშაბათს ტოკიოში მიფრინავს ბატონი ოკურა, ამიტომ გადმოიტანა სტუმრობა დღევანდელი დღისთვის... – თარჯიმანს ვაცრეცილი სახე და დანაოჭებული ყელი უჩანს. მრავლისშემცნობი მზერა აქვს.

– დოზ, დოზო, იოროშიკუ! (მოზრძანდით, მოზრძანდით, გეთაყვა!), – კიბეზე ასვლისას გზა დაუთმო ჯემალს ელჩის თანაშემწემ. ერთობ თავაზიანი ჩანდა...

ქალს სამოსი გამოეცვალა, ლურჯად დანინკლული, თეთრ-საყელიანი კაბა ეცვა. ქალი და კაცი ერთმანეთს ჰგავდნენ – სიმადლით, ივრით. „ფერი-ფერს და მადლი ღმერთსო“, – გაუეღვა ჯემალს. მათი ცქერა ართობდა ვაჟს. „შენი თითები მიყვარს, ორი პატარა თათი, ო, იცი როგორ მიყვარს ოდნავ შეხებაც მათი“, – შანდორ პეტეფი გაახსენდა...

გამოერკვა, ბლით გათხვრილი ბიჭები სკუპ-სკუპით ჩამოდიან ხიდან. ციყვებით ხტებიან მიწაზე. კრეფა დაამთავრეს. ახლა ხელპირს იბანენ. ექვსნი არიან, ერთმანეთზე ცელქები, ეშმაკუნები. იცინიან, ჯიკაობენ... უკანა ოთახში მათთვის სუფრა იშლება...


ამ დროს ჭიშკარს თეთრი „ნოლხუთი“ მოადგა. სახურავზე თოკით გადასკვნილ-გადამარყუჟებული (ცარიელი ყუთები ეწყო.

– ჩემი ძმია... აჩიკო... – ჩაილაპარაკა ქალმა.

ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ხუჭუჭთომიანი მზეზე დამწვარი ახალგაზრდა მანქანიდან გადმოვიდა. სტუმრებისკენ არ გაუხედავს, ყუთების გადმოლაგება იწყო. ჯემალი მიუახლოვდა.

– ბაზარში მივაქვს? – ჰკითხა.

– ჯიხურებში ჩავაბარებ. ყველგან იყიდება... ორ ლარად ვაბარებ და სამად ყიდვიან... დროულად თუ არ დაგკრიფე, მერე ჩიტები დაეხევიან, შეიძლება მატლი გაუჩნდეს... – მეურნე კაცის ხმა ჰქონდა.





– მამაჩემმა წყალტუბოდან ჩამოიტანა ნერგები... „კვერნაძის ბაღს“ ეძახიან.

- ჩანს, საგანგებოდ გამოყვანილი ჯიშია.
- ესენი ვინ არიან?! – სტუმრებს გახედა ბიჭმა.
- იაპონელები. სკოლაში საჩუქრები მოიტანეს...
- ყოჩაღ! – ილიმის, თეთრ კბილებს აჩენს.

ზალაში, გრძელ მაგიდასთან სკამების რიხინი ისმის. თევზების ჩხრილი, დანა-ჩანგლის წკრილი, ღვინიანი ბოთლების შემოღაგება იწყება. ქართული ლაზათით იშლება სუფრა. კედელზე ბანტიანი გიტარა მოჩანს...

თანდათან ივსება სუფრა. თითქოს ვიღაცამ ჯადოსნური წიკება გადაჰკრა, ერთბაშად აივსო, დაიხუნძლა. ახლახან სახლის უკან გოჭი რომ ჭყვიტივებდა, ახლა ნითელი ბოლოკით პირში, ნიორქინძ-წინაკა მოძალეხული, შუა სუფრაზე განოლილა... ოქროსფრად მოციმციმე ბაყე. ცხელი მჭადილა აკლიათ და იმასაც მალე აყრიან კეცებიდან.

ბრინჯსა და თევზეულზე გაზრდილ იაპონელებს მოეწონებათ ჩვენებური სუფრა? – ფიქრობს ჯემალი. ჩიხრებით ჭამენ... გრილ საკეს მიირთმევენ.

იაპონური სუში... სურნელოვანი კერძები: ონაგირი, იკა და აგე თოოფუ...

არადა, ბატონი ოკურა ფოკუსშია (გვარი სავიზიტო ბარათში ამოიკითხა) ერთობ მხიარული ჩანს. სუფრის გაშლის სცენას ხომ იღებს, თითოეული კერძის გამოჩენას აფიქსირებს. მერე მაგიდიდან ცარიელ თევზს იღებს და დამლას აცქერდება. წერო ახატია. „იაპონურია...“ – ეუბნება ნიბლია. ნიგნის თაროდან აკუტაგავას ტომეული გადმოაქვს. კობო აბეს „ქალი ქვიშაში“, კიდევ რალაც ნიგნები... კედელზე კოტოზე დამკერვლის რეპროდუქცია მოჩანს... ბამბუკის ხე... საკურას რძისფერი ტოტები. მასპინძელი შეყვარებული ჩანს იაპონიაზე.

არც სტუმარი დარჩენია ვალში. მობილში აღბეჭდილი კადრები ანახა ქალს – ჯვარი, სვეტიცხოველი, გელათი. ჩარგალი (ვაჟას სახლ-მუზეუმი იცნო), როსტომ წერეთლის (აკაკის მამის) სასახლეც – სხვიტორში. არაფერი გამოჩვენოდა. წინანდალი... ვარძია.

კერძებიც მოეწონა აკურა-სანს, კაცის ჭკუა კუჭიდან იწყებაო, – ფიქრობს ჯემალი. სანამ სუფრაზე მიიტანდნენ, მანამდე შემწვარი კარტოფილი ბაჟესთან ერთად მიირთვა, კოვზით გადაიღო... ვინრო თვალები კიდევ უფრო მოეჭუტა.

\*\*\*

ბუდიზმის მიმდევარი იაპონელები სარკეებზე შესრულებული გამოსახულებებით, ადამიანთა და ცხოველთა თიხის სტატუეტებით მორთულ ბინებს, უძველეს არქიტექტურას, ხის ბოძებითა და შემოსაკრავი სარტყელებით დამშვენებულ სახლებს, გასანდვი თუ დასაშლელი კედლებით, იატაკზე დაფენილი ჭილოფებით მორთულ შენობებს პეიზაჟს უხამებენ... ყვავილებით რთავენ. ყველაზე მეტად



ჩანს

საქართველოს  
სარედაქციო  
სამსახური  
ბიბლიოთეკა

ალუბლის ყვავილობის უამი უყვართ! არადა, ვერ გაეგო ამგვარ გარემოში გაზრდილ საპატო კაცს, ოკურა ფოკუშიმას, აქაურობაზე რატომ მისდიოდა გული?! ისიც იკადრა, თასიდან ბლის წითელი, მზინავმარცვლებიანი კუნწულები აიღო და ქალს საყურედ დაჰკიდა. იმანაც შეიშნო... ბლის საყურეებით მიდი-მოდის ახლა, ყელს იღერებს, კისკისებს... თაფლისფერ თვალეში მაცდური სხივი უციმციმებს...

სამაგიეროდ ჯემალი სულ სხვა რამეს ხედავს...

...იშვითი სილამაზის კიმონოებში გამოწყობილი, თეთრი ფერუმარილი სახეგაღებილი ქალები ფაიფურის თოჯინებს ჰგვანან, ნაზი მიხვრა-მოხვრა აქვთ. დახვეწილები და ელეგანტურები არიან. ხელის ნაცადაი მოძრაობით ფაქიზად ასხამენ თიხის თასებში მდულარე სითხეს (კამკამა მწვანე ჩაის) და პატარ-პატარა, მოწინებული ნაბიჯებით მიაქვთ სტუმართან. მუხლზე დაჩოქილი, თავდახრით აწვდის ფიალას და ნიავსავით მსუბუქი ხმით ამბობს: „დოროზო ონეგიატაშიმა“ (შიორვით, გეთაყვა!).

ხილვა ქრება...

\* \* \*

ბალის მკრეფავი ბიჭები მაგიდას შემოუსხდნენ, მოშეებულნი ჩანან. ელჩი თავზე ადგათ, ბაჟე ხომ დააგემოვნა, თავადაც იქვე ჩამოჯდა; გაისუსნენ ბიჭები... მისკენ გახედვა ვერ გაბედეს. მერე ელჩმა თანაშემწე იხმო და ყუთის შემოტანა ბრძანა. გახსნეს. ფერად-ფერადი კოლოფები ამოიღო – „სონი-ერიქსონი“, იკითხებოდა წარწერა. მზეზე გახუხულ ბიჭებს სათითაოდ დაურიგა. ღია კარში ჩამდგარმა ქალემმა ხეირიანად ვერც გაარჩიეს რა აჩუქა ელჩმა ბიჭებს – ფლომასტერები, სანერი კალმები თუ რალაც ამგვარი... მობილური ტელეფონები აღმოჩნდა! ჯერაც გაუხსნელი ყუთები. გაოცებისაგან პირი დაელოთ ქალებს, არც ბიჭები იყვნენ კარგ დღეში. ერთი სული ჰქონდათ, როდის გავარდებოდნენ გარეთ...

– დანაყრდით? – ჰკითხა ნიბლია მასწავლებელმა.

– დიახ!

– სტუმარს მადლობა უთხარით?

– დიახ.


ელჩს გაეღიმა. ჩანს ესმოდა ქართული ენა...

უკვე მაგიდას უსხდნენ.

ელჩს ერთ მხარეს თარჯიმანი უზის, მეორე მხარეს – თანაშემწე. თამადად ჯემალ მიქელაძე აირჩიეს.

ნიბლია მასწავლებელი სუფრას ემსახურება... გარბის და გამობის, ყურებზე ბლის საყურეები უკონიალებს. ყოველ მის გამოჩენაზე აწრილდება ელჩი, ქალს სუფრასთან იწვევს... აშკარად ჩანს, მოხიბლულია... ჯემალს ეცინება...

...იაპონელი ქალი მზრუნველი, მორჩილი, მუდამ თვალეგაბრწყინებული ცოლია, შინ დაბრუნებულ ქმარს კარებშივე შეაგებებს ფლოსტებს. „მობრძანდითო“, მონინებით ეტყვის. „გოჰან დესიოო“



(„საჭმელი მზადაა“), მოახსენებს. აბაზანის კარებთან სუფთა, გაბამებულ პირსახოცს მიაწვდის. არასდროს წუნუნებს...

სასმელი შეისვა. თამადამ ორი ქვეყნის სადღეგრძელო წარმოთქვა, არ დაუმალავს, იაპონურ ენას ვსწავლობ, გაბედულად საუბარი მიჭირსო... მისი ყოველი სიტყვა თარჯიმანმა თარგმნა.

ცოტას სვამდნენ სტუმრები. ელჩმა ღვინოს არაყი ამჯობინა, ნელ-ნელა წრუპავდა, დაგემოვნებით. შინნახადი არაყი აღმოჩნდა. პანტა ვაშლისგან გამოხდილი. მსუბუქი და სურნელოვანი. ეამა. ცხელი ხაჭაპურები რომ მოაძალეს სუფრას, მოზრდილი ნაჭერი თავისი ხელით გადაუღო ნიბლიამ ელჩს. შებრანული ხაჭაპურივით აუფერადდა კაცს სახე... რაღაცის თქმა დააპირა, ვერ მოახერხა...

ამ დროს იყო... ჭიშკარმა გაიჭრიალა და ეზოში ქალი შემოვიდა. თმაქალარა, მაღალი ქალი. შალით ნელგაკრული. ხელში ჯოხი ეჭირა. გაავებული ჩანდა. უცხო მანქანებს გაცივებით შესჩერებოდა... კიბეს ამოჰყვა.

- რა ხდება? - გაცივებით იკითხა.  
- მშვიდობა... - გაულიმეს ქალებმა.  
- ვინ არიან?!  
- იაპონელები.  
- აქ რა უნდათ?!  
- შენს მოსატაცებლად მოვიდნენ.  
- თქვით!  
- სკოლას საჩუქრები მოუტანეს... კომპიუტერები... ტელევიზორები...

ნიბლიაც გამოჩნდა, ერთიანად ანთებულ-აგიზგიზებულში.

- სად ხარ, მამიდა, გეძახე... ავანრიალე აქაურობა.  
- ჯანდაბაში! უშობელი დავკარგე... - ქალებს გახედა, - მაკეა... წუხელ არ დაბრუნდა. დილაადრიან საძებნელად წავედი. მთა და ბარი შემოგტყავე. გაღმაც გავედი, ტყეშიც... ვერ ვიპოვე... დავბრუნდი და, აგერ ბატონო, ეზოს ბოლოს, თხილების ჩრდილში, გამძლარ-გატიკნილი წამოწოლილა. მე კიდევ ისე დავილაღე, ფეხებს ვეღარ ვიმორჩილებ, უღლიანი ღორი გამძივრება შიგ...


- გაქრი შენა! - გამხიარულდნენ ქალები.  
- წამო, მამიდა, დაენახე სტუმრებს... შალი მოცილე, თმაც გადაივარცხნე.  
- დიდი სანახავი ვარ... - თუმცა, თმაც გადივარცხნა, შალიც მოიძრო.

ოთახში შეაბიჯა.

- ჩემი გამზრდელი მამიდა გახლავთ! - წარუდგინა ნიბლიამ სტუმრებს.


მამაკაცები ფეხზე წამოიშალნენ, ნაჯაფი თითები დაუკოცნეს ქალს. უხერხულად იმუშუნებოდა, მიმალვა სურდა. სავარძელში ჩაჯდა და ჩაიმალა. ერთხანს სადღეგრძელოებს უსმინა, ორიოდელუქმაც ნაკიკნა, კვლავ სამზარეულოსკენ იბრუნა პირი.

- რა ქენი, გაიცანი? - ჰკითხეს ქალებმა.  
- რა გაცნობა უნდა...



- შენც, ყოველდღე ნახულობ იაპონელებს.
- ადამიანები არიან! - იწყინა ქალმა.
- რა ხდება? - ნიბლია შემოფრიალდა, ელჩიც თან შემოჰყვა.
- ფეხდაფეხ ასდევნებოდა კაცი. რალაცას სთხოვდა ქალს...
- რა უნდა? - იკითხა მამიდამ.
- გიტარაზე დაუკაროო...
- დაუკარი მერე... არ გეხერხება თუ!..
- მამიდამ ძმიშვილი მოიხმო.
- გოგო, რა უნდა მაგ ჩინელს? რას გიფუფუნებს თვალეებს?..
- ჩინელი არ არის, იაპონელია... - განყრა ნიბლია.
- ყვითელი სახე აქვს და წვრილი თვალები.
- გაჩუმდი მამიდა, ეგებ ესმის ამ კაცს...
- ესმოდეს მერე... ის კაცი... რატომ დაიწუნე?! ორჯერ მოგაკითხა.
- ვინ?
- წყალტუბოელი ექიმი.
- გადაშენდა მისი თავი!.. ვერ ვიტან აყუდებულ კაცებს...
- პატარა და კოკროჭინა მაგერ გიდგას გვერდით... - ჩაიხიბრა ილა მამიდამ.
- სუუ, ნუ მომჭერი თავი!
- თავის მოჭრა მერე ნახე... მაგ ჩინელს ოთხი შვილი ეყოლება.
- ჯერ ერთი, ეს კაცი ჩინელი არ არის, იაპონელია. მაგათ ქვეყანას ამომავალი მზის ქვეყანას ეძახიან. კუნძულებზე ცხოვრობენ. ულამაზესი ქვეყანა აქვთ...
- უეჭველად ცოლშვილიანი იქნება... - თავისას აგრძელებს მამიდა.

- რას გადაეკიდე ამ კაცს, შეეშვი... - განყრნენ ქალები.
- მაცალეთ! - წამოდგა მამიდა.
- არც ჭიქის შევსება დავიწყებია, არც სადღეგრძელოს თქმა. საჩუქრებისათვის მადლობა მოახსენა ელჩს (სიტყვა-სიტყვით თარგმნა თარჯიმანმა). ჭიქა ჭიქას მიუჭახუნა. მერე ცოლ-შვილი უდღეგრძელა, ღმერთმა სიკეთე ნუ მოგაკლოთო... შეიშმუშნა ელჩი... ანრილდა. უარის ნიშნად თავი გააქნია.
- რა? უცოლშვილო ხარ?! - ჩაეძია მამიდა.
- ღიმილით დაუდასტურა.
- რატომ, შე კაცო?!
- მხრები აიჩეჩა სტუმარმა. აშკარად ჩანდა ქართული ენა ესმოდა.
- მამიდა, მოეშვი! - უჩურჩულა ნიბლიამ.
- თქვენი ღვინოები მომწონს... ჩვენს ტრადიციულ კერძს „შაბუ-შაბუს“ უხდება... - ამბობს ელჩის თანაშემწე, ფაიფურისკბილე თანი კაცი, - რაც უფრო მეტს ვსვამ, კი არ ვთვრები... თანდათან ვფიხიზლდები...
- წყალწყალაა თუ რატომ?! - იოცებს მამიდა.
- საუკეთესოაო...





\*\*\*

რა ხანია მზე ჩავიდა. ჩრდილები დაგრძელდნენ და მიწაზე განწენენ... სტუმრები წასვლას არ ჩქარობენ. მხიარულად მასლან-თობენ.

ღია ფანჯარას მარტოდმარტო შერჩა ნიბლია. ფარდის უკან, დამფრთხალი ჩიტივით მიყუყუღა. ბინდ-ბუნდში ჩამყუდრობულ სოფელს გასცქერის. საკუთარ ფიქრებს აყურადებს. თითქოს არის და არც არის – ამ ქვეყანაზე, ამ ოთახში. მამაკაცებისკენ გახედვას ეკრძალება, მამიდას ცნობისმოყვარეობამ დააბნია, ვეღარც სტუმრის დაჟინებულ მზერას გაექცა. უცნობი ადამიანის უცნაურმა აწრიალებამ ჩააფიქრა ქალი. მოეჩვენა, რომ თავად აფორიაქებდა კაცს, თავისი ქცევით, ღიმილით, მაღიმილ ჩაქროლებით ალაგზნებდა მას. მარტო მას კი არა... მეორესაც – თამადას. საკრებულოს ახალ თანამშრომელს (მის შესახებ ბევრი რამ სმენოდა. მანამდეც, სანამ ახალ თანამდებობაზე დანიშნავდნენ). გაუთხოვარ ქალებს გული მისდობდათ მასზე. ვერცერთმა ვერ მოახერხა გამოჭერა. ლალად მფრენი ფრინველი აღმოჩნდა!

ვაჟის პირველმა ხილვამ, მანქანიდან თავმოწმონედ გადმოსვლამ, დააბნია ნიბლია. საიდან სადაო, გაიფიქრა. შემდეგ სტუმრები გადმოიშალნენ და მისთვის უკვე აღარ ეცალა.

რა არ ხდება ცხოვრებაში. წლებიც ისე სწრაფად გარბის, საცაა ოცდაათს მიაკაკუნებს, არც ხელის მთხოვნილი აკლია, მაგრამ... გულის რჩეული ვერ იპოვა.

მანქანები რომ მოადგნენ ჭიშკარს და სრულიად უცნობი ადამიანები გადმოვიდნენ, მიხვდა, შემთხვევით არაფერი არ ხდებოდა ამქვეყნაზე... ყველაფერში განგების ხელი ერია. ახლა უცნობი მამაკაცის მზერა იმაზე მეტს ამბობს, რაც უნდა ეთქვა... განგება ერთობა. ჯემალ მიქელაძე (გაუთხოვარი ქალების ელეთ-მელეთ) თითქოს განზრახ გამოაყოლა, რომ მის გვერდით ძნელად შეემჩნია ტანდაბალი, ფართოშუბლიანი, ფერმკრთალი კაცი... ქალური გუმანი შეუმომწეს, ალღოც. არც არასდროს ჰკლებია! არც მამიდას ეშლება არაფერი, უჩიჩინებს; დროზე გათხოვდი, ოჯახი შექმენი, შვილები გააჩინე... თუმცა, რამდენადაც იცილებს და ხელს ჰკრავს, მით უფრო ეკვრის თავად. გასათხოვრად ვერ იმეტებს... ძმაც, ჩვიდმეტი წლის ყმანვილკაცი (მშობლების გარდაცვალების შემდეგ დის კალთას რომ არ მოსცილებია) ბოლო დროს ეჭვიანი გახდა. სასიძოვებს უბღვერს...

„გაუთხოვარს დაგტოვებნო“ – შეახსენებენ მეზობლები, კოლეგები. „სხვა სხვის ომში ბრძენიაო“, ნათქვამია. გარემებებმა რა იციან, როცა თავად ვერ გაურკვევია, საკუთარი ბედის თუ უბედობის ამბავი... მაგრამ ახლა, სტუმარი გიტარაზე დაკვრას რომ სთხოვს, ხვდება – „უდავლობას, დედინაცვლის ყოლა სჯობია“, ფარდის უკან მიმალვას, ჯოგს, კედლიდან გიტარა ჩამოიღოს... ბავთა შეხსნას (წითელ ფერს ვერ იტანს!..) და იმღეროს. შორი-ახლო მამიდა ჩურჩულებს: „დადამებას ქათამიც ხვდება“... უკვირს სტუმრები წასვლას რად არ ჩქარობენ.





სუფრის ბოლოს ძმას ამჩნევს. მამაკაცებს შორის ჩამჯდარა. ფართო, თაფლისფერი თვალები ნამტირალელებით უჩანს. გადაკრულშია... ორი ჭიქა ჰყოფნის... მისკენ არ გაუხედავს, არც ფეხზე მდგომ თამადისკენ. რატომღაც ელჩისკენ გააპარა მზერა... შობილურს ჩასცქერის. გზავნილებს კითხულობს. ფიქრიანი მზერა აქვს. შენუხებულები ჩანს. მიხვდა ქალი, როგორც კი გზავნილების კითხვას ჩაამთავრებს სტუმარი, უმაღლ ფეხზე წამოიჭრება, მასპინძელს მადლობას გადაუხდის, ერთხელ კიდევ გაუღიმებს ქალს (რა სასყარლად ეკუჭება ლოყები!), დაემშვიდობება და სამუდამოდ წავა – ამ სოფლიდან, ამ კუთხიდან. ერთხანს ემახსოვრება ეს საღამო... მერე ისე უბრალოდ დაივიწყებს, როგორც აქამდე დაუვიწყებია სხვა მრავალი. სამშობლოში ვბრუნდებო, განაცხადა, ახალ თანამდებობას მთავაზობენო...


კედელზე გრავიურა მოჩანს. სტუდენტობისას თბილისში შეიძინა, უტამარის „ერთგული სიყვარულის გამოცდა“ (ანერია ქვემოთ), ულამაზესი იაპონელი ქალი მოჩანს, ხელში მარათ უჭირავს, მზერას ნაბავს... რატომღაც არ ეამა მისი დანახვა... გიტარა ჩამოიღო. ბანტი შეხსნა, აბრეშუმის წითელი ქსოვილი, საზეიმო საღამოს გახსნის ნიშნად, დაკეცა და ელჩის წინ, კუთხეში ჩამოდო. გიტარის სიმები მისინჯვა იწყო. იცოდა, რაც უნდა ემღერა. რომელი მელოდია მოუხდებოდა ამ მშვიდ საღამოს, დაცილების წინა ბოლო წამებს. უყვარს ეს სიმღერა, მომღერალიც უყვარს, საუკეთესო შემსრულებლად მიაჩნია (ნუკრი კაპანაძე).

თითები ჩამოკრა გიტარას და... მოეჩვენა, პირველსავე ბგერაზე გააფრჭოლა მსმენელს. (მოგვიანებით იხსენებდა, ამგვარი ხვედროვანი ხმა, ტკივილით და განცდით სავსე, არასდროს მქონიაო). მის ნაცვლად თითქოს ვიღაც სხვა მღეროდა... „ნუ გამიწყრები ნუ მიცქერ ავად, ნუ მალავ თვალებს წამწამებს შორის, შევიგვიანე, ვიყავ წყლის პირას, მოველ, ხომ ხედავ, ვარდების კონით“... სტუმრები გაშუმდნენ... კარებში ქალები ჩადგნენ. ღვინიანი ჭიქა ძირს დადვა თამადამ. აჩიკო კედელს აკვროდა...

სხვებისგან შეუმჩნევლად (ფეხით) ოდნავ შემოაბრუნა სკამი, პირისპირ დაუჯდა ელჩს. ახლა მისამღერი იწყებოდა... „თეთრი ვარდები შენთვის ვაგროვე, შიგ ჩავაქსოვე მე ჩემი გული, ეკლები იქვე მიხდვრად დავტოვე, მიიღე ვარდი და ჩემი გული...“. სიმღერას ქალწულური სევდა ერთვოდა. მარტოობას აფეორობაქებინა იგი. გატირებას ნაავადა...

მერე ქალის ხმა, გიტარის წკრიალი, ღია კარიდან თითქოს ეზოში გასხლტა, განანაედა. ბლის მწიფე ნაყოფს მიეხალა, ვარდებს მისწვდა... „მომიახლოვდი, აისხი ღიმი, აავსე თვალი მზის დარი შუქით, როცა ვიღიმი მათობს მაისი, ნუ გამიწყრები, ნურც ერთი წამი“.

ტაშმა იხუვლა. სკამებიდან წამოიშალნენ სტუმრები. ჯემალ მიქელაძე პირველი მიეახლა ქალს, ხელები დაუკოცნა... აღფრთოვანებული ჩანდა. „როგორც კი მოვიცილი, სკოლაში გენვევი“, – უჩურჩულა.



ელჩის თანაშემწემ და თარჯიმანმა მობილები მოიშველიეს, დამწვრობების სცენები აღბეჭდეს. სუფრის ბოლოს უმცროსი ძმა წამოიზღაზნა. სკამი გაარიხინა, თამადას მოაშურა.

– ნიბლი, გახსოვს, შენ რომ მიყვებოდი, სოფლის ბოლოს კაცი ცხოვრობდა. გასათხოვარი ქალიშვილები ჰყავდაო.

– ჰო, რა გინდა მერე?!

– კარზე მგელი მოადგათ ავი, პირსისხლიანი... უფროსი ქალიშვილი ითხოვა ცოლად. გაატანეს. ცოტა ხნის შემდეგ დათვი მოვიდა, შავი, მურიანი, შუათანა ქალიშვილი წაიყვანა. ბოლოს დევი – ცხრათავიანი. მინა შეაზანზარა. უმცროსი ასული წაიყვანა. უარი არ უთქვამთ, გაატანეს. მიკვირდა, მამა ასე ადვილად რად ელევამეთქი შვილებს. ახლა ვხვდები...

– რას ხვდები? – ჩაეძია ჯეშალი.

– უმცროს ძმას რომ გაუჭირდა და დახმარებისთვის დებს მიაკითხა, ყოველ მათგანს გამართული ოჯახი და მშვიდი ცხოვრება ჰქონდა. გამოდის, რომ პირსისხლიანი მგელი, დათვი და დევი ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ...

– კარგად აზროვნებ... – გაიღიმა ჯეშალმა.

– ერთ-ერთ მათგანს უნდა გამატანო?! – გადაიკისკისა ნიბლიამ, – მიმეტებ?!

– გამეტება რა შუაშია, ქალი უნდა გათხოვდეს, წესია ასეთი.

და ამ დროს იყო, მათ ჯგუფს მოუახლოვდა ის, ვისაც გაუმხელელი სურვილით თუ ყრუ გუმანით რა ხანია ელოდა ქალი. მის ნაბიჯებს, სუნთქვას აყურადებდა. უმალ იგრძნო, როგორც კი ამოუდგა გვერდით, თითქოს ამდენხანსაც იქ იყო და ვერ შეემჩნია... ელჩის გამოჩენამ დანარჩენი ორი – ძმა და თამადა – დააფრთხო, უხმოდ გაეცალნენ.

პირველი, რაც ქალმა დაინახა, წითელი ბაფთა იყო. გიტარაზე შეხსნილი. ის ელჩს პიჯაკის წინა ჯიბეში ჩაედო, წვერი ამოშლოდა და საცა იყო ქსოვილი ჩამოცურდებოდა. უმალ მზერა წაატანა ქალმა, მოქნილი თითებით ლენტი შეკეცა და ვარდის კოკორივით ჩაუცურა ჯიბეში. გატრუნული იდგა მამაკაცი, არ იძროდა. ქალის სიახლოვეს, მის შიშველ მკლავებს, სავსე მკერდს, გაგებრუებია იგი.

რალაც ჰკითხა ქალს. თანხმობა რომ მიიღო, მკლავზე მსუბუქად წაავლო ხელი და ოთახიდან გაიყვანა... ერთხანს აივანზე იდგნენ, მერე კიბეს ჩაჰყენენ და ყველაზე მყუდრო კუთხეს მიაშურეს. გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ.

მშვიდად ისხდნენ სტუმრები, არ ჩქარობდნენ. ღვინოს წრუპავდნენ, მასლაათობდნენ, მალიმალ მობილებს ჩასცქეროდნენ, გადაღებულ კადრებს ათვალერებდნენ... ქალის სიმღერამდე რომ მიადნის, მოიჩვენათ, თითქოს ესაყვედურებოდათ იგი. უპირველესად ძმას და მამიდას... ამიტომ იყო, დის სიმღერამ, ერთბაშად ფეხზე წამოაგდო აჩიკო. თითქოს ძველი ჩვეულება გაიხსენა, განუწყვეტლივ დას რომ დაეძებდა, მისტიროდა, კაბის კალთაზე ებლაუჭებოდა... ახლაც აივანზე გასვლა დააპირა, რომ თავისკენ მოიხმო თამადამ.



„ჩემ ვერდით დაჯექიო“, – ანიშნა. შეწყვეტილი საუბარი გააგრძელა...

- მაშასადამე, ჩვეულებრივი კაცები იყვნენ? – ღიმილით მოხედა.
- ზოგი კაცი მგელს ჰგავს, ზოგი – ტურას... დევივით კაციო, ხომ იტყვიან...
- გამოდის რომ, ელჩი...
- ელჩი რა შუაშია? – იკითხა ვაჟმა.
- რა ვიცი, რა ვიცი... – ჩაიცინა ჯემალმა.

\* \* \*

კიბებს ამოჰყვნენ. ხელმკლავით მოჰყავდა ქალი. შემოსვლისას ელჩმა თანმხლებთ გახედა. რალაც გადაულაპარაკა, მგონი, წასვლის დროაო. ფეხზე წამოიშალნენ. დამშვიდობება იწყეს...

წასვლის წინ ყუთში ჩარჩენილი საჩუქრებიც დაურეგა ელჩმა ყველას – აჩიკოს, მამიდას, ქალებს, არც ჯემალი დაინწყინა. გახსნა ვერ გაბედეს. მერე გულის ჯიბიდან ვერცხლისფერი მობილი ამოიღო ელჩმა. ქალიშვილს გაუნოდა... „დაგირეკავო“, უთხრა.

ეს იყო და ეს... მეტი არაფერი უთქვამს.

უკვე მანქანებში ისხდნენ, როცა თეთრი ვარდების თაიგული მოარბენინა ქალმა. მძღოლს მიაწოდა. მძღოლმა კიდევ ოკურასანს გაადანოდა... ვარდების თაიგულში სახე ჩამალა კაცმა... მეტი ვერაფერი დაინახეს. გაუმჭვირვალე მინების მიღმა სტუმრის სახე გაქრა, მიიმალა.

გზას გაჰყვნენ. ნელი სვლით მიიწევენდნენ წინ. ფარების შუქზე ნიფლის, ცაცხვის, ნეკერჩხლის დახრილი ტოტები მოჩანდა, თითქოს ემშვიდობებოდნენ. სინყნარე იყო. ნიბლია ჩიტს „ნიფლის ჩიტასაც“ ეძახიან... გაუელვა ჯემალს. დადლიო ჩანდა, უგუნებოც. ზუსტად იქ ჩამოსევს, სადაც დილით აიყვანეს. მადლობას უხდიან. „სიონარაა“ (ნახვამდის) პასუხობს თვითონ. სტუმრებთან საუბარი, მხიარული მიეთ-მოეთი უდავოდ შეეძლო, მაგრამ რალაცა უმლიდა ხელს...


ჩაიქროლეს და წავიდნენ. ბლით ავსებული მონწული კალათაც თან წაიღეს. ყვავილებთან ერთად ჩადგა ნიბლიამ მანქანაში. „ამგვარ შეხვედრებს ნაჩვევი იქნება ელჩი... – გაუელვა ჯემალს, – ყვავილებსაც მიუძღვნიდნენ... უმღერებდნენ კიდევ...“. რატომღაც ფეხით გავლა მოუნდა, ქუჩას გაჰყვა. ფიქრებისგან თავის დაღწევა სურდა.

მოსახვევში მანქანა გამოჩნდა, ხელი აუწია და გააჩერა. ჩაჯდა.

\* \* \*

ავგისტოს ბოლოს, ზაფხულის არდადეგების დამთავრებისას, სწავლის დანყების მოახლოებასთან ერთად, ფაცა-ფუცი ატყდა... მთხოვნელები მოეძალა საკრებულოს.

შეადთმაშეღებლიმა ქალმა კაბინეტის კარი შემოუღო ჯემალს. განათლების განყოფილების გამგე იკითხა, მომასწავლესო... ბოდიშობდა ქალი. გამგის არაფერი იცოდა, მაგრამ... ქალი ეცნო ჯემალს.



სასწავლო ნაწილის გამგე აღმოჩნდა, ძველი ნაცნობი. დაიფეთა ქა-  
ლმა.

– ბატონო ჯემალ! მაპატიეთ, ვერ გიცანით... – გაიხარა. ამბები  
გამოჰკითხა. უხერხულად იშშუნებოდა სტუმარი.

– როგორ ბრძანდებით? რა ამბებია თქვენთან?

– მშვიდობა...

– აითვისეთ კომპიუტერები?

– ჯერ არა, მაგ საქმისთვის გეახელით. განათლების გან-  
ყოფილების გამგემ, სპეციალისტს გამოგიგზავნითო – არ დააყენა  
საშველი. სანამდე უნდა გვენყოს გაუხსნელი ყუთები, სული მისდით  
ბავშვებს, აინტერესებთ. დღე ერთია და ათჯერ შემომიღებენ კარს.

– უეჭველად ჩავერევი. ბოლოს და ბოლოს, თბილისიდან მოვი-  
წვეთ სპეციალისტს.

– დიდად დაგვაკლებთ!..

– სხვა რა გნებათ?

– მათემატიკის მასწავლებელიც აღარ გეყავს...

– რატომ, ნიბლია მასწავლებელი?!

– სადა ნიბლია?! – გადაიკისკისა ქალმა. – არ გაგიგიათ? ჩვენ-  
თან სიახლეებია...

– რა სიახლეები?!

– გაგვიფრინდა, ჩვენი ნიბლია...

– გათხოვდა?

– დიახ. დავიჯერო არ გაგიგიათ? ქვეყანა ამაზე ლაპარაკობს.

– არ გამოგია...

– ყოველ დღე მობილზე ურეკავდა ის კაცი, იაპონიის ელჩი...  
დღეში სამჯერ... მინც რა თვალზე ნახა!.. შუა გაკვეთილზე ანკრი-  
აღდებოდა ხარი. ბავშვები გაისუსებოდნენ. გაკვეთილს წყვეტდა  
და დერეფანში გადიოდა ნიბლია... რალაც ისეთს ეუბნებოდა ის  
იაპონელი, რომ კარგა ხანს გონზე ვერ მოდიოდა. გაბრუებული იყო.  
გაკვეთილის გაგრძელება უჭირდა ქალს. საზაფხულო არდადეგების  
დანწყების პირველსავე კვირას მანქანა მოადგა სკოლას. ნიბლია  
იკითხეს... ჩემოდანი, პასპორტი, მცირე ბარგი უკვე შემზადებული  
ჰქონდა, პირდაპირ აეროპორტში მიაბრძანეს, საელჩოს თანამშრო-  
მელს გაჰყვა თან. ტოკიოში გადაფრინდნენ... ოკურა-სანი დაუნი-  
ნაურებიან, მალალ თანამდებობაზე გადაუყვანიათ, ჩამოსვლა ვერ  
მოახერხა...

– აჩიკო როგორ შეხვდა დის გათხოვებას?

– ჩვეულებრივად. სწავლისთვის არასდროს შეუნუხებია თავი,  
სოფელი უყვარს, თოხითა და ბარით მუშაობაც ეხერხება... სხვა რა  
უნდა...

– გამოდის, რომ...

– ხშირად გეკავშირდება, სკოლის ამბებს იძიებს ნიბლია. დახ-  
მარებას გეპირდება... – წამოდგა ქალი. სახე შეფერადებოდა...

კარგა ხანს ღია ფანჯარას შერჩა ვაჟი. სიმწვანეში ჩაძირულ  
მთებს, ჭალებს გასცქეროდა... ბებერი ფიჭვის გირჩებასმული  
ტოტები ლამის ფანჯარაში შემოჭრილიყვნენ. მძაფრი სუნი იგრძნო.





სანერ მაგიდას მიუახლოვდა, გადაშლილ წიგნს დააცქერდა (იაპონური ენის ლექსიკონი იყო, რვეულიც იქვე იდო). მეცადინეობის სურვილი რახანია გაუქრა. წიგნი და რვეული კვლავ გადაშლილი დევს. განაწყენდა, შეკრა და სადღაც ზემოთ, თაროზე მოისროლა... ამ ცხოვრების ვერაფერი გაიგო... ზღაპრული ქვეყნის შვილი, საპატიო პიროვნება, ოკურა-სანი, ასე რატომ დაფეთდა სადღაც, მიკარგულ სოფელში მცხოვრებ, უბრალო მათემატიკის მასწავლებელზე? რა, ქალები აკლიათ იაპონელებს?! ულამაზესები არიან. დახვეწილები, გედივით თეთრი ყელით, ავარცხნილი თმით... ისე დადიან, თითქოს მინდვრის ყვავილების ცეკვას ასრულებენ...

ხეირიანად ვერც მიხვდა, ვისზე იყო განაწყენებული, საკუთარ თავზე?! ჩამოვალო, ხომ დაჰპირდა ქალს, სკოლაზე ვიზრუნებო, მაგრამ მაშინვე მიივიწყა დანაპირები. დილით უკვე აღარ ახსოვდა. სკოლას უთვალავი პრობლემა აქვს – მისი გაძლოდა გაუჭირდებოდა, სამსახურეობრივადაც ნაკლებად ევალებოდა...

კაბინეტი შეათვალაღიერა. კაბინეტი, არა! ვინრო, მტვრიანი ოთახია, ძველი ავეჯით ამოვსებული. სული ეხუთება, იხრჩობა...

– ყოჩაღ, ოკურა-სანი! – ჩაილაპარაკა თავისთვის, – კაცურად მშურს შენი...





თეიმურაზ ნადარეიშვილი

ფშაური დღიურები

ჩემს მეგობართან ორჯერ ვისვენებდი ფშავში, სოფელ შარახევში (ეს გახლავთ ჩარგლის მომიჯნავე რაიონი). ორივეჯერ ძალზე აქტიური დამსვენებელი ვიყავი – დასვენების გეოგრაფიული ადგილი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ შარახევით (ფშავის არაერთი უღამაზესი ადგილი მოვიინახულე, უპირველეს ყოვლისა კი ჩარგალი!), ბევრ საინტერესო ადამიანს ვესაუბრე, რამდენიმე ადგილობრივ დღესასწაულს დავესწარი და ა. შ. მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე იქვე ჩანაწერები გავაკეთე, მერე კი, თბილისში დაბრუნებულმა, გადავწყვიტე შედარებით სრულყოფილი სახე მიმეცა მათთვის.

ვაჟა („ბუნება მბრძანებელია, იგივე მონაა თავისა“)


ვაჟას მერე დრო „გაიყინა“ ფშავში – მთა ხომ შედარებით ჩაკეტილი, კონსერვატიული სისტემაა და ნაკლებად ექვემდებარება ცვლილებებს. ამიტომ შეიძლება გავიგოთ, თუ რა პირობებში ქმნიდა ვაჟა საკუთარ ნაწარმოებებს, გავიგოთ ის სირთულეები, რის წინაშეც იგი იდგა და ამ გააზრების საფუძველზე კიდევ უფრო მეტად დავაფასოთ მისი შემოქმედება.

მთაში მუდმივად ორი საწყისი უპირისპირდება ერთმანეთს. პირველი – ბუნების სილამაზე, სიდიადე და აქედან მიღებული შემოქმედებითი იმპულსი ამ სიდიადის გადმოსაცემად, ფილოსოფიური გააზრება ბუნების პირვანდელი ხელუხლებლობისა და მშვენიერებისა. მეორე – ბუნებასთან ბრძოლის აუცილებლობა, რათა ფიზიკურად გადარჩე! ჩვენი ცივილიზებულიობის გამო, ვერც კი ვამჩნევთ, თუ როგორ ვარსებობთ – ბევრი რამ ხომ „ავტომატურად“, ჩვევების დონეზე მიმდინარეობს და არც კი ვუფიქრდებით ხოლმე, რა უდევს საფუძველად ყოველივე ამას, ხოლო როცა ბუნებასთან მარტო რჩები, იძულებული ხარ დაუბრუნდე ადამიანის პირვანდელ („პირველყოფილ“) მდგომარეობას და უშუალოდ შეერკინო ბუნებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამ ორ საწყისს შორის მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობს და ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, რომელი მხარე „გაიმარჯვებს“. თუ არსებობისათვის ბუნებასთან ბრძოლის შედეგად ისე იფიტები, რომ შემოქმედებითი უნარი გიდუნდება, მაშინ, რა თქმა უნდა, უბრალო მოკვდავ ადამიანად რჩები, რომელიც მთლიანად საკუთარი ყოფითი პრობლემების მოგვარებით არის დაკავებული და ამიტომ უფრო „ამაღლებული“ მოღვაწეობისთვის დროს ვეღარ

ვაჟა-ფშაველას სახლი (ჩარგალი). პაატა ვარდანავილის ფოტო.






პოულობს. მით უმეტეს დასაფასებელია, რომ ამ ურთულეს პირობებშიც კი ადამიანი ახერხებს „მოიპაროს“ დრო ბუნებასთან შერკინებისა და ეს დრო საკუთარი შემოქმედებისათვის გამოიყენოს. ამასთან დაკავშირებით მახსენდება **ეთერ თათარაიძის** მიერ ჩანერილი ვაჟის ქალიშვილის **გულქანის** ნაამბობი: „სიღარიბე, წვრილშვილობა და ძალიან, ძალიან მაკვირვებს, ეს ფიქრი საიდანაა ჰქონდა მამასა; შვლის ნუკრზე საფიქრალად ნეტა როდის დაჯდა ჩემი მამა, სუ აღელვებული, სუ დაღალული!“

ზემოთ ნათქვამი სხვანაირადაც შეიძლება განიმარტოს. კერძოდ, აქ დგას ნიჭისა და შრომის (არაფიზიკური შრომის) ურთიერთმიმართების პრობლემა. როგორც ამბობენ, გენიას ნიჭიც ქმნის და შრომაც, რაც, რა თქმა უნდა, ეჭვს არ იწვევს. შრომა ნიშნავს, რომ ადამიანი ხშირად, რეგულარულად აყენებს საკუთარ თავს ისეთ პირობებში, რომლებიც ხელს უწყობს ნიჭის გამოვლენას და უმეტესწილად (თუ შემოქმედებით პროცესზეა ლაპარაკი) ეს არის კამერული, განმარტობული ატმოსფერო, რადგანაც ეს პირობებია საჭირო ყოველივე ადრე ნანახის, ადრე მიღებული შთაბეჭდილებების გააზრებისათვის, აზროვნების კონცენტრაციისათვის. და სწორედ ეს არის ძნელად მისაღწევი მთაში – ყოფითი პრობლემების გამო ადამიანი ვერ უქმნის საკუთარ თავს ამგვარ პირობებს; რა თქმა უნდა, არის გარკვეული განსხვავება გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის. კერძოდ, ფიზიკური შრომის შემდეგ თითქმის შეუძლებელია გონებრივი შრომა (საჭიროა დასვენება და რეაბილიტაცია), ხოლო გონებრივი შრომის შემდეგ სასურველიც კი არის ფიზიკური შრომა. თუმცა აქ შეიძლება საეჭვო ვეკონდეს, როგორც მე ვუნოდე, ომარ ხაიამის სინდრომთან. ცნობილია, რომ ხაიამი მეცნიერი (მათემატიკოსი, ასტრონომი) იყო, ხოლო რობაიებს „შესვენებების“ დროს წერდა და სწორედ ამ რობაიების წყალობით არის იგი სახელგანთქმული, მისი მეცნიერული თხზულებანი კი შედარებით ნაკლებადაა ცნობილი (თუმცა, როგორც მათემატიკის ისტორიკოსები აღნიშნავენ, ევროპის მათემატიკური აზროვნება დაახლოებით ექვს (!) საუკუნეს მოიგებდა, თავის დროზე რომ გასცნობოდა ხაიამის ალგებრულ ტრაქტატებს). ეს ადვილი ასახსნელია, რადგანაც რობაიები ეხება „მუდმივ“ პრობლემებს – სიყვარულს, მეგობრობას, სიკეთეს და ა. შ., ხოლო მეცნიერული შრომები უმეტესწილად იმ მომენტის ამოცანებს წყვეტენ, უფრო „პუბლიცისტური“ არიან და ამიტომ „უჭირთ“ დროს გაუძღონ!

ვაჟა-ფშაველას ვაჟი, **ვატანგ რაზიკაშვილი**, იხსენებს: „მამას მუშაობის დროს ყოველთვის ნამოდებული ჰქონდა ქაღალდი. უცბად ამოიღებდა და ჩანანერებს აკეთებდა, ხოლო როცა ქაღალდი გაუთავადებოდა, სიბ ქვაზე წერდა. მეორე დღეს მოდიოდა და ისინი ქაღალდზე გადამქონდა. ასე „ანვალებდა“ მამას ნიჭი!“

მახსენდება გოეთეს შესანიშნავი გამოთქმა: „Сочность жизни!“ (კარგად არის ნათარგმნი გერმანულიდან და ამიტომ მომყავს რუსულად). მართლაც, დიდი შემოქმედისათვის ცხოვრება „ძარღვიანი“, „წვნიანი“

ხდება და იგი ყველაფერს ასწრებს – ხვნასაც და წერასაც. ასეთი შეგრძნება უბრალო მოკვდავსაც აქვს, კერძოდ, შეგრძნება იმისა, თუ რამდენის „დატყევა“ შეუძლია დროს (ეს მოვლენა კარგად აქვს აღწერილი ამერიკელ მწერალს უილიამ ფოლკნერს თავის გახმაურებულ რომანში „ხმაური და მრისხანება“, სადაც მთავარი გმირი კვენტინი ვერ უძღბის დროის ამ „ტყევადობას“ და საათს ამტყვევებს!), მაგრამ ნიჭის გამოვლენის ერთ-ერთი „კლინიკური ნიშანი“ შესაძლოა ისიც იყოს, თუ როგორ გამოიყენებს ადამიანი ამ ფაქტს და რამდენს მოასწრებს! აქ შეიძლება კიდევ ასეთი რამ ითქვას: ფიზიკური შრომის პროცესში, იმ ვითარების გათვალისწინებით, რომელშიც ვაჟა იმყოფებოდა, იგი ჩვენთვის დროს, ბუნებასთან მარტო რჩებოდა (თავისუფალი იყო ჩვენთვის კარგად ცნობილი ადამიანური ფუნქუსისაგან) და ეს პირველადი განცდა ბუნებასთან შეხებისა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ახალ შემოქმედებით იმპულსს აძლევდა მას. ასეთივე მდგომარეობაში იყვნენ სხვა ადამიანებიც, მაგრამ ისინი ვერ იყვნებდნენ ამ შესაძლებლობას. თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ იგივე პირობები სახალხო მთქმელებისა და მოშიარების სიმრავლეს იწვევს მთაში. აქვე მინდა შევნიშნო (რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს ეს ფაქტი), რომ თურმე ვაჟა არ ითვლებოდა კარგ მოშიარედ. ამან ჩემი დიდი გაკვირვება გამოიწვია და საკმაოდ ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ ამგვარი ახსნა მოვუძებნე მას: შაირობა მაინც გარკვეულ სანახაობით, საჩვენებელ, გარეგნულ ეფექტს გულისხმობს, ხოლო ვაჟას პოეზია (გარეგნული სილამაზის მიუხედავად!) უფრო სიღრმისეულია და ამიტომ შეიძლება ვერ დაიმსახუროს სათანადო მონივნება ასეთ მასობრივ, „სასერიო“ შეხვედრებზე. ვაჟას პოეზია მოითხოვს კამერულ ატმოსფეროს (განმარტობას), რადგანაც მისი შედეგები სწორედ ასეა შექმნილი – განმარტობისას, და მკითხველმა უნდა გაიმეოროს ეს პროცესი – თვითონაც უნდა განმარტოვდეს. რაც შეეხება შაირებს, ისინი უმეტესწილად ექსპრომტად იქმნება ამ შეხვედრებისას და სწორედ ამიტომ სიღრმისეული ნედომა აკლიათ.



აქვე მინდა კიდევ ერთი შესაძლო ახსნა მოვიყვანო იმისა, თუ რატომ არის მთაში შაირობა აგრერივად გავრცელებული. თავდაპირველად მინდა აღვნიშნო, რომ აზრის განვითარება შესაძლოა ორი მიმართულებით წარიმართოს. პირველი – აზრი დარჩეს პირველადი „გაღვივების“ სახით და ადამიანი აღარ დაუბრუნდეს მას (ეს არის პირველადი, უშუალო შთაბეჭდილების დაფიქსირება და ამ მოვლენას შეიძლება ეწოდოს იმპრესიონიზმი ლიტერატურაში). მეორე – შემდგომ მოხდეს აზრის დახვეწა და მან უფრო სრულყოფილი, დასრულებული სახე მიიღოს. მთაში, ზემოთ აღნიშნული პირობების გამო, ადამიანს არა აქვს საშუალება დახვეწის საკუთარი აზრები (ამისათვის მას, უბრალოდ, არ სცალია) და იგი პოულობს დროს მხოლოდ ამ სანახაობით შეხვედრებზე ექსპრომტად დაბადებული აზრების გადმოსაცემად ანუ, სხვაგვარად თუ ვიტყვით, ადამიანს გაცნობიერებული აქვს, რომ სხვა საშუალება საკუთარი აზრების გადმოცემისა მას არ ექნება და ამიტომ იგი ცდილობს ამ შეხვედრებზე მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები. მასხედნება მიქელანჯელოს პარადოქსული გამოხატვაში: „მე მარტო მაშინ ვარ, როცა ხალხში ვიმყოფები!“ ამ გამოხატულებიდან კარგად ჩანს, რომ შემოქმედი მაინც მარტოსულია! შემოქმედისათვის მისი





აზრები, განცდებია მთავარი, მათთან „ყოფნისას“ გრძნობს იგი თავს აპრგად და ღიზიანდება, როცა არა აქვს ამისი საშუალება.

ზემოთ აღნიშნულ ორ საწყისს შორის ბრძოლის კიდევ ასეთი ანალოგი შეიძლება მოვიყვანოთ – ალბინისტის მიმართება მთასთან. აქაც აშკარად იკვეთება ორი მომენტი. პირველი – ალბინისტს იზიდავს მთის (ბუნების) სილამაზე, სიდიადე, ის, რომ, როგორც ვაჟა ბრძანებდა – „ნისლი ფიქრია მთებისა“ და აგრეთვე იმის გარკვევის სურვილი, თუ სად დადის მისი შესაძლებლობების ზღვარი (ეს არის ადამიანის თვითგამოხატვის, თვითრეალიზაციის ჯანსაღი სურვილი!). მეორე – აქაც აუცილებელია ებრძოლო მთას (ბუნებას), იმისათვის რომ ფიზიკურად გადარჩე – ტექნიკური ენით თუ ვიტყვი, კარგად უნდა ფლობდე ალბინისტის ხელოვნებას. თუმცა არის პრინციპული განსხვავებაც – ალბინისტს „ხელოვნურად“, საკუთარი სურვილით იმყოფება ამ რთულ პირობებში, ხოლო მთის მოსახლეობა „განწირულია“ აქ საცხოვრებლად!

ჩემი აზრით, ორ საწყისს შორის ბრძოლის გამომხატველია აგრეთვე ვაჟას ცნობილი გამონათქვამი: „ბუნება მბრძანებელია, იგივე მონაა თავისა“. „ბუნება მბრძანებელია“ შეიძლება გავიგოთ, როგორც ის ურთულესი პირობები, რომელშიც ადამიანს უხდება აქ ყოფნა – ამ შემთხვევაში ბუნება მბრძანებელია შენი – ადამიანის, ხოლო „იგივე მონაა თავისა“ შეიძლება გავიგოთ, როგორც ის იდუმალება, მშვენიერება, რომელსაც ბუნება ადამიანს „ჩუქნის“ და შემოქმედებით იმყოფს აძლევს ისევ თავისივე სიდიადის გადმოსაცემად – შენც ხომ ბუნების ნაწილი ხარ და ბუნება ადამიანს „დაგემორჩილა“ იმისათვის, რომ ეს სიდიადე აღწერო, შენ მოგანიჭა ეს ფუნქცია და ამ გავგებთ „დაგემონა“. როგორც ჰეგელი აღნიშნავს თავის ცნობილ თეორიაში, იდეა (ბუნება) შეიცნობს საკუთარ თავს ადამიანის საშუალებით!


თუ ბუნებასთან ჭიდილის პროცესი დიდხანს გრძელდება, მაშინ ადამიანი ისე ეჩვევა ამ პირობებს, რომ შეუძლებელი ხდება გარემოდან მისი მოწყვეტა. ამასთან დაკავშირებით გავისხენოთ ილიას ცნობილი პასუხი. მისთვის უთხოვიათ, რომ ვაჟა ევროპაში გაეგზავნათ კლასიკური განათლების მისაღებად, რაზედაც ილიას უთქვამს: „ვაჟა რომ ევროპაში გავგზავნოთ, ის შეიძლება საშუალო დონის ფილოსოფოსი გამოვიდეს. ძალზე ძნელია ვაჟას წარმოდგენა „მისი“ მთებისგან მოსრებით!“

ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი პირადი მოსაზრება მინდა გამოეთქვა. ვაჟას სახლ-მუზეუმი ორჯერ მოვიწახულე. პირველად 80-იანი წლების დამდეგს. მაშინ თითქმის პირვანდელი სახით იყო შენარჩუნებული ვაჟას უკიდურესად მიძიმე ყოფის დამადასტურებელი პირობები. ჩემზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გიდის მონათხრობმა იმის შესახებ, რომ ხშირად ვაჟას ღამე (მოცალეობის ჟამს) საშუალება არ ჰქონდა სანთლის თუ ჭრაქის შუქზე ეწერა ნაწარმოებები და ამიტომ იგი იძულებული იყო ამა თუ იმ დიდი ტაფიდან არეკლილი მთვარის სინათლე გამოეყენებინა და მან ერთ-ერთი ასეთი „უმარტივესი ოპტიკური ხელსაწყო“ – ტაფა გვაჩვენა! 90-იან წლებში მეორედ მოვიწახულე სახლ-მუზეუმი. ამ დროისათვის სახლს კაპიტალური რემონტი ჰქონდა ჩატარებული – „გაუმჯობესებული“ იყო ინტერიერი, ჭერი ანუელი გახლდათ და ა. შ. ამ ფაქტმა ჩემი აღშოშოვება გამოიწვია და როცა გიდს ვკითხე რატომ „გააკეთლშობილეს“ სახლი,

მან დაუფიქრებლად მიპასუხა: „სირცხვილი იყო, როცა უცხოელები ასეთ ცუდ სახლში შეგვეყავდნენ!“ ამ პასუხმა კიდევ უფრო მეტად აღმაშფოთა – სწორედ ის არის დასაფასებელი, რომ ასეთ „სამარცხვინო“ სახლში ქმნიდა ვაჟა გენიალურ ნაწარმოებებს!

### ავტონომიურობის საკითხი

ფშავში ყოფნისას აშკარად შევიგრძენი, რომ ეს მხარე ავტონომიური, ჩაკეტილი სისტემაა. მართლაც, აქ შეიძლება მთელი ცხოვრებისეული ციკლი ისე დამთავრდეს, რომ ცნობისმოყვარეობის გარდა ადამიანს არაფერი აკავშირებდეს გარე (დანარჩენ) სამყაროსთან. ეს შესაძლოა ძალიან მძაფრად გამოთქმული მოსაზრება იყოს, მაგრამ აქაური მაცხოვრებლებისათვის აუცილებელია ელემენტარული საარსებო პრობლემები, რაც აქ არ იწარმოება (ფქვილი, მარილი, ასანთი და ა. შ.), მოუგვარებელია განათლების, სამედიცინო დახმარების საკითხები... მიუხედავად ამისა, აქაურები ძირითადად მაინც საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობენ, ავტონომიურად არსებობენ. ეს განსაკუთრებით ცხადად შევიგრძენი მეორედ სტუმრობისას, პირველი სტუმრობიდან ოთხი წლის შემდეგ – როგორც ზემოთ აღვნიშნე, ფშავში დრო თითქოს „გაყინულია“ და გამართლდა ჩემი ეჭვი იმის შესახებ, რომ აქ არაფერი შეიცვლებოდა! ეს მით უმეტეს ძნელად ასატანი აღმოჩნდა ჩემთვის, რადგანაც, მიუხედავად დუსტორი ცხოვრებისა, თბილისში მაინც „განებიერებული“ ვართ იმ უამრავი ცვლილებით, რაც ჩვენს გარშემო ხდება. კერძოდ, ეს ცვლილებები გამოიხატება როგორც ადამიანთა გარეგნობაში, ქცევებში, ურთიერთობებში, ასევე იმ კანონიერი თუ უკანონო მშენებლობებით, უთვალავი ახლად გახსნილი და ხშირად მალევე დახურული მაღაზიების, სუპერმარკეტების, ოფისების, სასტუმროების, რესტორნების, თავისუფალი, სარდაფისა და სხვენის თაბატების თუ სხვა ჯურის დაწესებულებების თავბრუდამხვევი კალეიდოსკოპით! (რას მოვიტანს ეს სრბოლა? საითქვენ მივექანებით?). ჩემი პირველი ჩანაწერები აქაურობის შესახებ თითქმის უცვლელად შემიძლია გამოვიყენო და იგივე დავწერო – აქ ხომ იგივე პრობლემებია, იგივე გაჭირვებაა, რაც ოთხი წლის წინ იყო! (ასე რომ, ჩემი პირვანდელი ჩანაწერებიც თითქოს დროის გარეშე არსებობს!). თუმცა ამბივალენტური განცდა მაინც მეუფლებოდა: ვგრძნობდი, რომ კონსერვატივში კარგია, რადგანაც ის გულისხმობს რაღაცის შენახვას დროში და ამიტომ ეს „რაღაც“ ღირებულია, მაგრამ ისიც მესმოდა, რომ ცვლილებებიც აუცილებელია!



ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. კლიმატი, შესანიშნავი წყალი, ბუნების სილამაზის შეგრძნება დადებითად მოქმედებს ადგილობრივი მაცხოვრებლების ჯანმრთელობაზე. გარდა ამისა, იმის გააზრება, რომ ავადმყოფობის შემთხვევაში აქ განხლებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, ვფიქრობ, გარკვეულ ფსიქოლოგიურ მობილიზაციას იწვევს ადამიანში და როგორც შედეგი, მასში „იღვიძებს“ ორგანიზმის შინაგანი დამცავი მექანიზმები. ასევე ფიზიკური შრომაც, რაც აქ შრომის ძირითადი სახეობაა, ხელს უწყობს ჯანმრთელობის განმტკიცებას. ცნობილია აგრეთვე, რომ ფშავში, ხევსურეთში, სვანეთში ურთულესი ოპერაციები (მაგალითად, თავის





ქალის ტრეპანაცია!) კეთდებოდა, მკურნალობდნენ უმძიმეს ღია თუ დახურული ტიპის მოტეხილობებს, ჭრილობებს. ეს ფენომენი ჩემთვის დღემდე აუხსნელია!

ავტონომიურობის კონცეფციაზე დაყრდნობით შეიძლება გავიაზროთ იმ ხშირი კონფლიქტების მიზეზები, რასაც ადგილი ჰქონდა მთის სხვადასხვა ხალხებს შორის. რაკი ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის ეს მხარე ჩაკეტილი სისტემაა, ეს იწვევს გარკვეული – მხოლოდ ამ ადგილებისათვის დამახასიათებელი ტრადიციების, ნეს-ჩვეულებების ჩამოყალიბებას (სწორედ ისინი ქმნიან ავტონომიურობის შემადგენელ ელემენტებს), განსხვავებულს მეზობელი მხარის მაცხოვრებელთა ტრადიციებისაგან და ამან შეიძლება კონფლიქტი გამოიწვიოს. მახსოვს შარახევში, ჩვენი სახლის მახლობლად, ერთადერთი ხევსურული წარმოშობის ოჯახი ცხოვრობდა და მათი ყოფაცხოვრების ნესი აშკარად განსხვავდებოდა ადგილობრივი მაცხოვრებლების ცხოვრების ნესისაგან. ამიტომ ეს ოჯახი „უცხო სხეულივით“ იყო შარახევში და მეზობლებთან ურთიერთობებში გარკვეული დაძაბულობა იგრძნობოდა.

ადამიანი მთაში ხვდება, რომ ბევრი რამ, რითაც იგი ქალაქში არის დაკავებული, სრულიად ზედმეტია – იგი ამით დროს ავსებს, „კლავს“, ხოლო აქ დროის შევსება უმეტესწილად ყოფითი პრობლემების მოგვარების ხარჯზე ხდება.

ფშავში გავრცელებულია გამოთქმა „გაველება“. ამ ტერმინით ადგილობრივი მოსახლეობა ბუნებასთან შერკინების კონკრეტულ მაგალითს გამოხატავს – საძოვრების სიმცირის გამო, ადამიანი იძულებულია ტყე გაჩეხოს დამრეც ფერდობებზე და „დაპყრობილი“ ტერიტორიები საქონლის საძოვრებად გამოიყენოს ანუ „გააველოს“ (ველად აქციოს) ეს ადგილები! (ისინი საკმაოდ უცნაურად, არაბუნებრივად, „კუნძულებით“ გამოიყურებიან ტყით დაფარულ ფერდობებზე, რამაც პირველი ხილვისას ჩემი დიდი გოცება გამოიწვია). ასე რომ, ეს უბრალო მაგალითი კერძო გამოვლინებაა ადამიანის ბუნებასთან მიმართებისა, რაც სათანადო ტერმინოლოგიაში აისახა.

ამ თავის დასასრულს მინდა გავისენო სვანეთში ჩემი მოგზაურობაც – იქ ხომ კიდევ უფრო რთული პირობებია და ამ დამატებითმა სირთულეებმა შემდგომი დამატებითი შეზღუდვები გამოიწვია. მაგალითად, ძალიან იზღუდება ვაჟის მიერ სხვა მხარიდან ცოლის მოყვანა და პირიქითაც – ქალიშვილის სხვაგან გათხოვება. ეს ალბათ ასიმილაციის წინააღმდეგ მიმართული შეზღუდვებია.

### რელიგიის საკითხი


ფშავში გავრცელებულია ხატის კულტი, მრავლად არის წმინდა ხეები, სალოცავები და ა. შ. ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ქრისტიანობა მაინც მოგვიანებით შემოტანილი, „უცხო“ რელიგიაა ამ მხარისათვის და აქ უპირატესობა ენიჭება კერპთაყვანისმცემლურ წარმოდგენებს სამყაროს შესახებ, რადგანაც ამგვარი წარმოდგენები, ისევე როგორც კაცობრიობის დიდი ნაწილისთვისაც, ამ ადგილებისთვისაც პირველადი და ამიტომ უფრო ბუნებრივია. გავისენით აგრეთვე, თუ

როგორ ძნელად ხდებოდა ამ ადგილების გაქრისტიანება. ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა ისევ და ისევ ზემოთ აღნიშნული რთული პირობები იყოს. მართლაც, რელიგიური სამსახური გულისხმობს ორგანიზების მაღალ დონეს (ეკლესიები, მღვდელთმსახურება, სხვადასხვა რელიგიური რიტუალები – ყოველდღიური წირვა-ლოცვა და ა. შ.), ხოლო მათი ამის ორგანიზება, მძიმე პირობების გამო, გართულებულია. ამიტომ ბუნებრივია აქ ეკლესიის ფუნქცია იტვირთოს უბრალოდ მონყობილმა სალოცავმა, წმინდა ხემ, ხოლო მღვდლის – ხევისბერმა და ა. შ. გაეხისნეთ, რომ ციმბირში, სადაც ასევე მძიმე პირობებია, საკმაოდ პოპულარულია შამანობა (კერპთაყვანისმცემლობის ადგილობრივი ფორმა), ხოლო სადაც ქრისტიანობა გავრცელებული, ხშირად უშუალოდ ოჯახებშია მონყობილი პატარა სალოცავები, რადგანაც გართულებულია ეკლესიების მშენებლობა, ძნელია მკაცრი ზამთრის პირობებში (რომელიც 6-7 თვეს გრძელდება!) ეკლესიაში სიარული და ა. შ. გაეხისნეთ აგრეთვე კათოლიკური ეკლესიის ცნობილი ფუფუნება და პომპეზურობა – კათოლიკური ეკლესია ხომ განვითარებულ ევროპულ ქვეყნებში ჩამოყალიბდა, რის გამოც მათ საშუალება აქვთ მდიდარი ეკლესიები იქონიონ. ასე რომ, კვლავ საქმე გვაქვს გარკვეულ მიზანშეწონილობასთან, ადამიანის მოხერხებულობასთან – იმ ფორმამ მიიღო მეტი გავრცელება, რომელიც მისადაგებულია, რაციონალურია ამ მხარისათვის – ჰეგელის გამონათქვამისა არ იყოს: „ყველაფერი არსებულე გონიერია, ყველაფერი გონიერი არსებულია!“



ახლა კი მსურს უფრო დანერვილებით შევიჩერდე ხევისბერობის ინსტიტუტის საკითხზე. ჩემდა საბედნიეროდ, ორი დღის განმავლობაში ორ „მოქმედ“ ხევისბერთან (შარახევისა და კანალხევის ხევისბერთან) მქონდა საუბარი. ამ შეხვედრებმა, მნიშვნელოვნად გაამდიდრა ჩემი თეორიული ცოდნა ხევისბერობის ფენომენის შესახებ (აღმოჩნდა, რომ ბევრი რამ არაზუსტად ან საერთოდ არ მცოდნები). კერძოდ, შევიტყვე, რომ ხევისბერად უცოლო კაცს ირჩევენ ან, თუ მას ცოლი ჰყავს, იგი მასთან ვედარ იცხოვრებს, რაც გარკვეული ანალოგია ბარში ბერების ცხოვრების წესისა. ამ ფონზე გასაგები ხდება თავად ტერმინ „ხევისბერის“ მნიშვნელობაც – ხევისბერი ანუ ბერი, რომელიც ხევი (მთაში) მოღვაწეობს. ხევისბერი ცალკე ცხოვრობს, თავისსავე საკარმიდამო ეზოში, ძირითადი საცხოვრებელი სახლის გვერდით აშენებულ მცირე ზომის სენაკში. მასთან შესვლის უფლება არავის აქვს, თუ თვითონ არ მოინვევს ვინმეს. იგი არ ჭამს ღორის ხორცს. ხევისბერის ვადანვეტილება ახლაც კი გარკვეული ალტერნატივაა ადგილობრივი სახელმწიფო ხელისუფლების ვადანვეტილებისა. მაგალითად, მკვლელობის შემთხვევაში მკვლელს ოფიციალური ხელისუფლება თავისას მიუზღავს, ხოლო მოკლულისა და მკვლელის ოჯახებს შორის ურთიერთობას ხევისბერი აწესრიგებს (უმეტესწილად ხევისბერის გარჯა იქითკენაა მიმართული, რომ აღნიშნული ოჯახები შერიგდნენ!). აქაც გარკვეულ მიზანშეწონილობასთან გვაქვს საქმე (გარდა ზოგადსაკაცობრიო ჰუმანური მოსაზრებებისა), რადგანაც სხვაგვარმა ვადანვეტილებამ შესაძლოა მძიმე შედეგები გამოიწვიოს ისედაც რთულ პირობებში მცხოვრები ადამიანებისათვის!

რელიგიის საკითხებთან დაკავშირებით მე აქ უამრავი შეკითხვა დამებოდა. გაგაცნობთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს (თან შევეცდები,



ჩემი კომპენტენტის ფარგლებში, თავად გაცეც პასუხები მათ). რამდენად ძლიერია კავკასიონის ქედის მეორე მხარეს ისლამის გავლენა? გარემო პირობები ქედის ორივე მხარეს ხომ დაახლოებით ერთნაირია და, თუ ჩემი ზემოთ მოყვანილი მსჯელობები მართებულია, მაშინ ჩვენეთში, დაღესტანში და ა. შ. ძლიერი უნდა ყოფილიყო კერპთაყვანისმცემლობა, მაგრამ იქ ხომ ისლამის გავლენა გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ქრისტიანობისა ჩვენს მთიანეთში. როგორ შეიძლება აიხსნას ეს მოვლენა? ჩემი აზრით, ისლამი უფრო „მკაცრი“, „შემტევი“ რელიგიაა, ვიდრე ქრისტიანობა; უფრო „აძიულეს“ ადამიანს მისდიოს მას; გავიხსენოთ, მაგალითად, მოლას ხმამაღალი ქადაგება დილით (ეს ქადაგება ხომ უპირველეს ყოვლისა აღვიძებს ადამიანს!), დღეში რამდენიმეჯერ კოლექტიური ლოცვა (ნამაზის რიტუალი) მეჩეთში და ა. შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანსაც მოეთხოვება დღეში რამდენიმეჯერ ლოცვა, მაგრამ ამ მოთხოვნას ქრისტიანი რატომღაც მკაცრად ვერ იცავს! გარდა ამისა, მე მგონი, ისლამი უფრო პრაქტიკული, ადამიანის ყოფით პირობებთან უფრო „მორგებული“ რელიგიაა, ვიდრე უფრო სულიერი და ამაღლებული ქრისტიანობა! გარდა ამისა, შესაძლოა ისიც თამაშობდეს გარკვეულ როლს, რომ მაჰმადიანს ისლამის დროშის ქვეშ უფრო უადვილდებოდა რუსეთის იმპერიასთან ბრძოლა – რელიგიური განსხვავება დაპირისპირებისათვის ერთგვარ დამატებით სტიმულს წარმოადგენდა!

ვგრძელებ შეკითხვებს: თუ ჩემი ზემოთ მოყვანილი მოსაზრებები მართებულია, მაშინ რატომ არის ქრისტიანობა ასე გავრცელებული სვანეთში? რას ნიშნავს ეს? იქ პირობები ხომ კიდევ უფრო რთულია, ვიდრე ფშავეში და ამ ფაქტს ხომ უნდა გამოენვია კერპთაყვანისმცემლობის როლის ზრდა? ერთ-ერთი შესაძლო ახსნა შეიძლება ის იყოს, რომ სწორედ კიდევ უფრო გართულებული პირობები აძიულდებდა სვანებს ინტენსიური კავშირი ჰქონოდათ ბართან და ამ კავშირების შედეგად გავრცელდა ქრისტიანობა ბარიდან მთაში.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მთაში რელიგიის საკითხებთან დაკავშირებულ ამ და სხვა „აბეზარ“ შეკითხვებზე სწორი პასუხების გაცემა აუცილებლად მოითხოვს უფრო ღრმა და კომპეტენტურ კვლევას.

### „ფუკა არ უნდა იყოს ადამიანის ცხოვრებაში!“

ფშავეში ყოფნისას ერთ-ერთი ადგილობრივი მაცხოვრებლისაგან შემდეგი ხუმრობა მოვისმინე: „ფუკა არ უნდა იყოს ადამიანის ცხოვრებაში!“ იმ მომენტში ამ ხუმრობამ, რა თქმა უნდა, მეც და სხვებსაც ღიმილი მოგვგვარა. მოგვიანებით, როცა დავაკვირდი, ძალიან სერიოზული რამ დავინახე ამ ნათქვამის მიღმა. ცხოვრებაში ხშირად ედება, რომ ყველაზე სერიოზული სათქმელი არასერიოზულად, ხუმრობით გაუღერდება ხოლმე. ესეც გასაგებია, რადგანაც ამ დროს თავს იჩენს თამაშის ელემენტი, ადამიანი თავისუფლდება კომპლექსებისაგან, მასში იღვიძებს ფანტაზია და, როგორც შედეგი, ხუმრობისას შეიძლება ძალზე სერიოზული რამ, დიდი სიმართლე ითქვას – ადამიანმა იცის, რომ ხუმრობას, როგორც წესი, სერიოზულად არავინ აღიქვამს (ყოველ შემთხვევაში იმ მომენტში) და ამიტომ ბედავს სიმართლის თქმას! მახ-




სენდება შექსპირის „რიჩარდ III“-დან შემდეგი გამონათქვამი: „ვინ არის ისეთი ბრიყვი, რომ ვერ მიხვდეს სიმართლეს, მაგრამ ვინ არის ისეთი გამბედავი – თქვას მიხვდით?!“ (ჩემი თარგმანი). გავისენოთ აგრეთვე, რომ მეფეებს მხოლოდ მასხარები ეუბნებოდნენ (უბედავდნენ) სიმართლეს! მოვიგონოთ რა ძალით აქვს გადმოცემული ეს მოვლენა შექსპირს „მეფე ლირში“, განსაკუთრებით კი ქარიშხლის სცენაში.

დავუბრუნდეთ ზემოთ ნათქვამს. როგორც ცნობილია ტერმინი „ფუკა“ შაშის თამაშისას იხმარება და იმას ნიშნავს, რომ თუ შენ ვერ დანიხავ მონინალმდევის მოსაკლავ ქვას, მაშინ შენი ქვა კვდება! თუ თამაშის ამ უბრალო წესს განვაზოგადებთ, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი არ უნდა გაუშვას თავისი შანსი ცხოვრებაში – სამყაროში ხომ ყველაფერი უნიკალურია და ის ხელსაყრელი მომენტი, რომელიც ადამიანს ეძლევა, ერთხელ შეიძლება შეიქმნას (მხოლოდ იმ „ნამს“) და უნდა შეძლო მისი დანახვა, სწორი შეფასება და სათანადოდ გამოყენება! თუ ამას ადამიანი არ გააკეთებს (ხელიდან გაუშვებს საკუთარ შანსს), მაშინ მის მაგივრად ცხოვრება „გააკეთებს“, „დაამთავრებს“ ყველაფერს – გათელავს, გაანადგურებს ადამიანს! ვინ იცის, თავის დროზე, სწორედ ეს ცხოვრებისეული პრინციპი აისახა „ფუკის“ სახით შაშის თამაშის წესებში?

რადგანაც ეს განზოგადებული ფორმულირებაა ამ პრინციპისა, ამიტომ მას შესაძლოა უამრავი კონკრეტული გამოვლინება ჰქონდეს ცხოვრებაში: ბრძოლის დროს, თუ შენ დაინდობ მონინალმდევს, მან შეიძლება შენ მოგკლას; ყველასთვის და ყველაფრის პატივმა არ შეიძლება, რადგანაც ეს შესაძლოა ცუდად შემოუბრუნდეს მპატივებს; ყველას არ უნდა „ჩააცვა“, თორემ დათა თუთაშხიასავით შეიძლება სასონარკვეთილად ამოიგმინო: „ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადა სწორედ!“ და ა. შ. თუმცა ესეც, ისევე, როგორც ყველა თეორიული კონსტრუქცია, არ უნდა გავიგოთ აბსოლუტურად (ასეთი მიდგომა სინამდვილისადმი საერთოდ არ ვარგა, რადგანაც ადამიანი აღარ აქცევს სათანადო ყურადღებას სინამდვილის სხვა მნიშვნელოვან მხარეებს!), ამ პრინციპსაც აქვს გამონაკლისები. მაგალითად, ამის მკაფიო გამოხატულებაა ქრისტეს შემდეგი შეგონება: „მე კი გეუბნებით თქვენ: ნინ ნუ აღუდგებით ბოროტს; არამედ თუ ვინმე მარჯვენა ლოყაში გაგანწის, მეორე ლოყაც მიუშვირიე!“. მართლაც, ამგვარმა არასტანდარტულმა, პარადოქსულმა საცეცხლმა შესაძლოა გაცილებით მეტი ეფექტი იქონიოს, ვიდრე იმან, რომ ადამიანმა პირდაპირი პასუხი გასცეს შეურაცხყოფელს – ამან შეიძლება დააფიქროს, დაანამუსოს „აგრესორი!“ სხვათაშორის, ეს პრინციპი თავად შაშის თამაშშიც აისახება – ზოგჯერ მეტოქეები ფუკის გარეშეც თამაშობენ, რადგანაც არ მოსწონთ თამაშის ეს „არა-რაინდული“ წესი!

მხოლოდ მოგვიანებით მიხვდით, თუ რატომ თქვა ზემოაღნიშნული ფრაზა ადგილობრივმა მაცხოვრებელმა – ისევ და ისევ მძიმე პირობებია ამაში მთავარი „დამნაშავე!“ მართლაც, თუ შენ ასე არ მოიქცევი, მაშინ ძალიან გაგიჭირდება აქ არსებობის შენარჩუნება – როგორც ჩანს, სწორედ ეს „თამაშის წესი“ არ მოსწონდა იმ ფშაველს და, ჩემი აზრით, მისი ეს ერთი შეხედვით უწყინარი „ხუმრობა“ პროტესტის ერთგვარ ფორმას წარმოადგენდა! ჩემი შარახევი ყოფნისას (ავჯისტომი), მას მთიდან ჩამოსულმა დათვმა რამდენიმე ცხვარი დაუგლეჯა და





შესაძლოა ეს მძიმე ფაქტი გამხდარიყო უშუალო საბაზი ამ განმაზოგადებული ფრაზის წარმოთქმისა!

მახსოვს, ეს გამონათქვამი დიდი ხნის განმავლობაში მომწონდა (ჩემში „იჯდა“!) და ალბათ ამიტომ ერთხელ მე თვითონ წარმოვთქვე თითქმის ანალოგიური ფრაზა: „ფუკა არ უნდა იყო ადამიანი ცხოვრებაში!“ (ფორმალურად მხოლოდ ორი „ს“ მოვაშორე ძველ გამონათქვამს), რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანი მიმტევებელი უნდა იყოს, გააჩნდეს სხვა ადამიანების უნებლიე შეცდომის პატიების უნარი (ყელში არ უნდა სწვდეს მას!). შევნიშნოთ, რომ იმავე შაშვი (ჭადრაკშიც) მოყვარულ მოთამაშეებს შორის ამ ფაქტის აღმნიშვნელი სპეციალური ტერმინიც კი არსებობს – „ზიოკის“ პატიება!

### ბოლოთქმა

აი, ამგვარი შთაბეჭდილებებით „დახუნძლული“ დავბრუნდი ფშავიდან და შევეცადე გარკვეული განზოგადებული სახით ვადმომეცა ისინი. ზემოთ მოყვანილ მსჯელობებში დიდი როლი მივანიჭე ურთულეს პირობებს და ამან შესაძლოა ერთგვარი ცალმხრივობის შეგრძნება გამოიწვიოს მკითხველში, მაგრამ სწორედ ეს გარეშე პირობები მთაში აშკარადაა გამოკვეთილი (პირდაპირ „ზედაპირზე დევს“!) და ამიტომ ისინი ვადამწყვეტ, პრინციპულ მნიშვნელობას იძენენ!



ახალი თარგმანები

იოჰან ვოლფგანგ გოეთე  
სცენები „ფაუსტიდან“

ვალაურბოგის ღამე

*ჰარცის მთიანეთი, შირკესა და ელენდის შემოგარენი.  
ფაუსტი და მეფისტოფელი.*



მეფისტოფელი

არ გინდა, ახლა ცოცხზე იჯდე და მიფრინავე?  
მე, ჩემდათავად, ყაბულსა ვარ, ავმხედრდე ვაცხე.  
რაც არ ვიარეთ, კარგა ძალი კიდეც წინა დევს.

ფაუსტი

მაინც ქვეითად ვამჯობინებ, რამდენი რაც დევს.  
სანამ ფეხები მმორჩილებენ, ეს როკიც მყოფნის,  
გზის შემოკლებას მირჩევნია, დამდინდეს ოფლი.  
ჯერ ლაბირინთად მიმოხვეულ ხევეს მიჰყვები,  
ზემით და ზემით ორნობია, კლდეები სალი,  
ალაგ ლიკლიკით, ალაგ ბროლვით გადმორბის წყალი, —  
მიყვარს ხალისით მოსირმული ეს ბილიკები!  
არყისხეს, აჰა, სამაისო ქათიბი მოსაფს,  
ფიჭვიც კი, კუშტი, გაზაფხულის შეჰზარის მოსვლას,  
დე, მათი ფეთქვა ჩვენც მოგვედოს, ტანი აგვიფსოს!

მეფისტოფელი

მე ნუ მიმათელი, ვერას ვატყობ თავს სამაგისოს.  
განუწყვეტელი ზამთარი მაქვს ტანში ჩამდგარი,  
გზაც თოვლში მიყვარს, გარეშემოც ყეფდეს ზამთარი.  
რა ნალელიანად გადმოგცქერის მთვარის ნალევი!  
ნითლად ბუუტავს და არ ანათებს, მივალთ წვალეებით.  
ყოველ ნაბიჯზე უნდა შედგე, სულ შიში გქონდეს,  
ხეს არ შეაწყდე, არ გაედო გადმობრილ კბოდეს.  
მოხეტიალე ნათება ჩანს გორაკის ფერხით.  
გზას გაგვინათებს, ამოვიხმოზ, კარგ დროზე შევხვდით.  
ეჰეი, ჩვენკენ, მეგობარო! ციალებ უქმად!  
მოდი, ნავიძებს, გვინინამძღვროს მაგ შენმა შუქმა!



### მოხეტიალე ნათება

ვეცდები, მაგრამ ჩემი ნირი სხვაა სრულიად,  
 აცად და ბაცად, ზიგზაგებით სიარულია.

### მეფისტოფელი

რაო, ჭუტალავ, ადამის ძეს, ლამობ, ნაბაძო?  
 გასწი ეშმაკის სახელით და უაცაბაცოდ,  
 თორემ ჩაგაქრე, შე სანყალო, ერთი შეხვედრით!

### მოხეტიალე ნათება

უმალვე მივხვდი, ხართ პატრონი და მბრძანებელი.  
 ნება თქვენია, გაგინათებთ ჩემი ხამხამით,  
 მაგრამ ჯადოსგან შეშლილია ეს მთა ამლამით.  
 მენდოთ, არ მენდოთ, გზაც ამაღამ სხვანაირია,  
 მე ნურაფერი დამბრალდება, თუ აირია.

### ფაუსტი, მეფისტოფელი, მოხეტიალე ნათება

*(მონაცვლეობით მღერიან)*

სიზმრის მხარეს მივადექით,  
 ჯადოსა და ხიბლის მხარეს.  
 დაგვატარე შენი ფეხით,  
 გაგვინათე, ჩინჩხლი ყარე,  
 მრუმე სივრცე გადაგვისენ!

ხეთა მწკრივი, რიგი რიგზე,  
 ჩვენს ბილიკებს გარეურბის.  
 ახორხლილა კლდეთა ზურგი,  
 აქშენილა ცხვირი კბოდის,  
 რა მხვრინავი ხმები მოდის!

ნაკადული მოხტის ქვებზე,  
 მოლიკლიკებს, ლელეს ეძებს.  
 მხოლოდ ჩქეფს თუ მღერის რასმე?  
 დღეთა ძველთა, ფერუცვლელთა,  
 შეებას მოთქვამს? ტრფობის ელდას?  
 სიყვარულის ტირილს მასმენს?  
 მორაკრაკებს სიყრმის ექო!  
 ნკრიალ-ნკრიალ ჩასდევს ბეკობს!

უჰუ! შუჰუ! — კივის ჭოტი,  
 ხმას უნაცვლებს ბუკიოტი,  
 ჩხიკვი, ჩხართვი... ფხიზლობს ყველა.



ბუჩქებს შორის ტრიტონი ზის,  
 სხვებთან ერთად ფხიზლობს ისიც,  
 გრძელფეხება, სქემპუცელა.  
 გზა შეუკრავთ შიშველ ფესვებს,  
 გადახლართულ გველებს ჰგვანან,  
 ფეხს წამოსდებ, დაგაფეთებს,  
 გადანვდილან განიგანად.  
 ჟვერებს ვხედავ კოჭრებიანს,  
 რვაფეხებად მოძვრებიანს.  
 ათასფერი, ათასგვარი  
 მიდი-მოდის თავგთა ჯარი.  
 გუნდი ციციანთელათა  
 აიძრა და აფერადდა,  
 მოსდებია გზათა პირებს.  
 ნუ გაპყვებით! კვალს აგვირეცს!



თქვით, ველარას ვარჩევ თავად,  
 მივდივართ თუ აქვე ვდგავართ?  
 ყველაფერი ბრუნავს ირგვლივ,  
 კლდე არის თუ ხე თუ ჩირგვი.  
 მორიალე მათი წყება  
 სად ილევა? სად იწყება?

**მეფისტოფელი**

არ ჩაქანდე! ხელი მჭიდდე!  
 შუა თხემი ამონისლდა.  
 გადანათდა კიდით კიდე  
 მამონი და მამონის მთა!

**ფაუსტი**

როგორც რიჟრაჟის სუსტი ციაგი,  
 მოჟონავს დაბლით სინათლე მკრთალი.  
 რაც არ ბნელი და ღრმაა ნიაღი,  
 მაინც ანთია, არ ქრება კვალი.  
 აქ ამოკვამლდა, იქ ცეცხლსაც ირეცს,  
 მიიკლაკნება ვინრო ზოლებად,  
 მერე თავს უყრის ნაკადებს მცირეს,  
 ნიაღვარივით მიიბრძოლებად.  
 ძალმოკრებილი ხეობას უტევს  
 და უფსკრულების ლამობს ავსებას,  
 ხანაც ტინების დაკბილულ ზღუდეს  
 აეტოტება და იქსაქსება.  
 მაგრამ შეხედე! მთა ნახე ზევით!  
 თითქოს უეცარს ელოდა ნიშანს,



შემოგვეგება ნაპერწკლის ფრქვევით,  
გადმოგვაფანტა, ვით ოქროს ქვიშა!

### მეფისტოფელი

როგორ გგონია, დღეს აქ მამონი  
ბნელში დატოვებს თავის სამყოფელს?  
სტუმრებიც მოვლენ სასიამონი,  
ყველაფერს თავზე გადმოგვამხოვენ.

### ფაუსტი

გრიგალი მოაქვთ! მოფრინავენ ზათქით და ზარით!

### მეფისტოფელი

კლდეს მოეჭიდე! უფსკრულისკენ გაგისვრის ქარი!  
დაჯანღდა, ნისლი ჩამონვა სქელი,  
ჩაქუფრა ღამე ისედაც ბნელი.  
ტყვეს ებრძვის გრიგალი, ლენს გაბოროტებით,  
ბუდეებს ტოვებენ დამფრთხალი ჭოტები.  
მუხნარი მოწვევა პირველი კვეთებით,  
მწვანე სასახლეთა დათხრილან სვეტები.  
გადმოდის მალლიდან გრძნეულთა გნისი,  
მოფრენს და მოკივის კაცი თუ დიაცი.  
რა ხმები მოცვივა! იმ მხრიდან, ამ მხრიდან!  
ჯადოქრულს მღერიან, ყურები გახვრიტა!

### კუდიანები ქოროდ

ბროკენს მიდიან კუდიანები,  
მოტილდება გზაზე ყანები.  
ხვათი დადგება ბზიან-ბზიანი,  
დაეყუდება ზედ ურიანი.  
იკურკლებიან მყრალი ვაცები,  
ქარებს უშვებენ დედაკაცები.

### ხმა

შეხეთ, ბებერი ბაუბო ნახეთ!  
ლორზე შემჯდარი მოგელავს აქეთ!

### ქორო

აბა, ქალბატონ ბაუბოს განი!  
ვინ გეგულებათ სხვა მაგის მგვანი!

საფერხეს აზის, არ ეთქმის ფასი,  
კუდიანების მოჰყვება დასი.

**ხმა**

რა გზით გადმოხველ?

**ხმა**

ილზენშტაინით,  
დაუნავსავი რომ ვერ გაივლი.  
ხის ფულუროდან ბუმ გამოხედა,  
თვალეზი ჰქონდა, — მუხლი მომკვეთა.

**ხმა**

სად მიჰქნაობ? ისემც გიქნია,  
ჯოჯოხეთისკენ გზა გაგივნია!

**ხმა**

ჯანდაბა მაგას! რამ გაახელა!  
ნაკანრი დამრჩა, ნახე, რამხელა!

### კუდიანების გუნდი

ზღვა ხალხი მოფრენს, გზები ჩაყორა,  
აქ, ჰაერშიაც, დგას ზედახორა.  
ფინალ-ცოცხები — ლაჯებში ჩრილი!  
მოკლეს! მუცელში გაგუდეს ჩვილი!

### ჯადოქრები. ნახევარგუნდი

კაცი ზანტია, დიაცი მალი,  
არ უჩერდება გული და თვალი.  
იქ სადაც საქმე საეშმაკოა,  
მთელი გაფრენით წინ არის ქალი.

### მეორე ნახევარგუნდი

მაგრამ თუ კაცი გამოდგა მალი,  
ვაი საწყალი დიაცის ბრალი!  
ერთი ნახტომით გაუსწრებს კაცი,  
ასი გაფრენით წინ იყოს ქალი.





**ხმა, ზემოდან**

აქეთ ამოდით მაგ თქვენი ტბიდან!

**ხმები, ქვემოდან**

განათუ არა, გულითაც გვინდა!  
ვიბანებით და სულ ვიბანებით,  
გლუვი და სუფთა დაგვაქვს ტანები.  
მაგრამ ერთხელაც ვერ ვცდუნებით,  
უკარებლობა დაგვყვა ბუნებით.

**ჯადოქრების გუნდი**

მიმქრალა მთვარე, ჩასთვლიმა ქარსაც,  
ერთი ვარსკვლავი არ ბჟუტავს არსად.  
ვართ ჯადოქრები, ნაპერწკლებს გაფყრით,  
ავანთებთ ღამეს ათასი ღამპრით.

**ხმა, ქვემოდან**

ჩამომეშველეთ!

**ხმები, ზემოდან**

ვილაც ჩვენია,  
წინ ველარ მიდის, კლდეს შერჩენია!

**ხმა, ქვემოდან**

ნუ მიმატოვებთ! თქვენთან მნადია!  
ამზიდეთ, როგორც მოგიხერხდებათ!  
ვნვალობ სამასი წელინადია,  
ვერ ავაღწიე თხემზე ერთხელაც!

**ორივე გუნდი**

თუ იქ მოხვედრა ასე გენადა,  
ცოცხით გეცადა, ფიწლით გეცადა.  
ის ვინც ამაღამ ვერ იხმარს ჯადოს,  
მოკვეთილია! კვლავ აღარ ცადოს!

**ნახევარკუდიანი**

მეც სხვებთან ერთად წამოვფორფოტდი,  
ყველამ გამასწრო, არ ჩანს არცერთი.



რა ძალა მადგა, რისთვის მოვრბოდი?  
არადა, შინაც ველარ გაეჩრდი.

**კუდიანების გუნდი**

უნდა გეცადა საცხი საფრენი,  
გეჯის ხომალდი, ქეჩის აფრები.  
ვინც აქ ამალამ უფრენი დარჩა,  
კვლავ აღარ ცადოს, ფუჭია გარჯა.

**ორივე გუნდი**

თხემზე მოფრინდით დაუოკველნი,  
უკან დავტოვეთ გზაც და გრიგალიც,  
აჰა, გრძნეულნო, ესეც ბროკენი!  
დავფაროთ მთელი სიგრძე-სიგანით!  
(დაფრინდებიან.)



**მეფისტოფელი**

დუნდგოდ! ჯელგმებად!  
ლრინაცელით! თავპირის მტვრევით!  
ჩახერგეს ყველა გასასვლელი ზევით თუ ქვევით!  
სინათლეები! მყრალი სუნთქვა! წყვეტა! ჯაჯგური!  
ყველა მჩხიბავი აქ შეყრილა! პოვეს სადგური!  
გვერდზე მომყევი, არ გამებნე! მედგრად! მხარდამხარ!  
მაგრამ სადა ხარ, ველარ გხედავ! ეჰე, სადა ხარ?

**ფაუსტი**

აქა ვარ!

**მეფისტოფელი**

კიდევ დამკარგვიხარ, მოგვასკდნენ ღვარად!  
ისე გაგვწენეს, ეშმასთვისაც ყელამდე კმარა.  
რაც არის, არის, ვისარგებლებ ჩემი უფლებით.  
გზა, გზა! ვოლანდი მოზრძანდება! ნუ შევეჯგუფდებით!  
ჩემკენ, დოქტორო! მხარი მხართან! მომეჭდე მარჯვედ!  
ჯობია, სადმე გაენაპირდეთ, აქედან გავძვრეთ.  
შუქი ჩანს მანდეთ, ბურქებიდან გამონასხლექტი,  
მიფარებული ადგილია, მყუდროდ დავსხდებით.



### ფაუსტი

წინაუკმობის ხელმწიფე ხარ, ისეც ჭრი, ასეც!  
 ვალპურგობაზე მომიყვანე, ბროკენის მთაზე,  
 არადა, თურმე რას კითხულობ, რისთვის მოვედით?  
 მიფარებულში უნდა ვისხედეთ განმარტოებით!

### მეფისტოფელი

მთლად ისე მარტოც არ ვიქნებით, ხალხია მანდაც,  
 ფერად-ფერადი, მხიარული სინათლე ჩანდა.

### ფაუსტი

იქ, ზემოთ ასვლა მირჩევნია შენს მყუდროებას,  
 მთაერის საყუდარს მისწყდომია ხალხი ჯგროვებად,  
 ამოდის კვამლი, მწვანე ცეცხლი ბრუნავს უქრობლად,  
 მანდ ბევრი კვანძი გაიხსნება ამ ვალპურგობას.

### მეფისტოფელი

და ბევრი კიდევ შეიკვრება, სულსწრაფი ნუ ხარ!  
 მცირე და თბილი წრე გერჩიოს დიდსა და მდულარს.  
 ეგ დიდ-დიდებიც იქსაქსება, არ გადის ხანი.  
 ნეტავ შენ ერთი! ეგენიც და მაგათი რჯანი!  
 იქით გახედე! კუდიანთა მთელი დასია,  
 გაშიშვლებულან, ტანზე მხოლოდ ბებრებს აცვიათ.  
 მე დამდე ხათრი, შეესიტყვე, მღიმაირი მიდი,  
 რა გენაღვლება — მცირე გარჯა, სიაშე დიდი!  
 ჰა, საკრავებიც ახშიანდნენ ათასი ჯურის,  
 სმენა მეხშობა, შევაჩვიოთ როგორმე ყური!  
 ან იქნებ ჯობდეს, შევუერთდეთ, ვსინჯოთ ყველა ხმა!  
 მოდი, მომყევი, დაგანყევილო უნდა ხელახლა!  
 მცირე წრე-მეთქი — და გახედე, რა კიანთია,  
 მხოლოდ ამ რიგში ასრამდენი ცეცხლი ანთია!  
 მღერენ, ღრებენ, დაცეკვავენ, აფრქვევენ ხალისს,  
 სიყვარულობენ, — უკეთესსაც რას ნახავს თვალი!

### ფაუსტი

სანამ წარმადგენ, შენდათავად როგორ წარდგები,  
 როგორც ეშმაკი? თუ ნილაბი გაქვს მოსარგები?

**მეფისტოფელი**

აქ ინკოგნიტოდ ვერ დავრჩები, ვალი ვალია,  
ყველა ორდენი უნდა ჩანდეს და რეგალია.  
თუმცა ორდენი ლეკვერთხისა არ მიკეთია,  
აქ ცხენის ფლოქვი ჯინჯილებზე ბევრად მეტია.  
იმ ლოკოკინას რომ უყურებ, მოდის წვალეებით,  
არადა, მიცნო! აქ ვერავის დაფემალები.  
კოცონებს დავეყვით, აკი გსურდა ხალხში გარევა,  
შენ სასიძო ხარ სანატრელი, მე მეჯვარე ვარ.  
*(მიმართავს რამდენიმე მოხუცს მიმქრალ კოცონთან.)*

ბერიკაცებო, იყავით მაგრად!  
ვერ მოგიწონებთ, არ ზიხართ ლხინად!  
უნდა იფეთქოთ, სიყრმისა დაკრათ,  
ბებრული თვლემა გეყოფათ შინაც.

**გენერალი**

რას შევალეე ცხოვრება მთელი!  
ბრბოც ის ყოფილა, რაც არის ქალი,  
მტლედაც დაედო, არ ახსოვს ძველი,  
მუდამ ახლებზე უჭირავს თვალი.

**მინისტრი**

დღეს სასიკეთო არა ხდება რა,  
რას ვამყნიდით და რა გამოება!  
ცხოვრების ჩალხი ჩვენ რომ გვებარა,  
აბა, ის იყო ოქროს დროება!

**პარვენიუ**

ჩვენც გვიცხოვრია, არ გვაკლდა ჭკუა,  
ჩვენც ვაკეთებდით, რაც არა ხამდა.  
გაქრა ის ჟამი თვალს და ხელს შუა.  
მოხუზულები მივათრევთ ზამთარს.

**მწერალი**

ვინ დაგაფასებს, თუ ცოტა ღრმაც ხარ,  
მხოლოდ ღლაბუცზე არ გადახვედი!  
ახალთაობის არ მიყვარს ლანძღვა,  
მაგრამ საიდან — ასე თავხედი!







**მეფისტოფელი, უეცრად მიხრწნილ მოხუცად იქცევა**

ვეჭვ, ბროკენობას მოვესწროთ შემდეგს,  
განკითხვისათვის მწიფს ეს ქვეყანა.  
რაც ჩემი კასრი დავიდა მთლემდე,  
მთელი სამყარო ძირს დაექანა.

**მენვრილმანე კუდიანი**

აქეთ მობრძანდით, ბატონებო, გვერდს ნუ ამივლით!  
ნაირ-ნაირი საქონელი მაქვს მოტანილი.  
აილეთ რამე! არჩევანი ძალზე დიდია!  
არც ერთი ნივთი, ცოდვა-ბრაღი რომ არ ჰკიდა!  
არა ფიალა სანამღავთან გაუკარები!  
არა ხანჯალი, კაცის გულში გაუტარები!  
რაც სამკაული — გაპოხილი ცთუნების შხამით!  
რაც ხმალი — ზურგში ჩაცემული მოძმისთვის ღამით!

**მეფისტოფელი**

პაპიდაჩემო, დაგიძველდა ეგ ხარახურა,  
უნდა ისეთი გამოჩნებო, რაც არ ნახულა.

**ფაუსტი**

რა ძველიც არის, მაინც მამღვრევს ეგ უაზრობა.  
გმაღლობთ, დიაცო! დიდებული ვნახე ბაზრობა!

**მეფისტოფელი**

გამოვეცალოთ, ჯელგმა მოდის აღმა მდინარი!  
რომ გეგონება, მოისროლე ვილაცა ბრძოლით,  
ხედავ, თვითონ ხარ მოსროლილი...

**ფაუსტი**

ის იქ ვინ არის?

**მეფისტოფელი**

ის? ლილიტია.

**ფაუსტი**

ვინ?

**მეფისტოფელი**

ადამის პირველი ცოლი.

რა თმა აქვს, ნახე! სილამაზით დამსხმელი რეტის!  
სამკაული და საფარველი რად უნდა მეტი!  
გაფრთხილდი, თვალი არ უსწორო ვნებით აღვსილმა,  
ვინც მაგის თმაში გახლართულა, ველარ დახსნილა.

**ფაუსტი**

იქ ორნი სხედან, ლამაზმანი და დედაბერი,  
ხტომით დალილან, ისვენებენ მდელოზე ახლა.

**მეფისტოფელი**

ნამო, ვეცეკვოთ, რამეც ვუთხრათ მათი საფერი.  
დღეს აქ რას ჰქვია დასვენება! რას ჰქვია დაღლა!

**ფაუსტი, ცეკვავს ლამაზმანთან ერთად**

სიზმარი ვნახე, რისია, მითხარ,  
უცხო ნალკოტში ვაშლისხე იდგა,  
ვაშლი მოესხა წყვილი და ტკბილი,  
უმალ ავცოცდი, მეგემა ხილი.

**ლამაზი კუდიანი**

გიზიდავთ კაცებს ვაშლი მაცთური,  
სამოთხის ხეა მაგის დასტური.  
ნალკოტსა ჩემსა კარი აქვს ღია,  
აქაც იმგვარი ვაშლები სხია.

**მეფისტოფელი, ცეკვავს დედაბერთან ერთად**

სიზმარი ვნახე, რისია, მითხარ,  
ხრიოკ მინდორში ხმელი ხე იდგა,  
ღრუ ჰქონდა ქვედან, ლირნი რამ იყო,  
მაინც თვალი და გული ნამიღო.

**დედაბერი**

რაინდო, ფლოქვი გიხდება ცხენის,  
სიტყვაა, გშენის, საქმეა, გშენის.  
ზედ რომ საოხრე გკიდია მრუში,  
უნდა პირდაპირ შეჩარო ღრუში.





### პროკტოფანტაზმისტი

ერთხელაც იყო, დაგიმტკიცეთ, მე მგონი, კარგად,  
 თუ სულები ხართ, ესე იგი ხელ-ფეხი არ გაქვთ.  
 აქ კი რას ვხედავ! კაცთა მსგავსად როკავთ, წყეულნო!  
 დაიმახსოვრეთ სამუდამოდ, — ხართ უსხეულო!

### ლამაზი კუდიანი, ცეკვავეს

ვინ ოხერია, ჩვენს ზეიმზე რა ესაქმება?

### ფაუსტი, ცეკვავეს

ეგ ყველგან არის, საცა შეძლებს კვალის გაგნებას.  
 სხვები ცეკვავენ, ეს აფასებს გულმოდგინებით,  
 შეფასება კი იმას ჰქვია, გვიკლებს გინებით.  
 თუ რამე საქმე წინ წავიდა, ერევა ბრაზი,  
 დახავსებულს და ობზიდებულს კრუხივით აზის.  
 ვინც თუ რაც არის, უნდა იყოს ძველზე მისკენილი,  
 უქმად ბრუნავდეს, როგორც მაგის ძველი წისკელი.

### პროკტოფანტაზმისტი

თქვენ ისევ აქ ხართ? დროზე გაქრით, ნუ მაბოროტებთ!  
 აზრს ვერ შემიცვლით უნესრიგო თქვენი ფართქალით.  
 განქარდით-მეთქი! შეცნობილი მყავხართ ბოლომდე,  
 ვერ გამაცურებთ, არ მერევა ტყუილ-მართალი.  
 ერთი ეგ არის, როცა ტეგელს ჩავდივარ ხოლმე,  
 მოჩვენებები მეხვევიან, წავლენ და მოვლენ...  
 მაგ ამბებისგან, ხანი გახდა, განვკურნე თავი.  
 ნუთუ კვლავ ის ხართ? დასაწყისი შეტევის მწვავის?

### ლამაზი კუდიანი

ველარ გაჩერდა!

### პროკტოფანტაზმისტი

ძალაც შემწევს! მიჭრის გონებაც!  
 სულთა დესპოტიზმს სული ჩემი არ ემონება!  
 (ცეკვა გრძელდება.)  
 დღეს არაფერი გამოივია, უნდა წავიდე.  
 ვისთან გაქვთ საქმე, დაგანახებთ! გამოცდით მაგას!  
 არ შეგეშვებით! მსურს იცოდეთ ეს ამთავითვე!  
 ქაჯ-ეშმაკებსაც, პოეტებსაც ამოგდებთ ლაგამს!

**მეფისტოფელი**

ახლა პირდაპირ გუბისკენ მიდის,  
ჩაჯდება შიგ და — ხილვებო, ჩაცხრიო!  
სულელებისაგან სულს ითქვამს რითიც, —  
ზედ სასკორავზე წურბლების დასხმით.  
(საცეკვაო წრიდან გამოსულ ფაუსტს.)  
როგორ მღეროდა ის შენი გოგო!  
მიატოვე თუ მან გაგირიდა?

**ფაუსტი**

კარგად მღეროდა, თქმა არ უნდა! ეგ იყო ოლონდ,  
ნითელი თავი ამოუხტა უცებ პირიდან.

**მეფისტოფელი**

მაგან დაგაფრთხო? დახტუნავდით ფეხანყობილად.  
ნითელი იყო, ნაცრისფერი ხომ არ ყოფილა!  
მთავარი საქმე წავიდოდა თავისი რიგით...

**ფაუსტი**

კიდევ რა ვნახე...

**მეფისტოფელი**

რა?

**ფაუსტი**

მეფისტო, გახედე იქით!  
ლამაზი ბავშვი, შორს, თავისთვის... ფერი წასვლია...  
ჩემი გრეტხენი გეგონება, სრული ასლია.  
ოლონდ ფეხები შეკრული აქვს, ბორკილი ადევს...

**მეფისტოფელი**

მკვდარი კერპია, მოლანდება, სიცრუის ბადე!  
თვალი არიდე, სისხლს უყინავს ძარღვებში მოკვდავს,  
ქვად უქცევია, ვისი მზერაც ახლოდან მოხვდა.  
მედუზა გორგო ხომ გსმენია? ჰოდა, ის არის.







### ფაუსტი

რა გაყინული თვალები აქვს... მართლა მკვდრისანი...  
 თან გრეტხენია! ყველა ნაკვითი — იმისეული!  
 ჩემი კოცნებით დაფარული იმის სხეული!

### მეფისტოფელი

ჯადოქრობაა, გონს მოეგე, ასე ნუ ლელავ!  
 ვინც კი შეხედავს, თავის სატრფოს ხედავს სუსყველა.

### ფაუსტი

თვალს ვერ ვაცილებ, ვერ ველევი იმ ნეტარ ტკივილს!  
 ერთად გაცოცხლდა ყველაფერი, მწარეც და ტკბილიც.  
 მაგრამ ის რა აქვს, ყელზე რაღაც ზოლი ავლია...

### მეფისტოფელი

პერსევსმა თავი რომ მოჰკვეთა, იმის კვალია,  
 ტანს არ შეზრდია, ისეც ისე დარჩა მოჭრილი.  
 სურს და გაივლის ილიაში თავამორილი.  
 კარგი, ნუ გიყვარს მიკორძება მაგ შენს ტკივილთან,  
 სერზე ავიდეთ, გადავხედოთ მთელ ამ სამყოფელს.  
 ზიმზიმებს ხალხი, მოხორხოცე და მოლალობე,  
 გეგონებოდეს, სასეირნოდ პრატერს მივიდა!  
 მანდ, შორიახლოს, სათეატროც მიდის მზადება.  
 ვკითხოთ, რას დგამენ, სასიამო რა გვექადება.

### სერვიბილისი

პრემიერაა, შეიძთაგან ბოლო,  
 უთამაშები ეს დაგვრჩა მხოლოდ.  
 თვალი შეგვაველეთ, დავინწყებთ ახლავ,  
 გულის დადებს არ გთხოვთ სრულებით,  
 მოყვარულისგან შეთხზული გახლავთ,  
 ითამაშებენ მოყვარულები.  
 გტოვებთ, მეცა მაქვს ჟინი ფარული,  
 ფარდის ანევის ვარ მოყვარული.

### მეფისტოფელი

კარგია, ბლოკსბერგს რომ ვერ ელევით,  
 რომ ხართ ნამდვილი ბლოკსბერგელები.

ვალპურგობის ღამის სიზმარი ანუ ობერონისა  
და ტიტანიას ოქროს ქორნილი

(ინტერმეცო)

**თეატრის დირექტორი**

დღეს მიდინგის ქველნი ძენი  
ვისვენებთ და ვერთობით,  
ეს ტევრია სცენა ჩვენი,  
ეს ჭალა და ფერდობი.

**პეროლდი**

ოქროს ქორნილს იმით ვაქებ,  
არას შეგყრის შარიანს,  
საჩხუბარი ყველა საქმე  
უკვე ნაჩხუბარია.

**ობერონი**

დღეს მეფე და დედოფალი  
ულღდებიან თავიდან.  
დაულოცეთ გზები ხვალის,  
რაც ნავიდა, ნავიდა!

**პუკი**

როკვა-როკვით მოხტის პუკი,  
მხიარული დრო გველის,  
უკან მოსდევს პაკაპუკით  
კიდევ ასი მროკველი.

**არიელი**

მღერა-მღერით ვუხმობ ქალებს,  
შესდგომიათ ფართქალი,  
ყველა ერთად მოფართქალებს,  
თვალადი თუ ართვალდი.

**ობერონი**

გვენდე, ცოლო, გვბაძე, ქმარო,  
გესმათ ჩვენი შეგონება:





ჟამ-ჟამ უნდა გაიყაროთ,  
 გაგიტკბილდეთ შეკონება.

### ტიტანია

თუ ცოლქმრობას რამე ამღერევს,  
 ეგე საქმე გაამყარებს:  
 გაიგზავნოს ცოლი სამხრეთს,  
 ქმარი სადმე ჩრდილო მხარეს!

### მთლიანი ორკესტრი

(ფორტისიმო)

კოლო არის, ბუზი არის,  
 თუ ჭრიჭინა ბრძანდება,  
 სამყვარეთიც, ყველა მყვარი,  
 სხედან ორკესტრანტებად.

### სოლო

ეს კი გუდა გახლავთ სტივრის,  
 ან, უბრალოდ, ბუშტი საპნის.  
 თუ ყვირის და, უშვერს ყვირის,  
 თუ უკრავს და, სმენას ჩხაპნის.

### ვერდასრულებული სული

ქინქლის ფრთები, ფაშვი მყვართა,  
 ფეხები აქვს ბაბაჭუს.  
 სულდგმულია განა მართლა,  
 ლექსია და გაბმით ბზუის.

### მოხტუნავე წყვილი

მოკლე სკუპით, „ჰოპლა-ჰოთი“  
 დავხტუნაობთ მინდვრად,  
 ფრენა მაინც არ გამოდის,  
 ხტი, რამდენიც გინდა!

### ცნობისმოყვარე სული

იქნებ ლანდურ თამაშს ვერთვი,  
 ლანდურია ეს ხატებაც?  
 თუ ელფების კობტა ღმერთი,  
 ობერონი, მეცხადება?



**ორთოდოქსი**

ვერ გავიგე, რაზე სწყალობთ!  
ნატურით მიაჩერდებით!  
ემშაკია უკუდბრწყალო,  
ვით ბერძენთა ღმერთები.

**ჩრდილოელი ხელოვანი**

ჩანაფიქრებს, მონახაზებს  
ვერ ვალირსე დამთავრება.  
დროით მინდა გასვლა გზაზე,  
იტალიას გამგზავრება.

**პურისტი**

შაბაშია, ვხედავ, სრული,  
კუდიანნი სხედან ჯარად,  
მაგრამ შესვრილ-შეუპდრული  
ორი ჩანს და მეტი არა.

**ახალგაზრდა კუდიანი**

სათხიპნარებს მე არ ვისვამ,  
ბებრის გარდა ვისა სცხია!  
შიშვლად მოველ, მალვა რისამ  
არ მჭირდება ფერხორცინს.

**მატრონა**

რაც ჩვენ ვნახეთ სანახავი,  
ცხოვრებაში ვერ იხილავ!  
შენც დაგიზრობს სუსხი ყვავილს,  
შენც გახდები ჩვენი კბილა!

**კაპელმაისტერი**

დაისჯება კოლო-ბუზი,  
ვინც შიშვლესში გაფრინდა!  
შენც, ჭრიჭინავ, ხემი უსვი,  
ნუ ამოხტი ტაქტიდან!

**ფლუგერი, აქეთ**

ვაუთა კრებავ, დასნო ქალთა,  
წყვილნო სასძლო-სასიძონო,







დაგაფართო ზენამ კალთა,  
 ია კრიფოთ, ვარდი კონოთ!

### ფლუგერი, იქით

დურბელა და შავი ჭირი,  
 ვაჟთა კრებაე, ქალთა დასნო!  
 მინამ გიყოთ ყველას პირი,  
 ჯოჯოხეთი შემოგაგზნოთ!

### ქსენიები

მწერები ვართ პატარა,  
 ვიკბინებით მწარედ.  
 ჩვენი მამა, სატანა,  
 ამბობს: „გაიხარეთ“!

### პენინგსი

დაგნამებენ ბოროტს,  
 დაგსისხლავენ კბენით,  
 დაგმღერებენ ბოლოს:  
 „კარგი გულით ვქენით“!

### მუსაგეტი

კუდიანთან ყოფნა მიჯობს  
 ცხრავე მუზის მმუქარებას,  
 ელრიჯო თუ არ ელრიჯო,  
 ყველა გახლავთ უკარება.

### ჩავლილი დროის გენია

უნდა ბროკენს დავესახლო,  
 სხვა სამყოფი არ მაქვს.  
 გაუმარჯოს ბროკენს, ხალხო,  
 ჩვენს გერმანულ პარნასს!

### ცნობისმოყვარე მოგზაური

ეს ვინ არის, ასე ჭიფხი?  
 სნეული ჩანს მძიმე სენით.  
 დაგყნოსავს და შეგებით იტყვის:  
 „იეზუიტს მივაგენი“!

**ყანა**

მღვრიე წყალი, წმინდა წყალი, —  
ყველგან ჩემი ფაცერია,  
თუ მატყვია ეშმას კვალი,  
სათნობაც მანერია.

**ერისკაცი**

ვიცნობ მაგათ სათნო წრიას,  
უყვართ ხალხის ნაჩხუბება,  
ბროკენზედაც მოუწყვით  
ათასგვარი დაჯგუფება.

**მოცეკვავე**

ეს აქ რისი კიაფია?  
ასე მწყობრად რა ხმოვანებს?  
იშხვარების „პია-პია“  
მოსდებია ლერწმოვანებს.

**ტანცმაისტერი**

ვის რა ცეკვაც გამოუდის,  
ფეხებს იქნევს ყველა ჯური,  
როკავს კოჭლი, ბუქნავს კული,  
დანარნარებს უფმაჯური.

**მეჭიანურე**

აქ რა ხდება, მითხრას ვინმემ!  
ერთმანეთი როგორ წენეს!  
მხოლოდ სტივირი აშოშმინებთ,  
ვით ორფეხის ქნარი მხეცებს.

**დოგმატიკოსი**

ვერ დავყვები ვერა სკეპსისს,  
ჩემი რწმენის სანაცვლოდ.  
ეშმაკია, ვჭვრეტ და მესმის,  
მაგრამ ცნობით არა ვცნობ.

**იდეალისტი**

სამყარო და მისი ხმევა  
სუბიექტის არის ხილვა.





რაც აქ ხდება, ეს თუ მე ვარ,  
 დღეს ჭკუაზე არ ვყოფილვარ.

#### რეალისტი

უზიავად ნამოვეგზენ,  
 რაც ეს ეშმა შემეყარა.  
 დღეს პირველად ორსავ ფეხზე  
 ველარ ვდგავარ ისე მყარად.

#### სუპერნატურალისტი

აუხსნელი რაც მრჩებოდა,  
 აქ წავადექ ახსნილს:  
 კეთილ სულთა არსებობას  
 ამ ავსულით ვასკვნი.

#### სკეპტიკოსი

თუ ეშმა ნამდვილი,  
 ეჭვთა სრული ხატება,  
 უკეთესი ადგილი  
 აღარც მომენტრება.

#### კაპელმაისტერი

გამოცვლია არაქათი,  
 მყვარი ხარ თუ მწერი ხარ!  
 მუსიკოსთა მარაქაში  
 დილეთანტად წერიხარ!

#### ფხიანები

როგორც გვინდა, ისე ვწირავთ,  
 ლაღნი ვართ და მხიარულნი,  
 თუ დავგჭირდა, თავდაყირაც  
 შეგვიძლია სიარული.

#### უფხონი

დავეჩვიეთ გზად ხეტიალს,  
 განვდილი გვაქვს ცალი ხელი.  
 ხამლი ცეკვით გავცვებითა,  
 დავტანტალებთ ფეხშიშველი.

### ჩამქრალი მეტეორიტი

ვარსკვლავეთში მედო წილი,  
ვფრენდი თვალთა სალხენად.  
ბალახში ვარ ჩამხობილი,  
არვინ წამომამყენა.

### მოციაგე ალები

ვართ ჭონჭყოთა ბინადარნი,  
ჭაობებში ვიმალებით,  
მაგრამ ყველას, ვინც მანდ არი,  
ვჩრდილავთ ჩვენი ბრწყინვალეებით.

### სქელები

ჩამოდექით! აბა, განი!  
სხვა ბილიკზე იციმცმეთ!  
სულნი მოვალთ ზორზოხანი,  
სქელ-სქელი და მძიმე-მძიმე.

### პუკი

სად მოიწევთ! ნუ გვანყდებით  
სპილოების ჯოგივით!  
არ დაიხევთ თქვენი ნებით,  
პუკი ვარ და მოგივლით!

### არიელი

აისს ვხედავ ძონებიანს,  
აიშალე, ჩრდილთა ჯარო!  
ვისაც ფრთები გვბობებია,  
ვარდის მთაზე გავეჩქაროთ!

### ორკესტრი

(ფორტოსომო)

შეუფაკლავს ნისლი რიჟრაჟს,  
მზე ამოდის ოქროს სვეტად,  
ლერწმოვნებში ქარი იძრა,  
ყველა ლანდი მიმოხვეტა.

გერმანულიდან თარგმნა დავით წერედინამა.

(გავრძელება შემდეგ ნომერში)



პუბლიკაცია გაფორმებულია  
ერნსტ ბარლახის  
ილუსტრაციებით.



## უკვდავი სახელები



გიორგი სარაჯიშვილი

## ნაცნობი და მაინც უცნობი ომარ ხაიამი

„ამბობენ, რომ სპარსელებმა თავის პოეტთაგან ხუთი საუკუნის მანძილზე ღირსეულად ცნეს მხოლოდ შვიდი პოეტი. მაგრამ დარჩენილთა შორისაც, რომლებიც დაიწუნეს სპარსელებმა, კიდევ ბევრი აღმოჩნდება ჩემზე უკეთესი“.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

სპარსულ-ტაჯიკური კლასიკური პოეზიის უდიდესი წარმომადგენელი ომარ ხაიამი დაიბადა ქალაქ ნიშაპურში, სადაც ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა კიდევ. დაბადებისა და გარდაცვალების ზუსტი წლები დღემდე უცნობია, რამეთუ მის სამარეს ქვა არ სდებია. საუკუნეთა განმავლობაში კინაღამ საფლავის კვალი წაშლილა და ზეპირი გადმოცემით შენახულა. ხაიამის ცხოვრების წლები მეცნიერთა შრომებში სხვადასხვანაირად მოიხსენიება. 1040 წელი, როგორც ხაიამის დაბადების თარიღი, და გარდაცვალების – 1123 წელი, მინიშნებულია უმრავლესობის მიერ. აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში რჩებოდა გაურკვეველობა, რომ არა ხაიამის პიროსკოპი. ხაიამის პირადად მცნობი ისტორიკოსის აბულ-ლ-ჰასან ალ-ბაიხაკის (1106-1174) წიგნში – „ისიბრძნის დამცველის“ დამატებაში – არის ცნობები ხაიამის პიროსკოპის შესახებ. პიროსკოპებს, ბუნებრივია, არ შეუძლიათ ჩასახონ ნდობა წინასწარმეტყველების შესახებ, მაგრამ პიროვნების დაბადებისა მნათობთა განლაგების ზუსტი მინიშნება პიროსკოპში წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტს თარიღის დადგენისათვის. ბაიხაკი წერს: „ხაიამი პიროსკოპის მიხედვით იყო ტყუპები. მზე და მერკური იმყოფებოდნენ ტყუპების მესამე გრადუსში, მერკური იყო შემაერთებული (მზისათვის), ხოლო ოუპიტერი იყო ორთავეს მიმართ ტრიგონალურ ასპექტში“. პიროსკოპი აფიქსირებდა მზის, მერკურის და ოუპიტერის მდებარეობას ხაიამის დაბადების დღეს. არ იცინა, ეს პიროსკოპი ხაიამის დაბადების დღეს არის შედგენილი, თუ მოგვიანებითაა გამოთვლილი. ეჭვმიუტანებელი ფაქტი – ბაიხაკისათვის ეს თვით ხაიამისაგან გამხდარა ცნობილი. აღნიშნა, რომ მზე იმ დღეს მდებარეობდა ტყუპების მესამე გრადუსში, იძლევა საშუალებას განისაზღვროს ხაიამის დაბადების თვე და რიცხვი. დადგინდა, რომ პლანეტების შეთავსებას ადგილი ჰქონდა მხოლოდ 1048 წლის 18 მაისს, როცა მზის, მერკურის და ოუპიტერის გეოცენტრიული ხანგრძლივობები იყო შესაბამისად: 63°, 59°, 305°. პირველად გამოთვლები აწარმოა ინდოელმა მკვლევარმა სვამი გოვინდა ტირტხამ, ვინც 1941 წელს გამოსცა წიგნი ხაიამზე, რომელშიც შეგროვილია პოეტის იმ დროისათვის ცნობილი თითქმის ყველა რობაი, ხაიამის ზოგიერთი ფილოსოფიური

ტრაქტატი და დიდი რაოდენობით ბიოგრაფიული მონაცემები. გვინდა პლანეტების მოძრაობების თაობაზე გამოთვლებისას სარგებლობდა შუა საუკუნეების ინდური ცხრილებით. მისი გამოთვლები შეამოწმა საბჭოთა ასტრონომმა შ. შარავიმ და ზაიმის ჰოროსკოპში მზის, მერკურისა და უპიტერის მდებარეობანი სქემატურად გამოსახა.

ზაიმის გარდაცვალების წლის განსაზღვრას ნიზამი არუზი სამარყანდლის მონათხრობის საფუძველზე ვამჯობინებთ: „506 წელს (1112/13) ბალხში, ყრმათა მივაჭრეთა ქუჩაზე, ემირ აბუ სადათ ჰჯარეს სახლში გაჩერდნენ ხოჯა იმამი ომარ ზაიმის და ხოჯა იმამი მუზაფარ ისფაზარი (ზაიმის მოწაფე), მეც შევეურთდი მათ. ნადიმის დროს გავიფიქრე, როგორც სრული ჭეშმარიტება, ომარმა თქვა: „ჩემი საფლავი იქნება იქ, სადაც ყოველ გაზაფხულზე ქარი ყვავილებს მომაფრქვევს“, რამაც ფრიალ გამაკვირევა, მაგრამ ვიცილი, რომ ასეთი ადამიანი ცარიელი სიტყვებით არ ილაპარაკებდა.


როცა 530 წელს (1135/36) ჩავედი ნიშაპურში, გასული იყო ოთხი წელი, რაც ამ დიდმა ადამიანმა სახე დედამიწის საფარით დაიფარა და მდბალი სამყარო მის გარეშე დაობდა. იგი იყო ჩემთვის დიდი მრჩეველი: პარასკევს წავედი, რომ მისთვის თაყვანი მეცა, თან წავიყვანე ერთი კაცი, რათა საფლავი ეჩვენებინა. მან მიმიყვანა ხირეს სასაფლაოზე. მოეტრიალდი მარცხნივ და კედლის ძირში დავინახე მისი სამარე. შემოლობილი ბაღიდან მსხლისა და გარგარის ხეების ტოტები დახრილიყვნენ, საფლავი მოეცაო, ყვავილოვანი ტოტები მიულ საფლავს ფარავდნენ. მეხსიერებამ მაშინვე აღიღინა ის სიტყვები, რაც ბალხში მოვისმინე, ავკეთინდი, დედამიწის ზურგზე, სადაც დასახლებულია ადამიანთა ერთი მეთოხედი, ვერ ენახავდი ადგილს მისთვის ამაზე კარგს და უფრო შესაფერისს“.


ზაიმის გარდაცვალების ყველაზე უფრო სწორი თარიღი ალბათ უნდა იყოს 1131 ან 1132 წელი, რაც ღრმა მოზუცებულობაში მის გარდაცვალებას არ ეწინააღმდეგება.

ხელნაწერთა მიხედვით, ზაიმის „გვარი“ სრული სახით ხევადასხვანაირად არის გადმოცემული. ყველაზე სრული ფორმით უნდა იყოს: ყიას აღდინ აბუ-ლ-ფათჰ ომარ იბნ იბრაჰიმ ზაიმის (ალ-ზაიმის) ნიშაპური (ან - ნაისაბური). აქ ომარი ზაიმის პირადი სახელია, იბნ იბრაჰიმ ნიშაპავს „იბრაჰიმის“ ძეს, აბუ-ლ-ფათჰ - „ფათჰის მამას“. ასეთი სახით სახელების დამატება, არა აუცილებელი აღმნიშვნელი, საზოგადოდ იყო მიღებული შუა საუკუნეების აღმოსავლეთში, - ზაიმს „ჰყავდა შვილი ფათჰა“. ყიას აღდინ - „სარწმუნოების დახმარება“ - საპატიო ზედწოდებაა, შემდგომში მიღებული სწავლულის მიერ; „ნიშაპური“ მიმანიშნებელია ადგილისა, სადაც დაიბადა ზაიმის. „ზაიმის“ „კარვის მქსოველ ოსტატს“ ნიშაპავს, იგი მომდინარეობს სიტყვიდან „ზაიმის“ - კარავი, რაც მიგვითითებს მამის ან წინაპრების პროფესიაზე, რაზედაც ერთ რობაში ზაიმის თავად მიგვანიშნებს. ჩანს, რომ მის მამას ერქვა იბრაჰიმი, ეტყობა, ის ხელოსნობის გვარის წარმომავლობისაა.

შუა საუკუნეების წყაროების მიხედვით, ზაიმს უწოდებენ „იმამს“ - სულიერ ბელადს; „ხოჯას“ - მასწავლებელს, „ჭეშმარიტების დამამტკიცებელს“.

ომარ ზაიმის საფლავზე





„დიდი ენციკლოპედისტი“ „ოქროს ჯვარისით“ ერთხელაც კბილებს იშემენდა და „ყურადღებით კითხულობდა იბნ-სინას ენციკლოპედეორ თხზულებას – „განკურნების წიგნს“. როცა მიაღწია სათაურს „პირველყოფილისა და სიმრავლის შესახებ“, მან ჩალო „ჯვარისი“ ორ ფურცელს მორცა და თქვა: „დაუმახეთ უბიწოს, რომ ანდერძი შევადგინო“. ადგა, ილოცა, რის შემდეგაც არც დაუღუგა და არც უჭამია. როცა საღამოს ილოცა დამთავრა, პირქვე დამხოხობლმა თაყვანი სცა მიწას და წარმოთქვა: „ღმერთო ჩემო, შენ იცი, რომ მე გიწამე ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში, მაპატიე შენ ჩემი ცოდნა შენი – ეს ჩემი გზაა შენამდე“ და გარდაიცვალა“.

ნიშაპურში იმამ მახპრუკის ხსოვნის მეჩეთის ახლოს ხაიაშის საფლავი მღებარეობს. პოეტის თაყვანისცემლებმა 1934 წელს საფლავზე სხვადასხვა ქვევრებში შერგოვილი თანხით აღმართეს ობელისკი, რომლის წარწერა იწვევბოდა: „516 წელი, ბრძენის გარდაცვალება“, პიჯრით, მივარის კალენდრის მიხედვით, და იქვე ეწერა:

„ხაიაშის საფლავთან ჩამოჯექე, შენი მიზანი მოითხოვე,  
სამყაროს შესთხოვე მწუხარებისაგან ერთი წამით შეყოვნება,  
თუ გინდა, რომ იცოდე ობელისკის აშენების თარიღი,  
საიდუმლო სულისა და რწმენისა ხაიაშის საფლავთან მოითხოვე“.

ობელისკის შემქმნელ-დამდგმელები თვლიდნენ, რომ ხაიაში გარდაიცვალა არა 526 წელს, არამედ 516 წელს (1122-23 წწ.).

და „თუ შენ გინდა გაიკო ობელისკის აშენების თარიღი“, ამისათვის, აღმოსავლური ტრადიციის მიხედვით, რობაის მეოთხე სტრიქონის ყოველი სიტყვის ასოს შეუსაბამე მისი რიცხვითი მნიშვნელობა, არაბულ ასოთა ნუმერაციით, მიღებული რიცხვები შეკრიბე, ჯამში მიიღებ 1313 წელს პიჯრით, მზის კალენდრის მიხედვით, ხოლო თანამედროვე ირანის ოფიციალური სახალხო კალენდრით იგი ჩვენი კალენდრის 1934 წელს შეესაბამება.

ყველაზე ძვირფას ძეგლს დიდი სწავლულისა და პოეტისათვის წარმოადგენს მისი შემოქმედება. თანამედროვე მსოფლიოში, დედამიწის ორივე ნახევარსფეროზე, დღითიდღე იზრდება „რობაისტიების“ წრე, მრავალ ენაზე მაღალხარისხოვანი თარგმანების მეშვეობით. ხაიაშს, დიდ შემოქმედს, ადამიანური ცოდნის ყველა სფეროში მსოფლიო სახელი შეუქმნა არა მისმა მეცნიერებულმა და ფილოსოფიურმა ტრაქტატებმა, არამედ ლექსთა კრებულმა – „რობაიათმა“, მაგრამ მისი სახელი გარდა პოეზიისა მეცნიერებასაც ეკუთვნის.

ალბათ „იშვიათია მჟორე პოეტი, რომელშიაც ასეთი ინტეგრალითი თრთოიდეს ადამიანის სულის მღულარება. ...ნამდვილი პოეტი იყო, რომ დაეცვა თანმიმდევრობა თავის სიბრძნეში, ნამდვილი ბრძენი იყო, რომ დარჩენილიყო მარტო პოეტად“ (ჯონ-გეი).

ამბობენ: „ბედისწერა წიგნებსაც აქეთო“. ხაიაში, როგორც პოეტი, დავიწყებული იყო საუკუნეთა მანიღლზე მის სამშობლოში. ფიცჯერალდის ინგლისურ თარგმანებამდე საერთოდ არ იყო ცნობილი, მაგრამ რვა საუკუნის შემდეგ ხელახლა აღდგა. იგი განეკუთვნება მსოფლიო პოეზიის უკუდავ სახელებს, მისი გავლენა განუზომელია. „მისი ლექსების გარშემო შექმნილია ნამდვილი კულტი“. 1859 წლიდან იწყება ხაიაშის ცხოვრების „ახალი ერა“. პირველ ყოვლისა, სპარსელი პოეტის ლექსებმა „განუზომელი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისში“ და იმ დღიდან მასზე მოთხოვნილება



ევროპის ლიტერატურაში იზრდება. ანგლოსაქსურ მსოფლიოში მიიღო ნამდვილი კულტის სახე. ინგლისსა და ამერიკაში რობაიები წარმოადგენდა ყველაზე უფრო გავრცელებულ წიგნს, ბიბლიის გვერდით. მის შესასწავლად „ნაიამისტების“ საზოგადოებები დაარსდა. შედგენილია კონკორდანსი. ლონდონში, „ომარ ხაიამის შესასწავლ კლუბში“ წარმოთქმულ ჯონ-გეის სიტყვაში ნათქვამია: „არ არის არცერთი სამხედრო სადგური ინდოეთის მთებში, არცერთი სოფელი ინგლისში, სადაც არ მოიპოვებოდეს პატარა საზოგადოება მანც, რომლისთვისაც ომარ ხაიამი ახლო მეგობარსა და შემაკავშირებელს არ წარმოადგენს. ამერიკის თითქმის ყველა ნაწილში ჰყავს მიმდევრები საზოგადოების ყველა წრეში. აღმოსავლეთის კოლონიებში მისი მიმდევარი ეხოთერიულ სექტას შეადგენენ“.


როცა 1859 წელს ინგლისელმა პოეტმა ედვარდ ფიცჯერალდმა გამოაქვეყნა „ომარ ხაიამის რობაიები“, ასამდე ლექსი, ისინი სამ გვერად დაახარისხა: თავდაპირველად მოათავსა ლექსები – ღვინის სადიდებელი, ცხოვრების სიტკბოსა და სიხარულზე თქმული, შემდეგ – ლექსები ცხოვრებისგან იმედის გაცრუებაზე, და ბოლოს – ლექსები ღმერთზე, რწმენის მისტიკური ქადაგებანი. ასეთი გზით შემდგენელმა გამოკვეთა სახე აღმოსავლეთის ბრძენისა: ახალგაზრდობაში – სიამოვნების მოყვარულისა, მოწიფულობის ასაკში – გულგატეხილი სეკეტაციოსისა, ხანდაზმულობაში – მისტიკოსისა.

ფიცჯერალდმა მსოფლიოსათვის აღმოაჩინა სპარსელი გენიოსი, რომელმაც მყისვე დიდი პოპულარობა შეიძინა. ინგლისელმა პოეტმა ტენისონმა თარგმანს „სიერცეში ნასროლი შუის ტოლი პლანეტა“ უწოდა. ხაიამის პოეზია მაშინვე გახდა კვლევის საგანიც. ერთნი მასში ხედავდნენ ჰედონისტს, სხვანი – სეკეტაციოსს, მესამენი – მხოლოდ მისტიკოსს... ასე რომ, ამ გზით შეიქმნა ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებანი ხაიამზე. საერთო ჯამში კი ყოველივე ამგვარად გამოიყურებოდა: „...იგი თავისუფალი მოაზროვნეა, რწმენის დამანგრეველი, თანაც უღმრთო და მატერიალისტი; მისტიციზმის დამკინავი და პანთეისტი, მართლმორწმუნე მუსლიმი, ზუსტი ფილოსოფოსი; მახვილი დამკვირვებელი, (...) რომლის ყოველი რობაი ფილიტრანული მხატვრული ფორმით გამოხატული დასრულებული აზრისაგან შედგება“.

რა შენიშნეს და რა ვერ შენიშნეს მკვლევრებმა სინამდვილეში „აღმოსავლეთის მუზის“ შემოქმედებაში, რთული სათქმელია, ამდენად, უპრიანია, თავად ხაიამს მოვეუხინოთ: „მე არ ვარ ღირსი სამოთხისა, თავად ჯოჯოხეთიც არ მიმიღებს! მე – ერეტიკოსი, მე – დავრიში, მე – ცოდვებიანი, როგორც გარყვნილი ქალი. მე გტირი გულით ჩემს შეცდომებზე, გონებადაბნელებული სამარცხენო მანკიერების გამო. მე არაფერი გამოკეთებია კარგი ცხოვრებაში. მე ვქნბიდი უკანონობას! მე დავტირი ჩემს არსებობას, რომელსაც არ შეუძლია არ გამოიწვიოს ქათინაურები! ო, შენ კი, ვის წწამზეც არ არის გულის ფსკერზე საიდუმლოება, შენ, ვინც ნუგემის მცემელი ხარ უსიცოცხლოათვის, – მომეცი მე ძალა პირად სიკეთეზე უარის თქმისა! ო, ღმერთო, უძღურთა ძალის მიძემეო, ღმერთო გულმორწყალეო – მიიღე ჩემი მონანიება!“







მსოფლიოში ხაიამის რობაიების მრავალი სხვადასხვა თარგმანი არსებობს, როგორც ლექსად, ისე პროზაული ფორმით, და იმ პირების თარგმანებიც კი, საერთოდ რომ არ იცოდნენ სპარსული ენა.

უძველესი ირანული წარმოშობის სალექსო ფორმა – რობაი, ანუ გარკვეული ზომითა და სარიტმით წესებით შეკრული ლექსი, „შინაარსის მიხედვით – ღრმა ფილოსოფიური, ათეისტური, ზოგჯერ მისტიკურ-თეოლოგიური, სოციალური ან დიდაქტიკურ-მორალისტური ხასიათის დასრულებული აზრის გამოხატველი ლექსია... პოეტი რობაიას პირველ ორ სტრიქონში საკითხს აყენებს, ხოლო მომდევნო ორში მის გადაწყვეტას იძლევა“, – განმარტავდნენ კომუნისტური რეჟიმის პერიოდში. ხაიამმა კი რობაი „სიტყვისა და აზრის ეკონომიით აბსოლუტურ დონემდე აიყვანა. ამ მხრივ დარჩა ის მიუწვდომელი და შეუდარებელი“. ფილოსოფოსი პოეტი აზრს ფილოსოფიური ლირიკის ფორმით გამოხატავს: „შეცნობისა და შეუცნობელის შუა მხოლოდ ერთი ამოსუნთქვა არის“ და იქვე გვიჩვენებს: „ეს ერთი ამოსუნთქვა ისე მოიხმარე, როგორც შენ გავიხარებდაო“. ხაიამი აცხადებდა: „იე ჩემი მტრები ფილოსოფოსს მიწოდებენ, მათი საქმე მცდარია“, ამიტომაც იყო, რომ მის მოწაფეებს „უსიამოვნოდ აკვირებდით მისი უკმეხად ლაპარაკი და ღვარძლიანობა... იშვიათად გამოჰქონდა საჯაროდ თავისი ცოდნა. იშვიათად და დიდის დაბრკოლებებით ღებულობდა თავისთან მოწაფეებს“ (შუჰამედ შეჰრეზუნი). სახელოვანი ფილოსოფოსი ყაზალი განმარტებებს რთულ საკითხებზე ომარ ხაიამისაგან იღებდა. ფილოსოფიაში ხაიამს არისტოტელესა და იბნ-სინას იდეების გამგრძელებლად და განმავითარებლად თვლიან. „იგი აღიარებს შემოქმედ ღმერთს, როგორც სიცოცხლის პირველსაწყისს, რეალურად მიიჩნევს ობიექტურად არსებულ სამყაროს და მოვლენათა შორის მიზეზობრივ კავშირს. თავის ფილოსოფიურ-პოეტურ იდეებს ხაიამი რობაიების ფორმით მოსავედა, რომლითაც იბნ-სინაც სარგებლობდა“, – მიიჩნევენ მკვლევრები და აგრძელებენ, – „იგი შინაარსის მიხედვით პირდაპირი გამგრძელებელია იბნ-სინას რობაიების, მაგრამ ფორმის მიხედვით უფრო მაღლა მდგომია. მისი რობაიები განსხვავდებიან ლაკონიურობით, მხატვრულობით, ღრმა ელემენტური გრძნობით, ზოგჯერ სისხარტითაც“.

ბიოგრაფიული მონაცემებით (შეჰრეზუნი, XIII ს.), „ბოლო ამოსუნთქვამდე, ხაიამს ხელში სჭერია იბნ-სინას თხზულება, გადაშლილი განყოფილებაზე – „ერთისა და მრავლის“ შესახებ. შუა საუკუნეების სწავლულს, ფილოსოფოსს, ექიმს, პოეტს, მცხოვრებს ბუხარასა და ირანში, ძირითადი თხზულების – „დანიშნამეს“ (ცოდნის წიგნი), „სამკურნალო წიგნის“, „სამედიცინო კანონის“ და სხვა ნაწარმოებების ავტორს, „ისლამის ერთგულს“ აბუ-ალი იბნ-სინას (980-1037), ლათინური ვერსიით – ავიცენას, ხაიამი ასხენებს:

„ჭკვიანურად სვი ევ წმინდა ღვინო,  
როგორც დაღვედა მას აბუ-ალი,  
და თუ ნამდვილად არსებობს ღმერთი,  
თავადაც ღმერთად გადაიქცევი“.

(თამაზ ჩხენკელის თარგმანი).





1200-ზე მეტი რობაი მიეწერება ხაიამს. ბევრი მათგანის სხვადასხვა ვარიანტი იმის მიმანიშნებელია, რომ თავდაპირველად ხაიამის რობაი არ იწერებოდა, არამედ ექსპრომტად ნათქვამი, ზოგიერთი მონაცემებით, ხალხში ვრცელდებოდა ზეპირად. მიღებულიაგანი დაახლოებით 500-მდეა, ოქსფორდის უძველეს ბოლღეარულ ხელნაწერში (1461 წ.) – 405-ია. მკვლევართა აზრით ამ უკანასკნელის მიხედვით II რობაი ეკუთვნის არა ხაიამს, არამედ სხვებს.

მიიჩნევენ, რომ რობაიათა 43% ასახავს ნაღვლიან პესიმიზმს, ხოლო 33% – ღვინოზე, სიყვარულზე და ადამიანურ სიტკბობაზეა დაწერილი. ეპიკურიზმით მსუნთქავი რობაიების ხაიამისეულობის ჯერჯერობით ვერავის უარუყვია. და საერთოდ, უნდა აღინიშნოს – ჯერჯერობით დადგენილი არ არის რობაიათა უმრავლესობის ხაიამისეულობა! თანამედროვე ენციკლოპედიური მონაცემებით ზუსტად არის დადგენილი 66 ხაიამისეული რობაი. ამ რობაიებში, რომელთა უტყუარობა – ხაიამისეულობა – ეჭვს არ იწვევს, ხაიამი წარმოგიდგება ელევთური განწყობილების ღრმა ბრძანად. ის წუხს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებისეულ კითხვებზე, ნაღვლიანად მიგვანიშნებს, რომ „ჩვენ შეიძლება ფეხქვეშ მიწას კი არ ვთვლით, არამედ ბრძენი და ამაყი ადამიანის გახრწნილ ტვისს ან უღამაზესი ასულის ლოფას“. ხაიამს მიაჩნია, რომ სამყაროს მართავს უკულმართი ბედისწერა; კაცობრიობის მწუხარებაზე საყვედურობს თვით ღმერთს და ამტყუნებს მას მსოფლიო მოწყობლობის გამო. ასევე, ზოგჯერ ცხოვრების მოწყობის ზოგიერთი ისლამური ადათ-წესი ხაიამს მიუღებლად მიაჩნია. რელიგიური საკითხებს ღრმად ადღეუებს და აინტერესებს. არ შეუძლია შეტრიფოს იმ აზრს, რომ განგება, რომელსაც ბრმად ეყრდნობა „მუჰამედის სწავლანი“, – ადამიანისაგან ბრმა იარაღის შექმნა, ალაჰის მუღმივი ნებით იგი წინასწარ არის განსაზღვრული ყურანში. ხაიამი შფოთავს მის ირგვლივ არსებული სინამდვილის გამო, აღშფოთებულია ისლამის მღიქვენელი და თვალთმაქცი ორთოდოქსი წარმომადგენლებით. თითქოს უგულვებლყოფს სუფიზმს და ასკეტიზმს, ფარისევლთა და მექათინაურთ. ამ მხრივ მათ მიმართ პაროდიად ეღერს ხაიამის ლირიკა. სუფიზმთან, აღმოსავლეთის მისტიკოს-პანთეისტებთან, არაფერი საერთო არ გააჩნია. ახმედ-ბეკ აგაევი 900-იან წლების პუბლიკაციაში – „ქალი ისლამის მიხედვით და ისლამში“ – წერდა: „აი, რას ამბობს მუსლიმი ანაკრონტი ომარ ხაიამი: „თავისთავად ისლამს არ გააჩნია ნაკლი, მთელი ნაკლი ჩვენს მუსლიმობაში მდგომარეობს“.

ხაიამის თანამედროვე მწერალი ნიზამი არუზი სამარყანდი იხსენებს ხაიამის ნათქვამს: „უზუნავსო! ჭეშმარიტად მე ცვდილობდი შენს შემეცნებას, რამდენადაც მეო ამისათვის ძალა. შემინდევ, და იყოს ეს ჩემი მისწრაფება შენი შეცნობისათვის; ჩემო წინამძღოლო, მე შენ წინაშე!“

მკვლევართა აზრით ხაიამის პირადი ცხოვრება ბედნიერად წარიმართა. ამბობენ, შემოქმედის ხასიათის თვისებები ბუნებისაგან თანდაყოლილი თავისებურებანიო, და ამიტომ ასეთი ადამიანები ყველაფერს პესიმისტურად, ეჭვის თვალთი უყურებენ, როგორც არ უნდა უღიმოდეთ მათ ცხოვრება. პოეტი საკუთარ თავს მიმართავს:

ომარ ხაიამ, ბედს არა აქვს კლემა და რიდი.  
შენი ღატრგუნვა მისთვის საქმე არაა დიდი.





სვი ბროლის ჭიჭით, მანამ სანამ ბროლს სიცოცხლისას  
სიკვდილის ხელით არ დაგიმსხვრევს განგება ფილიდი.

(მაგალი თოღუას თარგმანი).

ომარ ხაიამს არაერთი რობაი აქვს დაწერილი საკუთარ თავზე. იგი ამბობს „ბედთან საქმე მე არა მაქვს“, იქცევა ისე, თითქოს მისი წინამორბედების ბედზე არაფერი სმენია, ვითომ არ იცის, ბედს რამდენი ვინმე დაუჩაგრავს, რამდენისათვის მოუსწრაფებია სიცოცხლე.

„აინშტაინს უკვდავება მისმა ცხოვრების საქმემ – ფარდობითობის თეორიამ მოუტანა, ვიოლინო... ვიოლინო ამ გენიოსის ჰობი იყო. ომარ ხაიამს უკვდავება სწორედ მისმა ჰობიმ – რუბაიების თხზვამ მოუტანა... მართლაც, მთელ მსოფლიოშია ცნობილი ხაიამი – პოეტი, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ იგი შუა საუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი მათემატიკოსია, ასტრონომია, ფილოსოფოსია.

ხაიამს, როგორც ჩანს, ახალგაზრდობაში ენციკლოპედიური განათლება მიუღია. 25 წლისა იგი ისპაანის ობსერვატორიის სათავეშია. აქ მან შეიმუშავა კალენდარი, უფრო ზუსტი, ვიდრე ამჟამად მოქმედი. აქვე დაწერა ალგებრული ტრაქტატი განტოლებათა კლასიფიკაციისა და კუბური განტოლების ამოხსნის შესახებ. მასში იგი თავის ადრინდელ, ჯერჯერობით მიუკვლეველ არითმეტიკულ ტრაქტატს იხსენიებს. მეცნიერების ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ უკანასკნელში მოცემულია ნებისმიერი ხარისხის ფესვის ამოღების წესი და აგრეთვე ბინომის ფორმულა. დიდი ღირებულების მქონეა მისი გეომეტრიული თხზულება, რომელშიც ავტორმა V-ე პოსტულატი უფრო თვალსაჩინოთი შეცვალა და არსებითად არაეკვლი-ღური გეომეტრიის პირველი თეორემები დაამტკიცა.

თავის რუბაიებში ხაიამი ღმერთს ნახელავს უწუნებს:

რომელმან შეჰქმნა ეს სამყარო და ცის თაღები,  
თავის ქმნილებებს არსებობას უსპობს განგებით.  
თუ ცუდად შეჰქმნა, ვის მიუძღვის ამაში ბრალი?  
და თუ კარგია, რაღად ამსხვრევს მათ ხელაღებით?

მას არ მოსწონს ღვთის საქციელი:

მე მფარველს ვეძებ, – მფარველობა სადაა შენი?  
დაბნელდა გული, ჩაქრა სხივი შუქის მომფენი.  
მორჩილებისთვის შენ სამოთხეს თუ მომანიჭებ –  
ეს ვაჭრობაა, და – წყალობა სადაა შენი?

იგი თავისუფლების მქადაგებელია:

ორი ღღის თავშესაჩხი თუ გვაქვს ერთი პური,  
ყელმოტენილ დოქში წყალი, ცივი, საამური,  
რატომ უნდა ემსახურო სხვა კაცს, შენზე მცირეს,  
ან თვითონ შენ რაღად გინდა სხვისი სამსახური?

ხაიამს როცა კითხულობ, აღარ გიკვირს, რომ უკვდავება ადამიანს შეიძლება მისმა ჰობიმატ მოუტანოს!“ (რობაიები თარგმნილია ამბაკო ჭელიძის მიერ).

როცა საბჭოთა პერიოდში გამოძვალ ჟურნალში – „ფიზიკა-მათემატიკა სკოლაში“, სატიტულო გვერდზე, ხაიამის პორტრეტთან ერთად დაბეჭდილი ზემოთ მოყვანილი ტექსტი ჩავიკითხეთ, სიტყვა „უკვდავებაში“ ავგაღვლივთ, ხოლო „ჰობიში“ ჩაკვაფიქრბ. სწავლულის რობაის აინშტაინის ვილინსონთან შედარებამ კეთილად იმოქმედა და ამიტომ „ჰობისათვის“ განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მივიცია, აღარ ჩავძიებთ, თუმცა უადგილოდ გვეჩვენა, რადგან საბუნებისმეტყველო დარგის მკითხველებისათვის განკუთვნილ ჟურნალში ხაიამი პირველ ყოვლისა სწავლულია, ასტრონომია, ფილოსოფოსია. როგორც არ უნდა იყოს, დღევანდელი გადასახედილი მივჩნენია, რომ ხაიამი რობაის სულიერებით იკვებებოდა მეცნიერებაში.


უცნაურია, რომ ხაიამის შესახებ, როგორც ორ სხვადასხვა პიროვნებაზე არის საუბარი ევროპაში ცნობილ საგამომცემლო ფირმა ფ. ბროკჰაუსისა (ლაიფციგი) და რუსეთის ფირმა ი. ეფრონის (სანკტ-პეტერბურგი) ერთობლივად გამოცემულ ენციკლოპედიურ ლექსიკონში. ხაიამი ორ ტომში მოიხსენიება. კერძოდ, 42-ე ტომში წერია – ომარ ალ-კაიამი – არაბი მათემატიკოსი, ასტრონომი, ფილოსოფოსი და პოეტი, ხოლო 73-ე ტომში, კი – ომარ ხეიამი – უდიდესი სპარსელი პოეტი – ფილოსოფოსი. შუა საუკუნეების მკვლევრები წერდნენ ხაიამზე, ცალკე როგორც სამეცნიერო ტრაქტატების ავტორზე და ცალკე – ოთხსტრიქონიანი (რობაი) ლექსების ავტორზე. ბროკჰაუსისა და ეფრონის ლექსიკონის მიხედვით, გამოდის, რომ იმ დროისათვის სპარსულ ლიტერატურაში ავტორი მოიხსენიება სპარსული დამწერლობით – ხეიამი, ხოლო არაბულად – ალ-კაიამი. ტრაქტატების ავტორისა და პოეტის შერწყმა ერთ პიროვნებაში შუა საუკუნეების აღმოსავლეთში იშვიათი არ იქნებოდა.

1900 წელს გამოხულ ციურიხის უნივერსიტეტის პროფესორ ზუტერის წიგნში წარმოდგენილია ზუსტი სია არაბი მათემატიკოსებისა და ასტრონომებისა. 500-ზე მეტი არაბი მწერალი 9 საუკუნის (750-1600) განმავლობაში მისდევდა მეცნიერებას. წიგნში სწავლულები მოხსენიებულნი არიან ქრონოლოგიური რიგით, აღფავიტის მიხედვით.

ხაიამი სპეციალურ ლიტერატურაში საკმაოდ გვიან იხსენიება. მასზე, როგორც პოეტზე, 1700 წელს ოთამს ხაიდი საუბრობს თავის „მედი სპარსელების რელიგიის ისტორიაში“, ხოლო ხაიამის ალგებრული ტრაქტატის შესახებ ევროპაში პირველად 1742 წელს ითქვა ჟ. მერმის ფლუკსის ალწერის (ანუ მათემატიკური ანალიზის) შესავალში.

ჟ. მონტუკლი თავის ცნობილ „მათემატიკის ისტორიაში“ შენიშნავს, რომ არაბები ალგებრაში წინ წავიდნენ კვადრატული განტოლების საკითხში. ტრაქტატების ავტორი ომარ ბენ-იბრაჰიმი. წიგნში თხზულებათა სათაურებიც კი მოჰყავს, მაგრამ შემდგომმა კვლევებმა აჩვენეს, რომ ისინი არაბულიდან დამახინჯებულად იყო ნათარგმნი.

ელვარდ ფიცკერალდის თარგმანის გამოქვეყნებამდე რვა წლით ადრე გერმანელმა მათემატიკოსმა ფრანც ვოპკემ 1851 წელს პარიზში გამოაქვეყნა წიგნი: „ალგებრა ომარ ალხაიამისა“, რომელიც შეიცავდა ევროპელობათვის მანამდე უცნობ შუა საუკუნეების მათემატიკოსის არაბულ ტექსტს და





ფრანგულად ნათარგმნ ალგებრულ ტრაქტატს. ტრაქტატში მოყვანილია კლასიციზმის კუბური განტოლებების შესახებ, დადებითი ფესვებით და ამოხსნის წესებით ცალკეული შემთხვევებისათვის, კონუსური კვეთების დახმარებით.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ომარ ხაიამის, როგორც პოეტისა და სწავლულის, შემოქმედების საფუძვლიანი შესწავლა შესაძლებელი შეიქმნა ფიცჯერალდისა და ვოკეს პულიკაციების შემდეგ. მათგან მათგან მათგან ისტორიისათვის რწმუნებით, „ვეროლის მათემატიკური აზროვნება 6 საუკუნის მოიგებდა, დროზე რომ გასცნობოდა ომარ ხაიამის ტრაქტატებს“. აღმოსავლეთის „ერთ-ერთ უდიდეს გეომეტრად“ აღიარებულმა ხაიამმა ღრმად შეისწავლა ბერძნული ენა, მეცნიერება და ფილოსოფია. იცოდა ისტორია, ფილოლოგია და სპარსული კანონმცოდნეობა. „ბერძნულ მეცნიერებას“ სხვებსაც ასწავლიდა. იყო შესანიშნავი მათემატიკოსი – არითმეტიკოსი, ალგებრისტი და ასტრონომი. ფილოსოფიურ მეცნიერებაში იბნ-სინას უტოლდებოდაო. მუჰამედ შჰჰრეზუნი იგონებდა, რომ „ომარ ხაიამი მას ჰკვირდა კლერიკალურ შიშს, როცა იგი დაიწყებდა საუბარს ასტრონომიულ პრობლემებზე“.

ნიშამ-ულ-მულქი კარვის მკერავის შვილის აღზრდის გარემოებათა და მისი ახალგაზრდობის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. იცინა, რომ ხაიამი იმამ მუეაფიყის სკოლაში გადიოდა მუსლიმური განათლების უმაღლეს კურსს, სადაც „სკოლის სამი მეგობარი“ დამოხილებულან და სამუდამო მეგობრობის ატეხა დაუღვეთ. მათგან ორ ახალგაზრდას – ნიშამ-ულ-მულქსა და ჰასან-სახსს – ბედმა არგუნა, ირანის ისტორიაში გამოჩენილი როლი შეესრულებინათ. სამივემ საზიემო ფიცი დალო არ დაევიწყებოდათ ერთმანეთი ბედნიერების წუთებში და წარმატებისას, თუ ერთ-ერთი მაინც ცხოვრებაში ბედს ეწეოდა.

ნიშამ-ულ-მულქი ჯერ ალფ არსლანის და შემდეგ მალიქ-შაჰის ვეზირი შეიქნა. მეგობრებმა მას შეახსენეს ფიცი. ბედისაგან გაზულუქებულმა მართლაც იზრუნა ძველ მეგობრებზე. ჰასან-სახსმა მიიღო ადგილი სასახლეში, მაგრამ იმავე წუთში დაუწყო ინტრიგები თავის მეგობარ-მფარველს, რის გამოც შერისხულ იქნა, გაიქცა ესპანეთში, შემდეგ გადაბარგდა ეგვიპტეში და ასასინელთა რელიგიური ორდენი დააარსა. იქაც იქნა შემწნეული პოლიტიკურ ინტრიგებში, ისევე გაიქცა. ხაიამი ნიშამ-ულ-მულქს სულთან მალიქ-შაჰის დროს კარის ასტრონომად დანიშნა. ისტორიკოსი იბნ ასირი მოგვითხრობს, რომ 1074 წელს „ნიშამ-ულ-მულქმა და სულთან მალიქ შაჰმა შეკრიბეს ჯგუფი საუკუნის წამყვანი ასტრონომებისა“ და იმავე წელს „ომარ იბნ იბრაჰიმ ალ-ხაიამმა, აბულ-მუზაფარ ალ-ისფაზარმა და მემუმ იბნ ნადჯიბ ალ-ვასითმა დააარსეს ობსერვატორია სულთან მალიქ შაჰისა“, ვინც ამისათვის დიდძალი ხარჯი გაიღო. ობსერვატორიამ ქალაქ მარავში (დღევანდელი ქალაქი მარეი, თურქეთში) იარსება 18 წელი, სულთნის სიკვდილამდე, ე. ი. 485 წლამდე (1029 წ.) და დაიხურა. კარის ასტრონომის თანამდებობაზე ხაიამმა 1079 წელს უკვდავყო თავისი სახელი: სულთნის ბრძანებით არაბეთის მონარქიაში კალენდრის ყველაზე სრულყოფილი რეფორმა განახორციელა.

მას შემდეგ, რაც ადამიანმა პირველად გაახილა თვალები და შეხედა ცას, შეიძლება ითქვას, იმ დღიდან იწყება კაცობრიობის გეატაცება ასტრონომი-



ით. ასტრონომიულ ცხრილებს (ანუ ზიჯს, ანუ კატალოგებს) აღმოსავლეთის უდიდესი ასტრონომები ადგენდნენ. პირველ ნიმუშად ვიპარხის, ასევე პტილოქეს „ალმაგესტის“ ცხრილები იყო მიჩნეული. ცხრილების შედგენისას არაბულ ენაზე გადათარგმნილ ინდურ ასტრონომიულ ტრაქტატებს იყენებდნენ, „სინდ-ჰინდალ“ წოდებული. მკვლევართა აზრით, უმთავრეს ზიჯის რაოდენობა 25-ია, აღმოსავლეთი კი აღნიშნულ რაოდენობას უმატებს 24 ზიჯს.

სიბჭეში შედის: ალ-ზორეზმის „მუმინის ცხრილები“; ალ-ბატანის „საბეისური ცხრილები“; იბნ-იუსას „ხაკიმითის ცხრილები“; ომარ ხაიამის „მალიქშაჰის ცხრილები“; ნასირ-ად-დინ ათ-თუსის „ალჰამის ცხრილები“; ჯემშიდ ვიას ყვასადინ ალ-ყაშის „ხაყანის ცხრილები“, სავოს დჯაი სინგის „მუჰამედ-შაჰის ცხრილები“. ალ-ბირუნი არ ადგენდა ცალკე ცხრილებს, მაგრამ დიდი რაოდენობა ასტრონომიული ცხრილებისა, მის მიერ შედგენილი, შედის „მასუდის კანონში“ და სხვ. ამგვარად, შუა საუკუნეების აღმოსავლეთის მოგზოვებოდა ასამდე ასტრონომიული ცხრილი, სადაც მოცემული იყო ვარსკვლავების დაკვირვების მეთოდიცა და ცხრილების ხმარების წესები. ცხრილებს ერთვოდა კომენტარები და პრაქტიკული ინსტრუქციები, რაც დიდ დახმარებას უწევდა ასტრონომებს და, ამდენად, იძლეოდა საშუალებას ასტრონომიაში ნაყოფიერი მუშაობისათვის.

მსოფლიო მეცნიერების ისტორიაში ჯორდანო ბრუნოს კოცონზე დაწვა და XV საუკუნის უდიდესი სამარყანდელი მეცნიერის ულუღბეგის მიერ დანთხეული სისხლია აღბეჭდილი. მხელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს იმ ასტრონომების ნიჭიერება, რომლებმაც ცხრილების სახით ფასდაუღებელი განძი შესძინეს შთამომავლობას. შეიქმნა პირობები ასტრონომიის განვითარებისათვის. გალილეიმ პირველად გამოიყენა ტელესკოპი 1610 წლის 7 იანვარს. ულუღბეგის გარდაცვალებიდან თითქმის ასი წლის გასვლის შემდეგ ევროპაში პირველი ასტრონომიული ობსერვატორია აშენდა (1561 წ.), ხოლო 125 წელია სვავობა ტიხო ბრავეს შრომის გამოქვეყნებასა (1576 წ.) და ულუღბეგის ცხრილებს შორის.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ არის ხაიამის კალენდარი მიჩნეული დღემდე ერთ-ერთ უზუსტესად და რაში მდგომარეობს ეს სიზუსტე, ქვემოთ შევეცდებით ავხსნათ.

შუა აზიისა და სპარსეთის მცხოვრებნი, ზოროასტრული რელიგიის კურთხევით, უძველესი დროიდან სარგებლობდნენ შზის კალენდრით. არაბთა დაპყრობების შემდეგ მათი ოფიციალური კალენდარი გახდა მუსლიმთა მივარის კალენდარი. მივარის წლის, ე. ი. 12 მივარის თვის, თითოეული თვე შედგება 29,5306 დღე-ღამისაგან, რაც წელიწადში 354,3672 დღე-ღამის ტოლია, რაც 10 დღე-ღამით მოკლეა შზის წელიწადზე, რომელშიც 365,2422 დღე-ღამეა. ამიტომ მივარის კალენდარი მოუხერხებელი იყო სოფლის მეურნეობის სამუშაოებისათვის და ვლენობას შზის კალენდრით უხდებოდა სარგებლობა. თავდაპირველად შზის წელს 365 დღე-ღამის ტოლად თვლიდნენ და მანამდე უგულებელყოფდნენ დანარჩენ დროს, წილადით გამოხატულს, სანამ დღე-ღამის მეთხედი 120 წლის მანძილზე თვეს არ შეადგენდა. ისე როგორც ჩვენს კალენდარში, ნაკიან წლებში წელიწადს ერთი დღე ემატებოდა. ხაიამის დროს შზის წლები ათოვლებოდა სპარსეთის სამეფო ტახტზე უკანასკნელი ზოროასტრი მეფის იეზდიგერ III-ის ასე-







ლის დღიდან, მზის კალენდარი იწოდებოდა „იზნდიგერდის ხანად“. მზის წელი ცოტათოდ მცირეა 365-დღე-ღამიან წელიწადზე. ამ დროისათვის მზის წლის დასაწყისი (ე. წ. ნაერუზობა), რომელიც ვახაფხულის ბუენობას უნდა ემთხვეოდეს, დაახლოებით ორი კვირით ჩამორჩა, რამაც გამოიწვია კალენდრის რეფორმის აუცილებლობა. რეფორმის განხორციელება სელჯუკთა სულთნის, მალიქ-შაჰის, ვეზირს, ნიზამ ალ-მულქის, ანუ ომარ ხაიამის მიერ შედგენილ ასტრონომია ჯგუფს დაევალა.

მანც რა არის წელიწადი? იგი არის დრო, რასაც დედამიწა ანდომებს თავის ორბიტაზე მზის სრულ გარშემოვლას. ასტრონომების გამოანგარიშებით, წელიწადი შედგება 365 დღე-ღამისაგან, 5 საათისაგან, 48 მინუტისა და 46 სექუნდისაგან. ხაიამის მიხედვით წელიწადის ხანგრძლივობა შედგება 365(8/33) დღე-ღამისაგან. მისივე მიხედვით, ნაკიან წლებად უნდა ითვლებოდეს ყოველ 33 წელიწადში 8 წელი. ხაიამის კალენდარი მეტი სიზუსტით გამოირჩევა, ვიდრე ჩვენი, გრიგორიანული, კალენდარი.

გაცილებით მკაცრად ექვეოდნენ რიცხვებს ის სწავლულები, ვინც პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას ეწეოდნენ. ესენი იყვნენ ძირითადად ასტრონომები, მიწათმომწეობნი, გეოგრაფები. მათ შრომებში, რომლებიც ჩვენს ერამდე III-II საუკუნეებში შეიქმნა, თანდათანობით იშლება ზღვარი რიცხვებსა და სიდიდეებს შორის. ეს პროცესი დაასრულეს შუა საუკუნეების მათემატიკოსებმა, სადაც მათემატიკის ისტორიაში განსაკუთრებითაა აღნიშნული ხაიამის ღვაწლი.

ძველი ბერძენი მათემატიკოსი და ასტრონომი ევლოქსე კნიდოსელი (დაახ. 408-355 ძვ. წ.), ვინც ქალაქ კნიდოსში მათემატიკოსებისა და ასტრონომების სკოლა დააარსა; ვინც პირველმა მოგვცა პროპორციისათა ზოგადი თეორია, რაც ევკლიდეს „საწყისების“ მეხუთე წიგნშია მოცემული; ვინც პირველმა გამოიგნა ასტრონომია და ასტროლოგია ერთმანეთისაგან; ვისაც, არქიმედის გადმოცემით, ეკუთვნის ამოწურვის მეთოდით დამტკიცების ხერხი; ვინც ასტრონომიაში პირველთაგანმა სცადა პლანეტების მოძრაობის თეორიის აგება, რისთვისაც დაუშვა, რომ ისინი მიმარებულები არიან სფეროებზე, რომელთა ცენტრში დედამიწაა და პლანეტების უთანაბრო მოძრაობა მრავალი სფეროს თანაბარ ბრუნვამდე დაიყვანება; ვისი თეორიაც კარგად ხსნიდა სატურნისა და ოუპიტერის მოძრაობას, მაგრამ არ გამოდგა მარსისა და ვენერასათვის, რადგან ევლოქსეს არ ჰქონდა ზუსტი მონაცემები თეორიის შესამოწმებლად, მაგრამ მანც პირველმა აღწერა დეტალურად ცა, თანავარსკვლავედის შემადგენელი ვარსკვლავები, – აი ამ ევლოქსეს თხზულებანს, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია. ყველაფერი ევლოქსეს შესახებ მისი მოწაფეების ნაშრომებშია თავმოყრილი. ისინი დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ევლოქსემ გააუმჯობესა იმ დროის „მთვარე-მზისიერი“ კალენდარი.

მცდელობა – მაგალითად მოგვეყვანა ევლოქსეს ბიოგრაფია, განპირობებულია იმით, რომ ომარ ხაიამის ბიოგრაფიაც შეიცავს იმავე ელემენტებს; მართალია, მისი ნაშრომები დღემდე მიკვლეული არ არის, მაგრამ მისი მოწაფეების თხზულებებმა შემოგვიჩინა ხეს ცნობები მათი მასწავლებლის ნაზრევებს, ისევე, როგორც ევლოქსეს შემთხვევაში მოხდა ეს.

ისლამის ქვეყნების მათემატიკოსების ნაშრომების უმეტესი ნაწილი დაწერილია არაბულ ენაზე, ასევე – ხაიამის ტრაქტატებიც, ხაიამი ავტორია

მთელი რიგი მნიშვნელოვანი მათემატიკური ნაშრომებისა, ასტრონომიული ცხრილებისა და რამდენიმე ფილოსოფიური თხზულებისა. ზოგმა ნაშრომმა მოაღწია ჩვენამდე, ზოგმა კი – არა. ხაიამის ნაშრომებმა ევლოქსეს ნაშრომების ბედი გაიზიარეს, თუ სრულად არა, ნაწილობრივ მაინც, და ამით ხაიამის ბედი ვაიზავეს ევლოქსეს ბელს. ხაიამს ეკუთვნის: „ტრაქტატი ალ-გებრისა და ალმუყაბალას ამოცანების დამტკიცების შესახებ“; „კომენტარები ევკლიდეს „საწყისების“ შესავლების სიმნელეებზე“; „ართიმეტიკის სირთულეები“ და სხვ.

მათემატიკური მეცნიერებისათვის დიდი დანაკლისია, რომ დღემდე ვერ მოხერხდა პონა-აღმოჩენა ხაიამისეული ტრაქტატისა „მათემატიკის დედოფლის“ არითმეტიკის შესახებ. ასევე გაურკვეველია ბედი მისი მუსიკის თეორიისა, ფიზიკისა და გეოგრაფიისა. არსებობს მონაცემები, რომ ხაიამი დაინტერესებული იყო მედიცინითაც.

ისეთმა აღმოჩენებმა როგორცაა ნებისმიერი სახის კუბური განტოლების გეომეტრიული ამოხსნა, პარალელური წრფეების თეორიის გამოკვლევა, პროპორციათა (შეფარდებათა) თეორიის განხილვა, ირაციონალური რიცხვის იდეამდე მისვლა, ნებისმიერი ნატურალური ხარისხის-ფესვის ამოღება, კალენდრის შექმნა და ასტრონომიული ცხრილები, უკვდავყო ხაიამის სახელი, როგორც მათემატიკოსისა და ასტრონომისა.

არაბეთის ქვეყნებში, დამანგრეველი, საშინელი ომების, მასიური მკვლელობების პირობებშიც კი, სახელმწიფოებს არ შეეძლოთ ემოღვაწათ მეცნიერების განვითარების გარეშე. სელჯუკი დამპყრობლები სწავლულების მეშვეობით, მეცნიერებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით და ორგანიზაციული მიდრეკილებებით ქმნიდნენ სამეცნიერო სკოლებს. თავდაპირველად მათემატიკის განვითარება მიახლოებით გამოთვლების მიხედვით ხდებოდა. რიცხვითი ალგებრისა და მისი გეომეტრიული დამატებების სწრაფი განვითარებისას სულ უფრო მეტ გამოყენებას პოულობდა ირაციონალური რიცხვები, მათი კვლევაც უფრო ინტენსიურად ხდებოდა.

ირაციონალობას თავისუფლად იყენებდნენ ისლამის ქვეყნებში. ხაიამის მიერ შემოთავაზებულ იქნა რიცხვის ცნების გაფართოება იმ დონეზე, რასაც მათემატიკა დადებით ირაციონალურ რიცხვებს უწოდებს. რაც შეეხება უარყოფითი რიცხვის ცნებას, რომლის გაკება ჩინეთსა და ინდოეთში აღმოცენდა, მისი ცოტათი მაინც გამოყენება არაბეთის მეცნიერებაში არ მომხდარა, გარდა ერთი შემთხვევისა: აბულ-ღაფი თავის არითმეტიკულ ტრაქტატში განიხილავს რიცხვების გამრავლებას (-2)-ზე, რომელსაც „ვალი“-ს (ღანი) აქრმევს. (-2)-ს ამრავლებს 10-ზე და ნამრავლს (-20)-ს „ვალი ოცს“ უწოდებს. ასეთივე ტერმინოლოგია ინდურ მათემატიკაში. ინდოეთში კი არაბების მასწავლებლები იყენენ.

ხაიამი მათემატიკური აღნიშვნებით არ სარგებლობდა, იგი ყველაფერს სიტყვებით წერდა. ანალოგიურია სიდიდეთა მისეული შეფარდება – „ღიდი“, „პატრა“. სინამდვილეში მისი განმარტებანი, დიდი ხნის „დავიწყებული“ ბერძენი ევლოქსისეული პროპორციათა თეორიის თავისებური გამოხატვა იყო. მტკიცება ხდებოდა ლოგიკურად, ეკვივალენტურობა სრულდებოდა ახლებურად, პროპორციის ანტიკურ თეორიასთან კავშირში. ხაიამის პროპორციასთან დაკავშირებული იდეები ათ-თუსის მიერ იქნა შეთვისებული და გაღრმავებული.





სხვადასხვა ხარისხის ფესვებიდან ამოფეხვის წესების დადგენის შედეგში დაბრუნება ეკუთვნის ხაიამს. თავის ალგებრის წიგნში მან ასხენა კვადრატული და კუბური ხარისხის ფესვებიდან „ინდოელთა მეთოდით“ ამოფესვა, რაც დაფუძნებული იყო წესებზე. იგი აცხადებდა, რომ სპეციალურ თხზულებაში მან განავრცო აღნიშნული მეთოდები, ნებისმიერი მთელი რიცხვების ფესვის ხარისხის მაჩვენებლის შემთხვევაში ამოფესვისას: „ჩვენ ვაჩვენებთ, – წერს ხაიამი, როგორ განისაზღვრება ფუძეები – კვადრატული – კვადრატებში, კუბურები – კუბებში, და ასე შემდეგ, რამდენიც გნებავთ, რაც ადრე არ იყო“. უდავოა, რომ ხაიამი უკვე ფლობდა ორწევრის ნებისმიერ დადებით, მთელი რიცხვის ხარისხში აყვანის წესებს. სამწუხაროდ, ხაიამის თხზულება, სადაც განმარტებული იყო აღმოჩენა, დღემდე ნაპოვნი არ არის, მაგრამ დადებითი მთელი რიცხვიდან ნებისმიერი დადებითი რიცხვის ხარისხიანი ფესვის ამოღებამ, აღწერა-წესმა, ჩვენამდე მოაღწია „დაფისა და მტვერის არითმეტიკის წიგნით“ (1265 წ.), რომლის ატორია ნასირ ად-დინ ათ-თუსი (1201-1274).

ახლო აღმოსავლეთისა და შუა აზიის სწავლულთა შრომებში ალგებრა ჩამოყალიბდა, როგორც მათემატიკის დამოუკიდებელი შტო, რომელშიც მოექცა ვანტოლებების ამოხსნასთან დაკავშირებული საკითხები. IX საუკუნის მათემატიკოსის და ასტრონომის მუჰამედ ალ-ხორეზმის ტრაქტატში – „ქიობა ალ-ჯებრ ვალ-მუყაბალა“ – მოცემულია ზოგადი წესები ვანტოლების ამოხსნის სიტყვიდან „ალ-ჯებრ“ (აღდგენა) წარმოიქმნა ახალი მეცნიერების – ალგებრის – სახელწოდება, რაც ნიშნავდა განტოლების უარყოფითი წევრების ერთი მხარედან მეორეში გადატანას ნიშნის შეცვლით. აღმოსავლეთის სწავლულები შეისწავლიდნენ აგრეთვე კუბური განტოლების ამოხსნას, თუმცა მათ ვერ შეძლეს ზოგადი ფორმულის მიღება განტოლების ფესვებისათვის.

ალ-ხორეზმის ტრაქტატი პირველი შრომაა, რომელშიც ნახშირია სიტყვა „ალგებრა“, ამიტომ იგი ამ ტერმინის ავტორად არის მიჩნეული, მაგრამ საკმე ისაა, რომ ალ-ხორეზმი თავად აღნიშნავს, არაბეთის მეფემ ალ-მუმინმა შეემაჯავლო შრომის დაწერა „ალგებრაში“ და „ალმუყაბალაში“, და რადგან იგი საჭიროდ არ მიიჩნევს აღნიშნული ტერმინების ახსნას, ამიტომ მკვლევრები ფიქრობენ, ხომ არ იყო მანამდე ეს სიტყვები სხვათა მიერ გამოყენებული? სანამ სხვა ისტორიული წყარო არ აღმოჩნდება, ალ-ხორეზმი უნდა ჩაითვალოს ტერმინ „ალგებრის“ შემქმნელად.

ფიცჯერალდისა და ვოკეს პუბლიკაციებიდან საუკუნუნახევრის შემდეგ გამოქვეყნდა ხაიამის მეცნიერული ნამუშევრები, რომლებშიც თანდათანობით იკვეთებოდა ხაიამის, როგორც სწავლულისა და პოეტის, ინდივიდუალობა. 1906 წელს გამოიცა ავტორის ფიზიკური ტრაქტატი „სხეულში ოქროსა და ვერცხლის შემცველობის განსაზღვრის შესახებ“; 1908 წელს – სპარსულ ენაზე დაწერილი ერთი ტრაქტატი, რომელსაც 1917 წელს მოაკვდა კიდევ სამი ტრაქტატი არაბულ ენაზე. ესენი 1932 წელს ორიგინალის (ამ შემთხვევაში, არაბულ და სპარსულ) ენაზე გამოიცა; 1933 წელს სპარსულ ენაზე იხილა დღის სინათლე ხაიამის ისტორიულმა ტრაქტატმა „ნაურუნ-ნამუჰ“, ირანის ახალი წლის დღესასწაულის შესახებ, კალენდართა შორის მისმა გაცილებით ზუსტმა კალენდარმა. 1936 წელს არაბულ ენაზე გამოქვეყნდა ორი უშესანიშნავესი ტრაქტატი: „კომენტარები ევკლიდის


„საწყისების“ შესავლების სიძნელეებზე“, მიძღვნილი მათემატიკის ორი უმთავრესი პრობლემის, პარალელური წრფეებისა და შეფარდებათა თეორიისადმი, რამაც შემდგომში ევროპის მათემატიკოსთა პირველხარისხოვანი აღმოჩენები გამოიწვია. 1960-61 წლებში გამოქვეყნდა ერთი ალგებრული ტრაქტატი არაბულ ენაზე, რაც ადრე ვოპკეს მიერ გამოქვეყნებულ ტრაქტატს ეხებოდა. სპარსულ ენაზე შემონახულ რობაიხთან ერთად ხაიამის სალექსო ნაწევრები – „ყითა“ – გამოიცა სპარსულ და არაბულ ენებზე.

საინტერესოდ გვეჩვენება ხაიამის თხზულებათა „გაფანტვის“ კოორდინატები, ანუ ქვეყნები, სადაც ინახება (ან ინახებოდა და დაიკარგა) დღენდები, სრულად ან ნაწილი, ან შუა საუკუნეების ის წყაროები, სადაც მოხსენიებულია ხაიამის მეცნიერული ნააზრევები: თეირანის უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა; პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკა; ლეიფენის ნაციონალური ბიბლიოთეკა; ლონდონის ინდოეთის უწყებათა ბიბლიოთეკა; რომის ვატიკანის ბიბლიოთეკა; ნიუდარკში პროფ. დ. სმიტის ბიბლიოთეკა; ლენინგრადის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკა, ხანიკოვის ფონდი; ხაირადაბადეს სახელმწიფო ბიბლიოთეკა; ბომბეის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა; ქალაქ გოტას სახელმწიფო ბიბლიოთეკა; კაიროს ნურ ად-დინ მუსტაფას ბიბლიოთეკა; ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკა; თეირანის მუჯლისის ბიბლიოთეკა; პუნესში პროფ. აბულ ყადირას საფრაზას ბიბლიოთეკა; ლონდონის ბრიტანეთის მუზეუმი; ხაიამის სახ. ბიბლიოთეკა თეირანში.

მოაზროვნე ომარ ხაიამი, როგორც არითმეტიკოსი, ალგებრისტი, პოეტი – თანამედროვეთა კვლევის ობიექტს წარმოადგენს. იკვლევენ ეკლიდეს „საწყისების“ მის კომენტარებს. იბმება თავისებური კავშირები თანამედროვე რიცხვთა თეორიასა და არაეკლიდურ გეომეტრიას, ალგებრულ ტრაქტატებსა და ახალ ალგებრას, ანალიზურ გეომეტრიასა და ალგებრულ გეომეტრიას, მის გამონათქვამებს და ფილოსოფიურ აფორიზმებსა და თანამედროვე აზრებს შორის.

ომარ ხაიამი – ძალადობის მოწინააღმდეგე, ვინც ეჭვქვეშ აყენებდა რელიგიურ დოგმებს ღვთაებრივად გააზრებულ მსოფლიო მოწყობაზე, ვინც თავის შემოქმედებაში, ურთიერთსაწინააღმდეგო ბევრი რთული პრობლემა დატოვა, მკვლევართა ურთიერთგანსხვავებულ მოსაზრებათა წყაროა.

რუსეთმა ხაიამის არსებობა 1894 წელს ვალენტინ ველიჩკოს ლექსების კრებულთა შეიქცო. შემდგომში მანამდე უცნობი ხაიამის მრავალი სხვადასხვა თარგმანი შეიქმნა, როგორც პროზად ასევე ლექსად. დიდმა რუსმა აღმოსავლეთმცოდნემ, ვალენტინ ჟუკოვსკიმ (1858-1918), შეისწავლა ხაიამის ბიოგრაფია





და მისი მეცნიერული შემოქმედება. ვ. ჟუკოვსკის ნააზრევი სანიშნო გახდა ხაიამის მკვლევართათვის. ვ. ჟუკოვსკის მიერ დასმული პრობლემა „მოხეტიალე“ რობაიების შესახებ დღესაც აქტუალურია, რადგან მეცნიერებას ჯერაც ვერ გადაუწყვეტია, რომელი რობაი ეკუთვნის ხაიამს.


ქართველთათვის ხაიამის პოეზია დიდხანს დარჩა უცნობი, მიუხედავად სპარსული მწერლობის გავლენისა ქართულ ლიტერატურაზე. 1924 წელს პირველად ახსენეს ხაიამის სახელი ქართულად: სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანოში – ჟურნალ „კავკასიონში“ დაიბეჭდა პავლე ინგოროვას „ომარ ხაიამი“ და ირანისტი იუსტინე აბულაძის მიერ თარგმნილი ოცდაათხუი „რუბაი“. ეს იყო პროზაული, სიტყვასიტყვითი თარგმანი. ასე რომ, 85 წელი გავიდა ომარ ხაიამის შემობრძანებიდან საქართველოში. „პოეტების ქვეყანამ“ – საქართველომ – შეიყვარა ხაიამი. ხალხში პოპულარობით სარგებლობს მისი რობაიები, მისი რელიგიურ-ფილოსოფიური აფორიზმები.

ხაიამის ოთხსტრიქონიანი ლექსის სახელწოდება რუსულ ლიტერატურაში ორგვარი ფორმით გვხვდება: „Робай“ და „Рубай“. ასევე ქართულშიც: „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ არის „რობაი“, ხოლო ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში „რუბაი“.

მადლობა მათ, რომლებმაც შესანიშნავად თარგმნეს რობაიები სპარსულიდან ქართულ ენაზე და გაამდიდრეს ერის სულიერების საღარო. ჩვენი სურვილი, ყველა მათგანის თარგმანის ნიმუში გამოგვეყენებინა ამ სტატიაში, ვერ გახორციელდა. მადლობას უუხდით ხაიამის ყველა მკვლევარს, მთარგმნელს, რომელთა შრომებითაც ჩვენ ვისარგებლეთ.

მადლიერებით აღვნიშნავთ აწ გარდაცვლილი ბატონ ჯემალ ცერცვაძის ამავს, ვინც რედაქტირება გაუწია წინამდებარე ნაშრომს.

ომარ ხაიამის აკლდამა ნიშაპურში  
(ირანი)





ჭადრაკის ისტორიიდან

ანდრია დადიანი და მისი ქართველი პარტნიორები



ანდრია დადიანი

თენგიზ გიორგაძის „ქართული ჭადრაკის მატეინის“ სამტომეულის გამოვლის შემდეგ ინტერესი ქართული ჭადრაკის ისტორიის მიმართ გაიზარდა. ბატონმა თენგიზმა სრულყოფილად აღწერა მეოცე საუკუნის ოციანი წლების შემდგომი საქართველოს საქადრაკო ცხოვრება.

რაც შეეხება ადრეულ პერიოდს, მოსაძიებელი კიდევ ბევრი მოვლენაა. ეს გასაგებია, რადგან სამტომეულზე მუშაობისას ავტორს ყველა საარქივო დოკუმენტზე და ძველ საქადრაკო პერიოდიკაზე ხელი არ მიუწვდებოდა.

დღეისათვის უცხოელ ისტორიკოსებთან და კოლექციონერებთან ურთიერთობა გაცილებით გაადვილებულია. ინტერნეტის საშუალებით შესაძლებელია ძველი წიგნებისა და ჟურნალების წაკითხვა. მიების შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ნათელი მოეფინა და გამოიხეურდა უამრავი ფაქტი, რომელიც საქართველოს საქადრაკო ცხოვრებასთანაა დაკავშირებული.

1842 წელს ფრანგულმა ჟურნალმა „პალამედემ“ დაბეჭდა კარლ იანიშის (1813-1872) სტატია, რომელიც რუსეთში ჭადრაკის გავრცელების საკითხს ეხება. მას დეტალურად აქვს განხილული სხვადასხვა საქადრაკო ტერმინები და აღნიშნავს, რომ პეტრე პირველამდე რუსეთში როქს არ იცნობდნენ. ტერმინი „покировка“ გერმანულიდან გადმოვიდა რუსულში („rochiren“ – როქის გაკეთება გერმანულად). იანიში იქვე მიუთითებს, რომ „თურქები, სპარსელები და ქართველები (საქართველოში ბევრი პირველი კლასის მოთამაშეა, აქ არისტოკრატია სპეციალურად სწავლობს ჭადრაკის თამაშს) დღემდე როქს არ აკეთებენ“.

ამავე თემას ეძღვნება ცნობილი გერმანელი საქადრაკო მოღვაწის პაულ-რუდოლფ ბილგერის მიერ 1874 წელს ლაიფციგში გამოცემული „პანდუხი“. ეს წიგნი ამსტერდამში სტუმრობისას ჰოლანდიელმა მეგობრებმა მაჩვენეს. ერთ-ერთ სტატიაში მოთხრობილია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ჭადრაკის ნაირსახეობების შესახებ. ვთავაზობთ ციტატას ამ სტატიიდან: „უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ მხარეში, განსაკუთრებით აღმოსავლეთში, როქი არ კეთდება. საქართველოში ლაზიურს შესაძლებლობა აქვს მხედარივით იმოძრაოს. აქედან გამომდინარე, მას შეუძლია მარტომ, თავისი მეფის დახმარების გარეშე, დაამათოს მოწინააღმდეგის მეფე“.

მეცხრამეტე საუკუნის რუსეთის საქადრაკო ჟურნალების გადათვლიერებამ საოგარი შედეგი მოგვცა. მივაგენით 1892 წლიდან 1901 წლის ჩათვლით თბილისში გამართული ხუთი ტურნირის მიმოხილვას, უკანასკნელი მათგანის სრული ცხრილიც შემოუნახავს რუსულ საქადრაკო პერიოდიკას. ამ ტურნირებში ქართველი მოჭადრაკეებიც მონაწილეობდნენ: გრუზინსკი, მარაბული, ჩოლოყაშვილი, ჭავჭავაძე, ანდრიაგავილი, არჯვანიძე და თეთრაძე.

აღმოჩენილ იქნა ანდრია დადიანის ჩვენთვის უცნობი მრავალი პარტია, მის მიერ ფრანგულ ჟურნალ „სტრატეჟი“-ში გამოქვეყნებული ამოცანა-ხუმრობა. დღეისათვის ჭადრაკის ისტორიკოსები იკვლევენ პარიზის 1867 წლის საერთაშორისო ტურნირში ფსევდონიმით მოთამაშე ბარონ დ'ანდრეს ვინაობას. შესაძლოა პარიზში ჩვიდმეტი წლის ანდრია დადიანმა ითამაშა (ეს ცალკე სასაუბრო თემაა).

უნდა ითქვას, რომ მეცხრამეტე საუკუნესა და უფრო ადრეულ ხანაში ნათამაშებ პარტიებს დღეს მსოფლიოში დიდი რუდუნებით



ანდრია დადიანი (ქუთაისი, XIX ს. 70-იანი წლები)

აგროგებენ. დღეისათვის ჩემს კოლექციამი ანდრია დადიანის 150-ზე მეტი პარტია და ასამდე კომბინაცია და დამოლოგებაა. განსაკუთრებით პოპულარულია დადიანი კანადაში, სადაც არსებობს ჟურნალი „დადიან ჩეს“, რომელშიც, მისი გამოცემების სურვილისამებრ, მხოლოდ ლამაზი პარტიები იბეჭდება. ელექტრონული ჟურნალის პირველივე ნომერში ნათქვამია, რომ ანდრია დადიანი-მინერგელსკი ლამაზ პარტიებს თამაშობდა და ამან განაპირობა ჟურნალის სახელწოდება.

გთავაზობთ ანდრია დადიანის რამდენიმე პარტიას, მის თანამემამულეებთან ნათამაშებს. ისინი აღებულია ანდრია დადიანის რეველიდან და ერთის გარდა ყველა პირველად ქვეყნდება. განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელმძღვანელის ქალბატონ **ლილი ბერაიასადმი**. მისი დამსახურებაა, რომ ამ პარტიებმა დღის სინათლე იხილა.

**გრიგოლ დადიანი** (1814-1901), ლიტერატურული ფსევდონიმით „კოლხიდელი“, ანდრიას ბიძა იყო, ჰაერდაკზე ფანტიკურად შეყვარებული, გენიალური ამერიკელი მოჭადრაკის, პოლ მორფის, საჭადრაკო ხელოვნების თავყვანისმცემელი.

ჭადრაკისადმი მის დამოკიდებულებას ვეცნობით **იონა მეუნარგას** მოგონებებში. გთავაზობთ რამდენიმე ციტატას:


„დადიანი ერთხანს წიგნებს კითხულობს ან ჰაერდაკს ითამაშებს, მორფის წიგნით ხელში“;

„ჭადრაკის თამაში იმას დიდად უყვარს და კარგადაც თამაშობს. რაც უკეთესი მოთამაშეებია ქუთაისში, იმასთან იყრის თავს. მორფის სახელი იმის გარშემო წარმოითქმის იმ გვარისავე პატივით, როგორც ნაპოლეონისა“.

1892 წლის „შახმატოე ობოზრენიე“ აღნიშნავს, რომ ქუთაისში ბერგოლ კარგი მოჭადრაკეა და ჩამოთვლილ პიროვნებებს შორის გრიგოლ დადიანსაც მოიხსენიებს. ისტორიას შემორჩა ბიძა-მისწულის საჭადრაკო პაქეობის რამდენიმე ნიმუში.

**ანდრია დადიანი – გრიგოლ დადიანი**


1.e4 e5 2.f3 მც6 3.კ4 კც5 4.ბ4 კxb4 5.c3 კა5 6.d4 exd4 7.0-0 d6 8.ლb3 ლწ6 9.e5 dxe5 10.კვ5 ლვ6 11.მxe5 ლxგ5 12 კxf7+ მფx8 13.f4 ლწ6



14.მd2 dxc3 15.მe4 ლე7 16.მგ5 მh6 17.მxh7+ და შამათი შემდეგ სვლაზე

ანდრია დადიანი – გრიგოლ დადიანი

1.e4 e5 2.მf3 d6 3.d4 exd4 4.ლxd4 კე6 5.მc3 ა6 6.კვ5 f6 7.კh4 კე7 8.ა3 მც6 9.ლd2 მე5 10.მd4 კდ7 11.0–0–0 c5 12.მf5 კxf5 13.exf5 ბ5 14.ლd5 ებ8 15.მე4 ებ6 16.f4 მც4 17.კე2 h5 18.კf2 ლc7 19.კxc4 bxc4 20.ლxc4 მh6 21.მგ3 მგ4 22.ეd2 მxf2 23.ეxf2 d5 24.ლxd5 c4




25.მxh5 მფ8 26.g4 c3 27.b4 ა5 28.ე1 axb4 29.ეfe2 ეxh5 30.ეxe7 ლxf4+ 31.მფb1 bxa3+ 32.მფa1 ებ1+ 33.ეxb1 მფxe7 34.ებ7+ მეე8 35.ლგ8#

გიორგი ბებურიშვილი ცნობილი საგზაო ინჟინერი იყო. მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებშია გადაღებული ფოტო, რომელზედაც მისი და ვარადებულ ჩიქოვანის პაეკრობაა აღბეჭდილი. სხვათა შორის ეს პირველი ფოტო საქართველოში ჭადრაკის თემაზე.

ანდრია დადიანი – გიორგი ბებურიშვილი

1.e4 e5 2.f4 exf4 3.მf3 გ5 4.კc4 კვ7 5.h4 გ4 6.მგ5 მh6 7.d4 f6



ანდრია დადიანი



8.კxf4 fxg5 9.კვ5 კf6 10.ლd2 მf7 11.ლf4 მვ5 12.hxg5 ეფ8 13.gxf6 ეxf6 14.ლგ4 ლe7 15.ლგ8+ ეფ8 16.ლhx7 და შაეები დანებდნენ




ანდრია დადიანი პუსართა პოლკის საპარადო ფორმაში (უცნობი მხატვრის ნახატი)

ანდრია დადიანს ქართველთაგან ყველაზე მეტი პარტია მაჩაბელთან აქვს ნათამაშები. მართალია არსად ინიციალები აღნიშნული არ არის, მაგრამ დანამდელებით შეიძლება ითქვას, რომ იგი ცნობილი ვეჯილი ვასო მაჩაბელია, ივანე მაჩაბლის ძმა.

ვასო მაჩაბელი პეტერბურგში ცხოვრობდა. 1891 წლის „შახმატნი ჟურნალიდან“ ვგებულობთ, რომ 1880 წელს მის სახლში ტურნირი გამართულა, რომელშიც ანდრია დადიანიც მონაწილეობდა. ქართული ჭადრაკის ისტორიისთვის მკირფასია ის ფოტო, რომელზედაც ილია ჭავჭავაძე და ვასო მაჩაბელი არიან აღბეჭდილნი ჭადრაკის თამაშისას.

ანდრია დადიანი – [ვასო] მაჩაბელი

1.e4 e5 2.მf3 მც6 3.კc4 კc5 4.b4 კxb4 5.c3 კc5 6.0-0 მf6 7.d4 exd4 8.cxd4 კb6 9.e5 d5 10.exf6 dxc4 11.ეe1+ კე6 12.fxg7 ეე8 13.კე5 ლd7 14.d5 ეxg7 15.dxe6 ლxd1 16.exf7+ მფxf7 17.ეxd1 მფე8 18.მc3 მb4 19.მd5 მxd5 20.ეxd5 ეე8 21.კf6 ეე6 22.ეf5 ეე2 23.კd4 კxd4 24.მxd4 ეd2 25.მf3 ეე2 26.ეd1 b6 27.მე5 c3




28.ეd8+ მფე7 29.ეf7+ მფh6 30.ეxh7+ მფxg5 31.h4+ მფ6 32.ეf8+ მფე5 33.ეe7+ ეე6 34.ეxe6+ მფxe6 35.ეe8+ და თეთრებმა ეტლი მოიგეს

ანდრია დადიანის შემდეგი პარტნიორი ა. ერისთავია. მის შესახებ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება.



ანდრია დადიანი – ა. ერისთავი

1.e4 e5 2.f4 exf4 3.მf3 კე7 4.კc4 კh4+ 5.g3 fxg3 6.0-0 ლე7 7.კxf7+ მფxf7  
8.მxh4+ მf6 9.ლh5+ მფg8 10.ლf5 მc6 11.d3 d5 12.ლg5 gxh2+ 13.მფh1 dxe4  
14.მc3 კh3



ილია ჭავჭავაძე და ვასო მარაბული.  
1873 წ.

15.კd2 კxf1 16.ეxf1 ეფ8 17.მf5 ლd7 18.მh6#

პარტიების ხარისხი ეპოქის ჭრილში უნდა განვიხილოთ. პოლ მორფის გავლენით მაშინ მოდაში მეტოქის მეფეზე პირდაპირი იერიში იყო. დაცვის ტექნიკა მოისუსტებდა, რის გამოც, არაკორექტული შეწირვების მიუხედავად, იერიში ხშირად მიზანს აღწევდა.

**დავით გურგენიძე**

საერთაშორისო დიდოსტატი და  
მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი  
საკადრაკო კომპოზიციაში






ნიგნები

„ინტელექტი“ გთავაზობთ

ანა კალანდაძე

„სიყვარულისაგან ფართოვდება ქვეყანა“



„პროზაიკოსი პოეტი“ – ასე მოიხსენიება ქალბატონი ანა რევაზ იანიანიშვილს. ანა კალანდაძის პროზა იმის უფლებას გვაძლევს, მას „პოეტი პროზაიკოსი“ ვუწოდოთ. სამწუხაროდ, 90-იან წლებში ანა კალანდაძის პროზა მცირე ტირაჟით გამოვიდა და მას მკითხველი ნაკლებად იცნობს. წინამდებარე გამოცემა, რომელიც „ინტელექტის“ „მცირე პროზის“ სერიით გამოდის, ამ ნაკლის შევსების ცდას წარმოადგენს.

ნიგნის წინასიტყვაობაში მისი შემდგენელ-რედაქტორი, გიორგი გოგოლაშვილი წერს:


„თითქმის 600 გვერდიანი ნიგნიდან საჭაშნიკოდ ეს გამოფარჩეთ: ნაწილი მინიატურებისა და ფრაგ-

მენტები მოგონებებიდან, საუბრივიდან, ჩანაწერებიდან... ორიგინალური, ანასეულია ის მონაკვეთი ნიგნისა, რომელსაც „ფრაზებით დახატული პორტრეტები“ ვუწოდეთ. და ეს „ფრაზები“ არა მხოლოდ ამ დიდ პიროვნებათა პორტრეტებს გვიხატავს, არამედ თვით ქალბატონ ანასაც...“

მინიატურების სათაურების ჩაკითხვაც კი მიგვახვედრებს, კლასიკოსის პროზასთან რომ გვაქვს საქმე... მოვა დრო და ქალბატონი ანას პროზას სრული სახით მიიღებს მკითხველი (ბევრ საინტერესოს არქივი ინახავს)... სათქმელიც ითქმება... დღეს, მოდით, ეს წავიკითხოთ და ამით ვიყოთ ბედნიერი!..“

ფრანსუაზ და რევაზ ნიკოლაძეები

„ქართველები საფრანგეთისთვის ბრძოლებში 1939-1945 წლები“



რატომ გადაწყვიტეს სამშობლოდან 1920 წლიდან პოლიტიკურ ნიადაგზე დევნილმა და საფრანგეთში დასახლებულმა ქართველებმა ფრანგებთან ერთად წინააღმდეგობა გაეწიათ მას-სიძეძლი ქვეყნის დამპყრობი ნაცისტებისათვის 1939-1945 წლების იმ ომში, რომლის სიმძიმეც დღემდე აწევა მესხიერებას?

თვითმხილველთა მიერ მოწოდებულ ცნობებსა და საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით დაწერილი ეს გამოკვლევა წარმოგვიდგენს იმ ქართული ემიგრაციის კონტრასტულ სურათს, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა მე-20 ს-ის ევროპული ისტორიის კატაკლიზმები. მკითხველს ამაღლვებელი შეხვედრები ელის პოლკოვნიკ ამილახვართან და წმინდა მონამე გრიგოლ ფერაქესთან.

წინასიტყვაობის ავტორის, ფრანგი ქართველოლოგის, ბერნარ უტიეს თქმით „ეს გამოკვლევა უდავოდ დაინტერესებს ისტორიკოსებს. ყველაფერი, რაც მასშია მოთხრობილი, განსაკუთრებით ქართველ ებრაელთა ხსნის (მხოლოდ ერთი დაღუპული) და ბევრი არაქართველი ებრაელის გადარჩენის ამბები, იმ პერიოდის ამსახველი ჭეშმარიტად დიდებული ფურცელია, რომელიც იმსახურებს უკვდავყოფას.“

ფრანსუაზ ნიკოლაძეს უკვე შესწავლილი ჰქონდა მონპელიეს „წინააღმდეგობის“ მოძრაობა. ქართველ რევაზ ნიკოლაძეს კი თავისუფლად შეეძლო თარჯიმნის გარეშე ესაუბრა ქართველებთან. ამ წველის ერთობლივმა შრომამ ავტორებს სასურველი შედეგის მიღწევის საშუალება მისცა.“

**ნიკო ანდრიჩი**

„დრინის ხიდი“

დიდი იუგოსლავიელი მწერლის, მხატვრული სიტყვის ნამდვილი დიდოსტატის, ივო ანდრიჩის სახელს კარგად იცნობს საბჭოთა მკითხველი. მწერალს საქვეყნო აღიარება მოუტანა რომანებმა „ტრავნიცის ქრონიკა“, „დრინის ხიდი“ და „ქალიშვილი“.


ნობელიანტების სერით „ინტელექტი“ ქართველ მკითხველს 1961 წლის ნობელის პრემიის ლაურეატის რომანს – „დრინის ხიდს“ – სთავაზობს.

მთარგმნელების (მედეა კახიძისა და ზაქარია შამისაშვილის) მონდომებას აორკეცებდა ცნობა, რომ ლოკინად ჩაეარდნილმა ანდრიჩმა, იუგოსლავიელი გამოჩენილი პოეტი ქალის დესანკა მაქსიმოვიჩის წყალობით, იცოდა, რომ „დრინის ხიდი“ ქართულად ითარგმნებოდა. სამწუხაროდ, მწერალი ვერ მოესწრო მისი რომანის ქართულად გამოცემას.

ივო ანდრიჩის დიდი ნიჭის წყალობით, თითქოს გასულიერებული დრინის ხიდი მკითხველს

გულწრფელად უყვება ყველა დიდსა თუ პატარა ამავეს, რისი მონმეც, რისი მხლელეოც თვითონ არის. რომანი „დრინის ხიდი“ ბოსნიის ცხოვრების სამასწლიანი მდინარეება.

იმ სოციალურმა და ეროვნულმა ჩაგვრამ, თურქთა ბატონობის საუკუნეებმა რომ დაამკვიდრა ბოსნიაში, რთული და ტრაგიკული ვითარება შექმნა. ერთმანეთს გადაეხლართა სხვადასხვა სოციალური და რელიგიური ინტერესი. მშობლიური ქვეყნის წარსულის კარგად ცოდნამ მწერალი მიახვედრა, თუ როგორ ყალიბდებოდა ბოსნიელთა ეროვნული სულისკვეთება. მწერალი ხატავს ხალხის აშკარა და ფარულ ბრძოლებს თურქი ფეოდალებისა თუ შემდეგ ავსტრიულ ჩინოვნიკთა წინააღმდეგ. ანდრიჩისათვის მახლობელი და გასაგებია ყველა საუკუნის ადამიანის ჭირ-ყვამი. მთელი მისი შემოქმედება ადამიანის, კაცობრიობის სიყვარულს ემსახურა.



მალე

**იოსებ გრიშაშვილი**

„100 ლექსი“


(შემდგენელი ნოდარ გრიგორაშვილი)

კრებულის წინასიტყვაობიდან (ავტორი პაატა ნაცვლიშვილი):

„აღმოსავლური მოტივები ჩვეულებრივი რამ იყო ვასული საუკუნის დასაწყისის ქართულ პოეზიაში. მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ყველა თვალსაჩინო ქართველმა პოეტმა, იოსებ გრიშაშვილის გარდა, აღმოსავლური მოტივები დასავლური პოეზიის ჩარჩოში მოაქცია და ქართული ლექსი დასავლეთისაკენ, როგორც დღეს იტყვიან, – ევროატლანტიკური სივრცისკენ წაიყვანა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქროსკულტურული ურთიერთობანი უადრესად მნიშვნელოვანია ვასული საუკუნის ერთი უთვალსაჩინოესი ქართველი პოეტისა და მოღვაწის იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებაში.“

იოსებ გრიშაშვილი და ძველი თბილისი – ეს ამოუწურავი თემაა, რასაც ვერაფრით აუვლის გვერდს არათუ გრიშაშვილის შემოქმედების მკვლევარი, არამედ თბილისის ისტორიით დაინტერესებული ნებისმიერი მეცნიერიც.

ჩემული ვერსია მთლიანობაში შეიძლება რამდენადმე განსხვავებულიც ყოფილიყო, აქ ყველა მისი „აუცილებელი“ ლექსია შეტანილი. მათ შორის თითქმის ნახევარი მისი „დაუბეჭდავი ლექსებიდანაა“, რომლებიც დღეს მეორედ ქვეყნდება. ასე რომ, გრიშაშვილის ამ კრებულს ასეც შეიძლება ეწოდოს: ძველი და ახალი გრიშაშვილი. ან: წაწილი და უცნობი გრიშაშვილი. ამ წიგნით პოეზიის მიყვარულთ ძველი პოეტის (თავიდან) აღმოჩენა ელით“.



ი 82/30

**საგამომცემლო ჯგუფი**

ეთერ ბაიდომეილი  
ბადრი ტალახაძე  
მარტა წიკლაური  
ალექსანდრე ჯიქურიძე



**აპოლიტონოლოგია ინტელექტი**

0179, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ

25-05-22, 91-22-83, 8(99) 55-66-54

ფაქსი: 25-05-22, 91-22-83

[www.intelekti.ge](http://www.intelekti.ge) [info@intelekti.ge](mailto:info@intelekti.ge)

რედაქტორი: 8(99) 90-37-22



F 255  
2009

 ბანკი რესპუბლიკა  
BANK REPUBLIC  
საბანკო სერვისების მწოდველი